



# ლიბეხანი

№ 53 / 22 - 28 ნოემბერი / 2010

ქუთაისის ქალაქი – „გორა დედაქალაქის“ მხენებლობა **გვ. 27**  
 ორი აზრი: საატესტატო გამოცდები – საჭიროა, თუ არა? **გვ. 06**  
 რუსული კავკასოფობიის ფენომენის შესახებ **გვ. 12**  
 ჩერქეზები – პირველი გენოციდი თანამედროვე ევროპაში **გვ. 09**  
 საზრანგეთი: ახალი ქველი მთავრობა **გვ. 08**  
 თანამედროვე ჩინეთი: მსოფლიოს მთავარი თავსატეხი **გვ. 36**  
 ფინსუში და პირადი ინფორმაცია **გვ. 30**  
 ფიზიკური, როგორც პოლიტიკა **გვ. 41**  
 კახა თოლორდავა: ადამიანი ვადამი **გვ. 44**

ფანი 2 ლარი

ISSN 1987-7528



გვ. 14

# ახტი ქანი – ოხი სსოვიქებ

**FM**  
**სენტი**  
**98.0**





ფოტო: ლევან ნიკოლაიძე

„აბიტურის“ გაკვეთილი თბილისის 24-ე საჯარო სკოლაში, 2010

**ნომერში:**

- 02 ლიბერალის ვებგვერდიდან
- 04 მოკლედ
- 06 **ორი აზრი**  
გაზრდის თუ არა მოსწავლეების მოტივაციას საატესტატო გამოცდების დანიშვნა?  
ტატო შავშიშვილი VS სიმონ ჯანაშია
- მსოფლიო**
- 08 ახალი ძველი მთავრობა  
**კავკასია**
- 09 ჩერქეზები – პირველი გენოციდი თანამედროვე ევროპაში  
**თვალსაზრისი**
- 12 რუსული კავკასოფობიის ფენომენის შესახებ  
**მთავარი თემა**
- 14 ერთი ქალი – ორი ცხოვრება

**ინტერვო**

- 20 კარიერას შეწირული თაობა  
ნანა ლეინჯილია
- 22 **ეკონომიკა**  
ფასების შენარჩუნების პოლიტიკა  
**საზოგადოება**
- 24 რვა „უმარტივესი“ გამოცდა
- 27 **დეცენტრალიზაცია**  
ქუთაისიც ქალაქია...
- 30 **სოციალური ქსელები**  
ის, რაც შენ შესახებ ყველა იცის
- 32 **განათლება**  
ჩემი „ბუკი“
- 34 **თვალსაზრისი**  
რა არის საზოგადოებრივი ჯანდაცვა?  
მარკ მალენი

- 36 **თვალსაზრისი**  
მსოფლიოს მთავარი თავსატეხი  
გიორგი ცხადაია



- კულტურა**
- 38 შიშველი მეფეები
- 40 ბლუთების ოჯახის „შეწყვეტილი განვითარება“  
**სპორტი**
- 41 ფეხბურთი, როგორც პოლიტიკა
- 43 ბუფი
- ქალაქში მოხეტიალე კაცის ჩანაწერები**
- 44 ადანდალი ვანდალი

**ბარეკანზე:**

ერთი ქალი – ორი ცხოვრება  
**ილუსტრაცია:**  
სოფო კირთაძე / წიგნის სახელოსნო



ჟურნალი „ლიბერალი“ გამოიცემა ფონდ „ლია საზოგადოება - საქართველოს“ მხარდაჭერით.

ავტორის / ავტორების მიერ საინფორმაციო მასალაში გამოთქმული მოსაზრება არ გამოხატავს ფონდის „ლია საზოგადოება-საქართველოს“ პოზიციას, შესაბამისად, ფონდი არ არის პასუხისმგებელი მასალის შინაარსზე.

The views, opinions and statements expressed by the authors and those providing comments are theirs only and do not necessarily reflect the position of Open Society Georgia Foundation. Therefore, the Open Society Georgia Foundation is not responsible for the content of the information material.

თქვენზე დროის დაკარგვა არ ღირს!

რა კარგია, რომ ამაზე დანერეთ, სრული სიმართლეა. განათლების სამინისტრო ერთ-ერთი აულებელი ციხე-სიმაგრეა ჟურნალისტებისთვის. ნეტავ, ოდესმე მაინც თუ მოელება ამ თავხედობას ბოლო. ჩემი პირადი გამოცდილებიდან ვამბობ, რომელიმე დირექტორთან ინტერვიუს ჩანერა ოცნების სფეროა, პრეს-სამსახურის თანხმობის გარეშე.

ლილე

ყველგან, სადაც გაიხედავ, ეს ახალგაზრდა ტუტუცი გოგოშკები დანრიალბენ თავიანთი ტუტუცური კითხვებით და კიდევ უფრო ტუტუცური საგაზეთო ინტერპრეტაციებით. ეს ამ ქალბატონსაც ესება. ვინმე ნათიას. მისი ბლოგი თითქმის სულ ნავიკითხე და...ზვიადისტი ქალების ანტი-მიმისტური ვარიანტი...არავითარი ჟურნალისტიკა.

სტუმარი

როგორც იქნა, საქართველოში ერთმა ჟურნალისტმა მაინც ასხენა სასამართლოში ჩივილი საჯარო ინფორმაციის მოპოვებაში ხელის შეშლის გამო. მართლა უზომოდ ბედნიერი ვარ.

თამუნა



ისევ იმ, საზოგადოებას კავშირში

დღევანდელ ავტორიტარულ რეჟიმთან ხმაღამობებული ბრძოლა თავის განიხრვას

უდრის; ნუ მოითხოვთ ყველასგან ამას, რადგანაც უმრავლესობას ჰყავს ოჯახები და მათი განიხრვა არ არის ასე იოლი. საპროტესტო მუხტი ახალგაზრდობამ, სტუდენტებმა უნდა აიტაცონ – მათ არ უნდა შეეშინდეთ. მაგრამ ხომ ნახეთ? სკოლის მოსწავლეებიც კი დააშინეს!!! და ჩაქრა პროტესტი! მოსწავლის უკან ხომ ასევე დაშინებული დედა და მამაა, ვინც ელოდება, რომ თვითონაც დაკარგავს სამსახურს, თუკი საკუთარი შვილი ვერ დააშოშინინა...

mokalake

ვეთანხმები სტატიის ავტორს, რომ სკოლის დირექტორების მოხსნა, ბავშვებზე ინფორმაციის მოგროვება და.ა.შ. საშინელებაა. მიუღებელია, რადგან ეს არ არის დემოკრატიული. ყველას აქვს პროტესტის უფლება, მაგრამ ამის გამო დაიჭირო ან გაათავისუფლო პოზიციიდან გაუმართლებელია. რაც შეეხება გამოცდებს – ვფიქრობ, რომ უნდა იყოს გამოცდები, მაგრამ ცოტა აზრიანი დაგეგმვა სჭირდება.

http://tomushka.blogspot.com

შეიძლება, ვილაცას სწავლა არ უნდა, შეიძლება, ვილაცა ზარმაცია, მიტინგზე მოტყუებით გავიდა თუ გაბოროტებულია, მთავარი კითხვა და პრობლემა არის ის, თუ მიგაჩნიათ გამართლებულად მორალურად სამართლებრივად და საერთოდ ნორმალურ ფაქტად დირექტორების დაბარება და განთავისუფლების განცხადებაზე ზენოლით ხელის მონერა? არ მითხრათ ახლა, ზენოლა არ იქნებოდაო, რომელი ნორმალური ადამიანი მიდის დღეს სამსახურიდან თავისი

ნებით და თან ასე ერთდროულად უჩნდებათ სურვილი ამის გაკეთების?

ლიპუ

ბორატი საქართველოს ბანკიდან

ძალიან სამარცხვინო რეკლამაა! „ნახ-მარი“ რომ გავიგე პირველად დაგრწმუნდი, რომ სტერეოტიპულ აზროვნებაზე აიგო რეკლამა. თუმცა ტესტირებისას შესაძლოა სწორედ ამ რეკლამის სცენარმა გაამართლა და დაიმსახურა მონონება. არაფერს გამოვირიცხავ. ნებისმიერ შემთხვევაში, ეს არის ამორალური რეკლამა.

yousmoke-wesmoke

პირველ რგოლში მამაკაცი ეუბნება, რომ მას (როგორც აღმოჩნდება მანქანას) მანამდე არავინ ჰყოლია, რომ ის მისთვის პირველი იქნება. ამით ქალწულობაზე აპელირებს. ეს ცალსახად მეტყველებს არა მხოლოდ ბანკის თანამშრომლების არასენსიტიურობასა და უგემოვნებაზე, არამედ გადაძლევთა უნიჭობასა და არაპროფესიონალიზმზე.

პაკო

როგორ ართულებთ ყველაფერს. სულაც არ მეჩვენება ეს რეკლამა შეურაცხყოფილად ან წარმატებული კინამდვილად არის...

Taa

აურზაური არაფრის გამო – ასე შემოიძლია დავახასიათო აღნიშნული რეკლამის გარშემო ატეხილი „სკანდალი“. არა და ჩვეულებრივი რეკლამაა, სხვათაშორის, კარგად გაკეთებული.

გიორგი

რედაქტორები: მთავარი რედაქტორი შორენა შავერდაშვილი / აღმასრულებელი-რედაქტორი სოფო ჭავჭავაძე / კავკასია-და კონფლიქტები სოფო შუკია / ჟურნალისტური გამოძიება ბესო კურტანიძე / საზოგადოება თამარ ბაბუაძე / ახალი ამბები ნათია ახალაშვილი, ნანა საჯავია / ვებგვერდის რედაქტორი ნინო ჯაფარიძე  
შპს რედაქციაში: მანია ნიკოლაიშვილი, ნინო გოგუა, მარიკა ქოჩიაშვილი, ეკა ჭითანავა, რუსუდან ფანოზიშვილი, ანიტა თვაური, თამარ ფარდაშვილი, ნინო ჩიქაძე, ნინო რობაქიძე, ნათია გულიაშვილი  
კონსტრუქციები: მარკ მალენი, გიორგი ცხადაია, ლევან იზორია, ნანა საჯავია, ნინია კაკაბაძე, დავით ბუხრიკიძე, გიო ახვლედიანი, კახა თორლორდია, მოლი კორსო, ლექსო ჩქარუელი, ემილ სულეიმანოვი, ირაკლი კობახიძე, დიანა ჩაჩუა, გიორგი ლომსაძე, ქეთი ქნთარია  
რედაქცია: ფოტო-რედაქტორი ლევან ხერხეულიძე / გრაფიკული დიზაინი თორნიკე ლორთქიფანიძე / რედაქტორ-სტილისტი პაატა შამუგია / კორექტორი თამარ ლინაძე  
ბამონცამლოზა: პროექტის მენეჯერი ქეთი ბაბუნაშვილი / პროექტის მენეჯერი ასისტენტი ლელა შუბიტიძე / კლიენტთა მომსახურების მენეჯერი ნათია რუსაძე / დისტრიბუტორი ზვიად შენგელია  
ბამონცამლოზა: შპს „ლიბერალი“. მისამართი: თბილისი 0162, ფალიაშვილის ქ. 108. ტელ.: (995 32) 232235, 233731, 912326. ელ-ფოსტა: info@liberali.ge  
სხვა ბამონცამლოზა: „ცხელი მოკოლადი“, „ცხელი მოკოლადი – ლიტერატურა“, „ბიზნესი: ადამიანები, მეთოდები, სტრატეგიები“. „ლიბერალის“ საავტორო უფლებები დაცულია.  
ჟურნალში გამოქვეყნებული მასალების ნაწილობრივი და/ან მთლიანი გამოყენება რედაქციის თანხმობის გარეშე აკრძალულია.  
ბამონცამლოზა: სტამბა „სენანი“. მისამართი: თბილისი, წერეთლის გამზ. 140. ტელ.: (995 32) 35 70 02.  
გამომცემი კერძო ერთიანი, ყოველ ორშაბათს. პირველი ნომერი გამოცემულია 2009 წლის მაისში. რეკომენდებული საცალო ფასი 2 ლარი.

# ახი უკვე ერთი და იგივე მსოფლიოს...

ანინას ბლოგი



მე და ჩემი მეგობრები თბილისის ერთ-ერთ ელიტარულ ქუჩაზე, ერთ-ერთ ელიტარულ დანესებულეზაში ვისხედით და ლუდს ვსვამდით. ინტერიერი საბჭოთა სურათებითა და სიმბოლოებით იყო გაფორმებული და მე შიშით ველოდებოდი იმ წამს, როცა რომელიმე ჩვენგანი საუბარს დაიწყებდა საბჭოთა მემკვიდრეობაზე.

ვიცოდი, რომ ეს თემა ლუდს გემოს დაუკარგავდა, შეკრებას – აზრს, მეზობელ მაგიდებთან მსხდომებს კი – სიმყუდროვეს.

სანამ დამალული ნაღმი აფეთქდებოდა, ლუდი მოვსვი და გამახსენდა, რომ დილაღ უცნაურად „საბჭოურად“ დაიწყო. ტელევიზორი ჩავრთე და საპატრიარქოს არხზე, რომელსაც სასაცილო სახელი, „ერთსულოვნება“ ჰქვია, „მზიურის“ კონცერტი დამხვდა. პატარა გოგონა პატარა გოგონებისთვის შეუფერებელი სერიოზულობით მღეროდა ლენინგრადზე. წესით ჩემთვის ასეთი მანერულობა უცხო უნდა ყოფილიყო (მე ხომ საბჭოთა კავშირში წუთიც არ მიცხოვრია) მაგრამ მაინც მეცნო. მახსოვს, როცა სკოლის ზეიმზე პატრიოტულ ლექსებს გვაზეპირებინებდნენ, ზუსტად ასეთი სახეებით გამოვდიოდით სცენაზე. ვერაფერს ვიზამთ, ბავშვებს ყველა ეპოქაში აქვთ ეს „საშინელი“ თვისება – ზუსტად გამოიცნონ, რას ითხოვენ მათგან და ზედმინევენით შეასრულონ კიდევ.

კიდევ კარგი, რომ ბავშვები იზრდებიან და მოვლენების გადაფასებას იწყებენ. აი, მე რომ „მზიურის“ რომელიმე წევრი ვიყო და ამდენი წლის შემდეგ იმ „გემიან“ კონცერტს ვუყურებდე, თავს მოტყუებულად და გამოყენებულად ვიგრძნობდი.

ბდი. თუმცა, ყველას იმავეს ვერ მოსთხოვ. ან უკვე გაზრდილი „მზიურელები“ მიიჩნევენ, რომ ულამაზესი ბავშვობა ჰქონდათ: „არტეკი“, გასტროლები, გადაღებები... „მზიურის“ ერთ-ერთი წევრი, ნანა სანებლიძე ამბობს: „ალბათ ჩვენი წარმატების მიზეზი ის იყო, რომ არავის არ ვბაძავდით. საკუთარ თავებს ვსახიერებდით. აბსოლუტურად ბუნებრივები ვიყავით და ხალხიც ამიტომ იხილებოდა“. აი, თურმე როგორ ესმოდათ საბჭოთა კავშირში ბუნებრიობა!

ისე, უცნაურად არ გეჩვენებათ ერთი მხრივ, საბჭოთა სიმბოლიკის აკრძალვის კანონზე საუბარი და მეორე მხრივ „მზიურისთვის“ ვარსკვლავის გახსნა?! მე მეგონა, შენობებზე განთავსებული საბჭოთა მემკვიდრეობის გაქრობით ყველაფრის დავინყებას ვცდილობდით და აღმოვაჩინე, რომ ტაშს სწორედ „მზიური“ ქვეყნის ნოსტალგიას ვუკრავთ. ისიც მეგონა, რომ კარგად გვესმოდა რა საფრთხეს შეიცავდა ნათელი ყელსახვევები და აღმოვაჩინე, რომ უდარდელი „პიონერები“ ჯერაც გვიჩუყებენ გულს. ნურავინ იტყვის, რომ ვარსკვლავის გახსნით ჩვენ მხოლოდ ბავშვობის სიმღერებს გადავუხადეთ ხარკი. ჩამოაცილებთ „მზიურს“ საბჭოთა კონტექსტი და მიხვდებით, რომ ეს ბავშვები არაფრით განსხვავდებიან „ანაბანას“ ახალბედებისაგან. არც მათზე ნიჭიერები არიან და არც მათზე ლამაზები. სამაგიეროდ, მათზე „ბუნებრივები“ არიან.

მგონი, ჩვენ მხოლოდ საბჭოთა „გამონაყარს“ ვმკურნალობთ და ის, რაც არსებითია, მხედველობის მიღმა გვრჩება. ასე თუ ისე, ყველა გარეგნული ნიშნის მიჩქმალვა შეიძლება, მაგრამ დროს ჩამორჩენილ აზროვნებას რაღა ვუყუოთ? როდემდე უნდა გვეგონოს, რომ იდეოლოგიური კულტურის პროპაგანდით ნაშოვნი ფული შეიძლება ქველმოქმედებას მოხმარდეს? ან როდემდე უნდა გავამართლოთ საკუთარი უსუსურობა „პოსტსაბჭოთაობით“?! მე არ მინდა იმ ქალაქში ცხოვრება, სადაც საბჭოთა კვალს ყველგან ებრძვიან, (დანესებულეებში, ქუჩებში, სიტყვებში) საკუთარი ტვინების გარდა..

რა აზრი აქვს ახალი კანონების მიღებას, სანამ საპატრიარქოს არხზე ნათელყელსახვევიანი ბავშვების დანახვა არავის „გაუტყდება“, მანამდე მაინც უშედეგო იქნება ვარსკვლავებთან, ნამგლებთან და უროებთან ომი..

P.S. ეტყობა, ჩემი მეგობრებიც მიხვდნენ, რა ცუდი იქნებოდა მშვიდობიანი შეკრების ანალიტიკური საუბრით გაფუჭება და სიტყვაც არ დაუძრავთ საბჭოთა კავშირის შესახებ. ძალიანაც კარგი. კათხები დაცვალით და კედლიდან მომზირალ ძია სტალინის თვალი ავარდით.



პრესისთვის გამოყოფილი დარბაზი ნატოს სამიტზე ლისაბონში, ნოემბერი 2010

ფოტო: © 30643667 / REUTERS

## ნატოს "ქაღალდის ბნელკაღი" ხეობა

ნატოს სამიტამდე სამი დღით ადრე, ვარშავაში, ნატოს საპარლამენტო ასამბლეამ „საქართველოში არსებული მდგომარეობის შესახებ“ რეზოლუციის მიღებით ქართულ მხარეს 2008 წლის შემდეგ პირველად გამოუცხადა ასეთი მკაფიო მხარდაჭერა.

მხარდაჭერა გამოიხატა დოკუმენტით, რომელშიც აფხაზეთი და „სამხრეთ ოსეთი“ ოკუპირებულ რეგიონებად მოიხსენიება. რეზოლუციაში ნახსენებია „ეთნიკური წმენდა“ და „ოკუპაცია“, ამასთან, ყოველგვარი დამატებითი განმარტების გარეშე. დოკუმენტის ავტორები რუსეთისაგან როგორც საერთაშორისო ვალდებულებების შესრულებას, ისე იძულებით გადაადგილებულ პირთა საკუთარ სახლებში უსაფრთხო დაბრუნებას მოითხოვენ.

„რეზოლუცია ერთ-ერთი ყველაზე დადებითი დოკუმენტია, რომელიც საერთაშორისო ორგანიზაციებმა საქართველოზე ბოლო პერიოდში მიიღეს“, – განაცხადა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ, დავით ბაქრაძემ, რეზოლუციის მიღების შემდეგ.

ნატოს საპარლამენტო ასამბლეას საქართველოს შესახებ პოზიტიური რეზოლუციები ადრეც მიუღია, თუმცა სესიის მონაწილეები ლისაბონის სამიტამდე რამდენიმე დღით ადრე საქართველოს მხარდამჭერი დოკუმენტის მიღებას რუსეთისათვის სერიოზულ გზავნილად აფასებენ.

რეზოლუციის განხილვისას რუსი დელეგატები აქტიურად ეწინააღმდეგებოდნენ როგორც ტერმინ „ოკუპაციის“ ასევე „ეთნიკური წმენდის“ გამოყენებას, რადგან მათი აზრით, რუსეთი პოლიტიკურად და სამართლებრივად ეთნიკური წმენდის პასუხისმგებელ მხარედ ცხადდება.

რუსული მხარის უკმაყოფილება გამოიწვია რეზოლუციის იმ ნაწილმაც, სადაც დოკუმენტი რუსეთის უშიშროების სასაზღვრო ძალების მიერ „ადმინისტრაციული საზღვრის“ გადაკვეთაზე შეზღუდვების დაწესებას, ოკუპირებულ ტერიტორიებზე რუსეთის სამხედრო ძალების ყოფნის ვადის გაზრდას და საქართველოში ეუთო-სა და გაერო-ს მისიების მოსკოვის მიერ დაბლოკვას აკრიტიკებს, რუსეთის მხრიდან კი ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის საქართველოს მთელ ტერიტორიაზე დაშვებას მოითხოვს. ასამბლეამ ევროკავშირის ასევე ცეცხლის შეწყვეტის შესახებ ხელშეკრულების შესრულების საკითხის ევროკავშირ-რუსეთის მომავალი სამიტის დღის წესრიგში შეტანისკენ მოუწოდა.

რუსი ექსპერტების შეფასებით, ნატო-ს ასამბლეის რეზოლუცია საქართველოსადმი მორალურ მხარდაჭერას ნიშნავს, თუმცა იგი შექმნილ ვითარებაზე ვერანაირ გავლენას ვერ მოახდენს.

### ჯეორჯიას მხარე

საერთაშორისო სააგენტოების ცნობით, ლისაბონში ნატოს სამიტის ფარგლებში აშშ-ს პრეზიდენტის ბარაკ ობამას და პრეზიდენტ სააკაშვილის შეხვედრა დაიგეგმა. ეს პირველი პირისპირ შეხვედრა იქნება ორი ქვეყნის ლიდერებს შორის. ქართული მხარე ამ შეხვედრის ორგანიზებას ბოლო ორი წლის განმავლობაში ცდილობდა. ობამა და სააკაშვილი ერთმანეთს მხოლოდ ერთხელ – ვაშინგტონში ბირთვული უსაფრთხოების კონფერენციის დროს მცირე ხნით შეხვდნენ.



### გიორგი კვირიკიძე

რუსი ჟურნალისტი ოლეგ კაშინი, რომელსაც 6 ნოემბერს თავს უცნობი პირები დაესხნენ, კომიდან გამოვიდა და პირველი ბლოგიც დაწერა. კაშინი მასზე თავდასხმის ფაქტს ხიმკის ტყის ამბების გაშუქებას უკავშირებს. ჟურნალისტიმ ჩვენება გამოძიებულსაც მისცა და თავდამსხმელები აღწერა. დამნაშავეები „განურჩევლად მდგომარეობისა და სოციალური სტატუსისა, უნდა დაისაჯონ“, – განაცხადა პრეზიდენტმა მედვედევმა.

## "ენჯეისის" ბაზილია



რუსეთის ჯგუშობისთვის დაკავებული პეტრე დევრიშაძე რეალურად ქართული სპეცსამსახურების აგენტია, – ამ ინფორმაციას რუსული გამოცემა „მასკოვსკი კამსამოლეცი“ ავრცელებს. გაზეთს აჭარის ავტონომიური რესპუ-

ბლიკის შს მინისტრის ყოფილი მოადგილე დავით ბაკურაძე ესაუბრა: „დევრიშაძე უშიშროების სამინისტროს აგენტად მუშაობდა და ინფორმაციას გვანვდიდა, მათ შორის, მათ შესახებაც, ვინც ახლა ქვეყანას მართავს“, – ამბობს ბაკურაძე. აჭარის ყოფილი მაღალჩინოსნის თქმით, დევრიშაძის ამჟამინდელი მეთაურები კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტში მუშაობენ. შს სამინისტროს ანალიტიკური დეპარტამენტის ხელმძღვანელმა შოთა უტიასვილმა ეს ინფორმაცია უარყო. „მასკოვსკი კამსამოლეცი“ წერს, რომ დევრიშაძეს დავლები წარმატებით შესრულებისთვის პატიმრობიდან მალე გაათავისუფლებენ.

## ოპოზიციის ბაზები

ნოემბერის ბოლოს რამდენიმე ოპოზიციური ჯგუფი ერთდროულად აქტიურდება. 24 ნოემბერს ახლად შექმნილი „ქართული პარტია“ ყრილობას ფილარმონიაში მართავს, პარტიის ერთ-ერთი ლიდერის ლევან გაჩეჩილაძის თქმით, საქართველოში „გადამწყვეტი ბრძოლა“ იწყება. 25 ნოემბერს კი, პარლამენტის წინ „წარმომადგენლობითი სახალხო კრება“ გაიმართება. სახალხო კრებას „ეროვნული ფორუმიც“ უერთდება. პარალელურად, აქტიურ ფაზაში შედის ხელისუფლების და ოპოზიციის მოლაპარაკებები საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებასთან დაკავშირებით. ბოლოს ხელისუფლება და ოპოზიცია ხუთშაბათს შეხვედნენ, დახურული შეხვედრის ოქმი უახლოეს დღეებში გამოქვეყნდება.



## ონგ სან სუ ჩის დაბრუნება



15 წლიანი პატიმრობის შემდეგ 65 წლის მიანმარელი დემოკრატი აქტივისტის – ონგ სან სუ ჩის გათავისუფლება

სუ ჩი უკვე აღარ არის მნიშვნელოვანი მიანმარის პოლიტიკოსის. სუ ჩის დემოკრატიის ეროვნულმა ლიგამ 1990 წელს არჩევნები მოიგო, მაგრამ მაშინდელი ბირმის რეჟიმმა არჩევნების შედეგები არ სცნო. ბოლო რამდენიმე წელი ონგ სან სუ ჩიმ შინაპატიმრობაში გაატარა.

მისმა ათასობით მხარდამჭერმა აღნიშნა, რამაც დაამსხვრია მითი იმის შესახებ, რომ

### ჩისხვები

**1000**

შექტარი ტყე დაინვა წელს საქართველოში

**80**

თეთრი ელირება ავტობუსით მგზავრობა ახალი წლიდან

**160**

მლნ დოლარის ინვესტიციას განახორციელებს რუსი დევლოპერი ოჩამჩირეში

**130**

სამხედრო მოსამსახურე დაბრუნდა ავღანეთიდან საქართველოში

### სიტუაბი



„საქართველოში წინასწარ არაფრის თქმა არ შეიძლება. არაფერი არ არის გამორიცხული, მაგრამ მე არ ვოცნებობ არც ერთ თანამდებობაზე“.

**ვანო მერაბიშვილი მის გეგმებზე „სპეციალურ რეპორტაჟთან“ ინტერვიუში**

„მანქანის მინები დამუქებული მხოლოდ ჩამორჩენილ ქვეყნებში აქვთ“  
**პრეზიდენტი სააკაშვილი დაბურული მინების აკრძალვაზე**

„მოლოდინი გვექონდა, რომ გამოცდების მიმართ მეთორმეტეკლასელებს პროტესტი გაუჩნდებოდათ, რადგან ძნელია 17-18 წლის ადამიანს გააგებინო, თუ რატომ არის აუცილებელი ამ გამოცდების ჩატარება.“

**დემიტრი შაშკინი მეთორმეტეკლასელთა საატესტატო გამოცდებზე**

„ჩვენ არასოდეს შევევარდნილვართ ბრძოლაში გავეშებული ლომივით და იქიდან არ გამოვქცეულვართ ჩასვრილი კურდღელივით“  
**გიორგი თარგამაძე „ქრისტიან დემოკრატების“ საქმიანობაზე**



**მომხრე**

**ტატო შავშიშვილი**

განათლების პროფესიული სინდიკატის ხელმძღვანელი

საატესტატო გამოცდების განსახილველად საჭიროა, გამოვკვეთოთ ძირითადი პრობლემა, რომელიც, შესაძლოა, ამ ტიპის საგამოცდო სისტემის შემოღების განმაპირობებლად იქცა. ჩვენი საზოგადოება კარგად იცნობს ბოლო პერიოდში მოსწავლეთა და, განსაკუთრებით, დამამთავრებელი კლასის მოსწავლეთა, გაკვეთილებზე დასწრების პრობლემას. სკოლების უდიდეს ნაწილში მესამე გაკვეთილიდან, პრაქტიკულად, ვერ იპოვიდით დამამთავრებელი კლასის მოსწავლეს. ამ ფაქტს სკოლის ცხოვრებაში ჩართული ყველა აქტიური შეეგუა, თითქოს წესად იქცა, ის, რომ დამამთავრებელ კლასებში მოსწავლე არ უნდა დადიოდეს სკოლაში. ეს გარემოება, თავის მხრივ, სხვა თანმდევ პრობლემებს ბადებდა, როგორცაა:

1. მოსწავლეთა მხრიდან სკოლისადმი ნიჰილისტური დამოკიდებულება, რაც გადამდები სენივით მოქმედებს დაბალი კლასების მოსწავლეებზეც. ხშირად მოზარდები მოუთმენლად ელიან დამამთავრებელ კლასში გადასვლას, რათა მათთვისაც „ნებადართული“ იყოს გაკვეთილების გაცდენა.
2. მასწავლებელთა დემოტივაცია/პასუხისმგებლობის შემსუბუქება.

მოსწავლეების მიერ სკოლის გაცდენა აისახება მასწავლებელთა პასუხისმგებლობაზე – მათ ხომ არ სთხოვენ დამამთავრებელი კლასის მოსწავლეთა განათლების უზრუნველყოფას?! ბუნებრივია, მასწავლებლის მხრიდან ამგვარი დამოკიდებულება დროთა განმავლობაში პროფესიული დემოტივაციის საბაზი ხდება.

ეს გარემოება მეთოდურად უწყობდა ხელს სკოლის ზოგადსაგანმანათლებლო ფუნქციის დაკარგვას. დღის წესრიგში დგებოდა რაიმე სისტემური მექანიზმის შემუშავება და დაწერგვა, რომელიც ამ პრობლემის საკვანძო ასპექტებს აღმოფხვრიდა. მიზანი იყო მოსწავლეთა დაბრუნება გაკვეთილებზე და მოსწავლისა და მასწავლებლის საგანმანათლებლო პასუხისმგებლობის გაზრდა.

პედაგოგიური პოზიციიდან, მსგავსი საკითხების გადანყვეტისას მნიშვნელოვანია, სკოლებში ამუშავდეს სწავლების მეთოდისა და პედაგოგიური მიდგომების ერთობლიობა, რომელიც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა სასწავლო მოტივაციის გაზრდას და მათ ჩართვას სკოლის ცხოვრებაში, თუმცა ისეთ ფორსმაჟორულ სიტუაციაში, როგორშიც დღეს ჩვენი ზოგადსაგანმანათლებლო სისტემა იმყოფება, უფრო მნიშვნელოვანი მყისიერი ეფექტია.

საატესტატო გამოცდების დაწერგვამ მყისიერი ეფექტი, პრაქტიკულად, უკვე აჩვენა, რაც დამამთავრებელი კლასების მოსწავლეთა საგაკვეთილო პროცესში ჩართულობით გამოიხატა.



## ბაზილის თუ ახა მოსწავლეთა სახე-სახამო ბაზი

**■ მოსწავლეების მიერ სკოლის გაცდენა აისახება მასწავლებელთა პასუხისმგებლობაზე – მათ ხომ არ სთხოვენ დამამთავრებელი კლასის მოსწავლეთა განათლების უზრუნველყოფას?! ბუნებრივია, მასწავლებლის მხრიდან ამგვარი დამოკიდებულება დროთა განმავლობაში პროფესიული დემოტივაციის საბაზი ხდება.**





**მონინალმდეგე**

**სიმონ ჯანაშია**

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის  
ასისტენტ-პროფესორი

საატესტაციო გამოცდების დანიშვნით, ვფიქრობ, რამდენიმე არასასურველ შედეგს მივიღებთ:

პირველი: გამოცდის ჩაბარების და სკოლის დამთავრების შემდეგ ბევრ მოსწავლეს გაუქრება რაიმეს სიღრმისეულად შესწავლის ყველანაირი მოტივაცია. ცნობილია, რომ გარეგანი მექანიზმებით გაზრდილი მოტივაცია ამ მექანიზმის ამოწურვისთანავე ქრება.


მეორე: ბევრ მოსწავლეს შეიძლება, საერთოდ გაუქრეს სკოლაში მე-9 კლასის შემდეგ დარჩენის მოტივაცია, რადგან მათ მოუწევთ ზედმეტად დიდი ძალისხმევის ფასად უინტერესო შედეგის მიღება.

და მესამე: იმ მოსწავლეებში, რომლებსაც ისედაც აქვთ შინაგანი მოტივაცია, გარეგანი საშუალებები, ჯილდოებიც კი, აქვეითებს მოტივაციას.

ის, რომ მოტივაციის გარეგანი მექანიზმები არ მუშაობს, კარგად ჩანს იმ ინიციატივებიდან, რომლებიც ბოლო ორი წლის განმავლობაში იქნა შემოღებული. ასეთ სიახლეებს შორისაა: ოქროს მედლების და სასკოლო ოლიმპიადის შემოღება, მაღალი ნიშნების მქონე მოსწავლეებისთვის კომპიუტერების ჩამორიგება და მისაღები გამოცდებისთვის მეოთხე სავალდებულო გამოცდის დამატება.

მოსწავლეების მოტივაციას ზრდის მათი ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისწინება და სოციალური სწავლების გამოყენება. ანუ სწავლა უნდა გულისხმობდეს სხვებთან ურთიერთობაში საკუთარი ცოდნის აგებას. საატესტატო გამოცდებისთვის მზადება შეიძლება, ამ პროცესისთვის ხელისშემშლელი იყოს.

გამოცდის ფუნქცია ცოდნის შემონახვაა. თუ ჩვენ გამოცდას მიგანიჭებთ მოსწავლის გაკვეთილზე მიყვანის ფუნქციას, თუ მასწავლებელს ვუბიძგებთ, სხვანაირად ასწავლოს და არა ისე, როგორც თვითონ მიიჩნევს საჭიროდ, თუ გამოცდების ჩატარების ერთ-ერთი მიზანი იქნება, დაისაჯონ ან წახალისდნენ სკოლის დირექტორები, მაშინ გამოცდა კარგავს ცოდნის შემონახვის ფუნქციას. თუ შემონახვის ინსტრუმენტი (გამოცდა) უფრო მნიშვნელოვანი ხდება, ვიდრე ის, რასაც ამონებებს (განათლების მიღების პროცესის ეფექტურობა), მაშინ ის, რასაც გამოცდა ამონებებს, იცვლება და მისი შემონახვა შეუძლებელი ხდება.

თუ მიზანია ველოსიპედის ტარების სწავლება, ხოლო ამ უნარს ისეთი თეორიული ტესტით ამოწმებ, რომელშიც საბურავის ქიმიურ შემადგენლობის აღწერას მოთხოვ, შედეგად მიიღებ ქიმიის ფორმულის მცოდნეს და არა ველომობილელს. 

## სწავლების მოტივაციას რად უნდა დავუბრუნო?

**■ ის, რომ მოტივაციის გარეგანი მექანიზმები არ მუშაობს, კარგად ჩანს იმ ინიციატივებიდან, რომლებიც ბოლო ორი წლის განმავლობაში იქნა შემოღებული. ასეთ სიახლეებს შორისაა: ოქროს მედლების და სასკოლო ოლიმპიადის შემოღება, მაღალი ნიშნების მქონე მოსწავლეებისთვის კომპიუტერების ჩამორიგება და მისაღები გამოცდებისთვის მეოთხე სავალდებულო გამოცდის დამატება.**

საფრანგეთი

# ახალი ძველი მთავრობა

საფრანგეთში პრეზიდენტების მიერ საკუთარი წარმატებლობების პრემიერ-მინისტრზე გადაბრალევა წესად იქცა. თუმცა, ნიკოლა სარკოზიმ ეს ტრადიცია დაარღვია. მისი ამ საქციელის უკან პრაგმატული გათვლები იმალება.

დიანა ჩაჩუა



ფრანსუა ფიონი

საფრანგეთის პრეზიდენტის ექვსი თვის წინანდელი მუქარა მთავრობის დათხოვნის შესახებ 14 ნოემბერს ასრულდა. ვითარება საფრანგეთში მას შემდეგ გამწვავდა, რაც საპენსიო რეფორმამ ქვეყანაში დიდი მღელვარება და ფართომასშტაბიანი საპროტესტო გამოსვლები გამოიწვია.

მთავრობამ, გაფიცვების მიუხედავად, მაინც მიიღო კანონი. მემარჯვენე-ცენტრისტული ხელისუფლების განცხადებით, მოსახლეობის დაბერების ფაქტორის გათვალისწინებით, ხალხისთვის პენსიის დიდი პერიოდის განმავლობაში გადახდის შესაძლებლობები აღარ აქვს.

ჯერ კიდევ 8 ნოემბერს პრეზიდენტი აცხადებდა, რომ მთავრობამ საკუთარი შესაძლებლობები ამონურა და ცვლილებებს საჭიროებდა. პრემიერის ვაკანსიაზე რამდენიმე კანდიდატურა მოიაზრებოდა, მათ შორის ჟან-ლუის ბორლოო და ახალი თაობის რამდენიმე წარმომადგენელი.

თუმცა, მოლოდინების საპირისპიროდ,

ნიკოლა სარკოზიმ ფრანგულ ტრადიციას უღალატა და პრემიერი ფრანსუა ფიონი თავის ადგილზე დატოვა. საერთოდაც, სარკოზის „ახალ“ კაბინეტში ერთმანეთს ყველა კარგად იცნობს. რამდენიმე თანამდებობის გარდა პოსტები ყველამ შეინარჩუნა.

ფრანსუა ფიონის მიერ თანამდებობის შენარჩუნება, ფრანგი ანალიტიკოსების შეფასებით, პრეზიდენტსა და ფიონს შორის ძალაუფლების ბალანსის ცვლილებაზე მიუთითებს. ამასთან, პრეზიდენტ სარკოზისთვის გაცილებით სახიფათო იქნებოდა ფიონის მთავრობის გარეთ დატოვება. ახლანდელი პრემიერი სარკოზის მთავარ კონკურენტად მიიჩნევა და მასზე მაღალი რეიტინგი აქვს.

საფრანგეთის ახალი გუნდის ხელმძღვანელად ფიონის დატოვება რეალურ ალტერნატივებს შორის ყველაზე ოპტიმალური გადაწყვეტილება იყო, – ამბობენ ფრანგი ექსპერტები. კრისტიანა ლეგარდე, ლიბერალი მოსამართლე, საგარეო ურ-

თერთობებს წარმატებით გაართმევდა თავს, თუმცა შიდაპოლიტიკაში პარლამენტარების კონტროლი გაუჭირდებოდა. ჟან-ლუის ბორლოო ხარჯების გაზრდაზე (განსაკუთრებით სოციალურ პროგრამებზე) იქნებოდა ორიენტირებული და ეს მამინ, როდესაც საფრანგეთის საჯარო ფინანსებში კრიტიკური მდგომარეობაა. კონკურენტებთან შედარებით ფრანსუა ფიონს, რომელმაც 2007 წელს პირველმა ამცნო ქვეყანას ბიუჯეტის დეფიციტის და საფრანგეთის კრიზისული მდგომარეობის შესახებ, ფისკალური წინდახედულობა და ეკონომიკურ რეფორმებში დახვეწილი გეგმონება აქვს. სხვა საკითხია, რამდენად უშველის მისი წარმატებული რეზიუმე სარკოზის რეიტინგს, რომელიც რეკორდულად დაბალ მაჩვენებელზე – 26 პროცენტზეა.

არაპოპულარულ პრეზიდენტ სარკოზის ვერც ხელისუფლების რებრენდინგის მცდელობა გადაარჩენს. უკე შირაკის დროინდელი პრემიერ-მინისტრის ალან ჟუპეს და საგარეო საქმეთა მინისტრად ყოფილი იუსტიციის მინისტრის დანიშვნით ახალი კაბინეტი მეტისმეტად შირაკისეულ სენტიმენტებს აღძრავს.

საფრანგეთში ამაზე ხმამაღლა არავინ საუბრობს, თუმცა როგორც The Economist წერს, პრეზიდენტის პარტიის ზოგიერთ წარმომადგენელს ეჭვი ეპარება, ნიკოლა სარკოზი 2012 წლის არჩევნებში მათი სახელით მონაწილეობისთვის სწორი კანდიდატი იყოს. გასულ კვირას ჩატარებულმა ერთ-ერთმა გამოკითხვამ აჩვენა, რომ არჩევნებზე სარკოზის სოციალისტების ლიდერთან მარტინ აუბრთან წაგების დიდი შანსები აქვს, თუმცა, არჩევნებში ფიონის მონაწილეობის შემთხვევაში, ორივეს ამჟამინდელი პრემიერ-მინისტრი აჯობებდა.

საქართველო და ჩრდილოეთ კავკასია

# ჩეჩენები - ჰიხვიდი ბენოსიდი თანამედროვე ევროპაში

ჩერქეზთა უკანასკნელი ბრძოლა 1864 წლის 21 მაისს, ზუსტად იმ ადგილას გაიმართა, სადაც 2014 წლის ზამთარში რუსეთმა ოლიმპიადა საზეიმოდ უნდა გახსნას.

სოფო ბუკია



2014 წლის ზამთარში რუსეთის ყველაზე ძლევამოსილი პოლიტიკოსის, პრემიერ-მინისტრ ვლადიმირ პუტინის ბავშვობის ოცნება ასრულდება – ისტორიაში პირველად, რუსეთი ზამთრის ოლიმპიურ თამაშებს უმასპინძლებს.

ამ თარიღისთვის მზადება სრული დატვირთვით მიმდინარეობს. შენდება ახალი სპორტული კომპლექსები, ტურისტული ობიექტები, თანამედროვე ინფრასტრუქტურა.

2014 წლის ზამთრისთვის შავიზღისპირა ქალაქი სოჭი და მიმდებარე ტერიტორია ოლიმპიურ სასწაულად უნდა იქცეს და მთელი მსოფლიოს აღფრთოვანება გამოიწვიოს. სოჭის ოლიმპიადა

პრემიერ-მინისტრის პირადი პროექტია.

თუმცა, მანამდე კიდევ ოთხი წელია. შეიძლება, გაუთვალისწინებელი რამ მოხდეს, რაც ბატონ პუტინს ძალიან დაანაღვლიანებს: თუ მთელს მსოფლიოში მიმოფანტული მილიონობით ეთნიკური ჩერქეზი დაწყებულ საქმეს ბოლომდე მიიყვანს, ოლიმპიადის სოჭში გამართვა ეჭვქვეშ დადგება.

ისტორიული ცნობების თანახმად, იმ რაიონში, სადაც ოლიმპიური ცეცხლი უნდა აინთოს, 1864 წელს, რუსეთის იმპერიამ ასობით ათასი ჩერქეზი ამოხოცა და მილიონობით – გადაასახლა. 2014 წელს ამ მოვლენებიდან ზუსტად

150 წელი შესრულდება.

„რა მოხდებოდა, ვინმეს ოლიმპიური თამაშების გამართვის ადგილად აუშვინცი რომ დაესახელებინა?“ – ეკითხებიან ჩერქეზები საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს, თუმცა პასუხი ამ კითხვაზე არ მიუღიათ.

მე-19 საუკუნის ბოლომდე ჩერქეზები რუსეთის მთელ შავიზღვისპირეთში ცხოვრობდნენ – ანაპიდან აფხაზეთამდე, და აღმოსავლეთისკენ ჩეჩნეთის საზღვრებამდე.

კავკასიის ომის დროს ისინი რუსებს წინააღმდეგობას უწევდნენ და მათ სამხრეთისკენ სვლას აბრკოლებდნენ. ჩერქეზების ისტორია ამ რეგიონში 1864

ნელს დასრულდა, როცა ალექსანდრე მეორის ჯარმა კავკასია დაიპყრო.

რუსეთს ეს ომი ძვირი დაუჯდა. მებრძოხე მთიელების თავიანთ სამშობლოში – მთებსა და ძნელად მისადგომ ხეობებში დატოვება სახიფათო იყო. ჩერქეზები ზღვის სანაპიროსკენ გადარეკეს, თურქულ გემებში ჩატვირთეს და ოსმალეთის იმპერიისკენ გზას გაუყენეს. 300 ათასი ჩერქეზი მხოლოდ შიმშილისა და ავადმყოფობებისგან დაიღუპა.

ჩერქეზთა უკანასკნელი ბრძოლა 1864 წლის 21 მაისს, ზუსტად იმ ადგილას გაიმართა, სადაც 2014 წლის ზამთარში რუსეთმა ოლიმპიადის საზეიმოდ უნდა გაიხსნას.

საერთაშორისო ჩერქეზულმა ორგანიზაციამ თხოვნით მიმართა რუსეთის პრეზიდენტს დიმიტრი მედვედევს, დაეხმებოდა ჩერქეზთა ხსოვნის პატივსაცემად სოჭის ოლიმპიური თამაშების სიმბოლოს ნაწილი ჩერქეზული ემბლემაც ყოფილიყო, როგორც ეს ვანკუვერის ოლიმპიადაზე მოხდა (იქ ოლიმპიური თამაშების სიმბოლოდ კანადის ძირძველი მოსახლეობის ემბლემები გამოიყენეს).

სავარაუდოა, რომ ამ თხოვნას არავინ გაითვალისწინებს, რადგან ომი, რომელიც რუსეთმა კავკასიის დასაპყრობად დაიწყო, ჯერ არ დასრულებულა.

უფრო რადიკალურად განწყობილი ჩერქეზები – დიასპორის წარმომადგენლები და დეპორტირებულთა შთამომავლები, რუსეთის ხელისუფლებისგან გენოციდის ფაქტის აღიარებას, ბოდიშის მოხდასა და გადასახლებულ ჩერქეზთა შთამომავლების სამშობლოში დაბრუნების ხელშეწყობას მოითხოვენ. წინააღმდეგ შემთხვევაში, სოჭის ოლიმპიადისთვის საერთაშორისო დონეზე დაბრკოლებების შექმნით იმუქრებიან.

დღეს რუსეთი კვლავ იმ მითით ცხოვრობს, რომ კავკასიის ხალხები ნებაყოფლობითა და საკუთარი სურვილით შეუერთდნენ იმპერიას. ეს მითი დღესაც მუშაობს, როგორც ჩრდილოეთ კავკასიაში კრემლის მკაცრი პოლიტიკის ლეგიტიმაციის ერთ-ერთი საშუალება.

„სოჭში მოგზაურობამ გამაოგნა, არ იყო არავითარი კვალი იმისა, რომ აქ

ოდესმე ჩერქეზები ცხოვრობდნენ. არაა, საუბარია მათი ისტორიული სამშობლოს შუაგულზე – სოჭზე, საიდანაც ისინი ალექსანდრე მეორის არმიასთან დამარცხების შემდეგ განდევნეს. მე ვიპოვე მხოლოდ ერთი მსხლის ხე, რომელიც იმდენად ძველი იყო, რომ ის შეეძლო მხოლოდ მას დაერგო, ვინც აქ მე-19 საუკუნეში ცხოვრობდა. მხოლოდ ეს ხე ამტკიცებდა, რომ რუსებამდე აქ სხვებიც ცხოვრობდნენ,“ – ამბობს ოლივერ ბულოუ, ომისა და მშვიდობის გაშუქების ბრიტანული ინსტიტუტის (IWPR) რედაქტორი, ჟურნალისტი და ავტორი ნიგნისა „დაე, იდილოს ჩვენმა სახელმა: მოგზაურობა კავკასიის დამარცხებულ ხალხებთან“.

ბულოუ ჩერქეზების განადგურებას „თანამედროვე ევროპის ისტორიაში პირველ გენოციდს“ უწოდებს.

ჩერქეზები რუსეთის ფედერაციის ოთხ სუბიექტში – კრასნოდარის მხარე, ადიღე, ყარაჩაი-ჩერქეზეთი და ყაბარდო-ბალყარეთი – ძირძველ ეთნოსს წარმოადგენენ.

დღეს ჩრდილოეთ კავკასიაში მათი რიცხვი 700 ათასამდეა. ეს მაშინ, როცა დღეს იორდანიაში, თურქეთში, სირია-სა და ისრაელში 6-7 მილიონი ჩერქეზი ცხოვრობს.

სწორედ მრავალრიცხოვანი ჩერქეზული დიასპორა არ აძლევს რუსეთს საშუალებას, საბოლოოდ გაყინოს ეს საკითხი.

ჩერქეზი ჟურნალისტი და საზოგადო მოღვაწე ფატიმა ტლისოვა ამბობს, რომ შემთხვევითი არ არის ჩერქეზული მოძრაობების მხრიდან საერთაშორისო სამართალზე აპელირება და ძალადობის დაგმობა:

„რატომ არ აწყობს დღეს რუსეთს ჩერქეზული საკითხის განხილვა? მეორე ჩერქეზი ომის შემდეგ რუსეთი აცხადებდა, რომ კავკასიაში საერთაშორისო ტერორიზმს ებრძვის. და უცებ, ჩნდებიან ჩერქეზები, რომლებიც მშვიდობიანი გზით, ძალადობის გარეშე ცდილობენ საკუთარი უფლებებისთვის ბრძოლას. ამ თვალსაზრისით, ჩერქეზები ჩერქეზზე არანაკლებ სახიფათონი არიან, რადგან ამსხვრევენ რუსეთის



მითს ტერორიზმთან ბრძოლის შესახებ,“ – ამბობს ტლისოვა.

ბოლო ერთი წელია, ამ საქმეში ჩერქეზებს მოკავშირეებიც გამოუჩნდნენ: არ არის გამორიცხული, 2011 წლის გაზაფხულზე, საქართველოს პარლამენტმა მე-19 საუკუნეში ჩრდილოეთ კავკასიაში განვითარებული მოვლენები რუსეთის იმპერიის მხრიდან ჩერქეზი ხალხის გენოციდად აღიაროს.

ჩერქეზთა გენოციდის თემა მხოლოდ ნაწილია იმ ახალი პოლიტიკისა, რომელიც თბილისმა ჩრდილოეთ კავკასიასთან მიმართებაში 2008 წლის აგვისტოს ომისა და რუსეთის მიერ აფხაზეთისა და სამხრეთი ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარების შემდეგ წამოიწყო.

ჩრდილოეთ კავკასია, დღეს დენტის კასრს ჰგავს, რომელიც შეიძლება, ნებისმიერ დროს აფეთქდეს. საქართველო კი სახიფათო თამაშშია ჩართული და მის ახალ კავკასიურ პოლიტიკას ბევრი გამოცდა ელის.

რუსეთი კვლავ რჩება რეგიონის მთავარ მოთამაშედ და, სავარაუდოდ, ვერც ერთი სხვა ქვეყანა ვერ გაბედავს, შეუერთდეს იმ ინიციატივას, რომელიც საქართველომ წამოიწყო.

ღია მოკავშირეებს თბილისი ვერც კრემლის მიერ კონტროლირებად ჩრდილოეთ კავკასიაში იპოვის.

ჩერქეზების მიმართ ერთმნიშვნელოვანი მხარდაჭერის გამოხატვა აფხაზეზებამდე ვერ გაბედავს, რომლებიც



■ „კავკასიაში დასასვენებლად ჩასულმა ძალიან ცოტა რუსმა თუ იცის, რა დაუჯდა მის სამშობლოს ეს სუფთა ჰაერი, მთები და სამხრეთის მზე. სამაგიეროდ, ეს კარგად ახსოვთ ჩერქეზებს, ჩეჩნებს, ინგუშებს, თურქ-მესხებს და სხვა ხალხებს. რუსებმა მესხიერებაში არ შეინახეს თავიანთი ომები კავკასიაში. დაივიწყეს ისინი. ამ ომების მსხვერპლთა აჩრდილები არასოდეს მოასვენებენ რუსეთს“.

ჩერქეზებს საკუთარ ძმებად მიიჩნევენ. ქართულ-აფხაზური კონფლიქტის დროს 2 ათასზე მეტი ჩერქეზი აფხაზების მხარეს იბრძოდა.

ჩერქეზული სამყარო მოძმე აფხაზთა მხარდაჭერას აფხაზეთის ომის შემდეგაც აგრძელებდა – აწყობდნენ კონფერენციებსა და კონგრესებს, სადაც აფხაზეთის დამოუკიდებლობის მოთხოვნები ისმოდა. იმ დღეს კი, როცა რუსეთმა აფხაზეთის დამოუკიდებლობა აღიარა, ყაბარდობა-ბალყარეთის დედაქალაქში – ნალჩიკში, აფხაზეთის მოედანზე საზეიმო დემონსტრაცია გაიმართა.

დღეს, როცა თბილისი ჩერქეზების დამეგობრებას ცდილობს, ეს აფხაზებს ძალზე უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენებს. თუ საქართველო ჩერქეზების გენოციდს აღიარებს, აფხაზებს არჩევანის გაკეთება მოუწევთ – დუმილი შეინარჩუნონ და ამით რუსეთის პოლიტიკას აუბან მხარი, თუ კრემლის ინტერესების წინააღმდეგ წავიდნენ და მოძმე ხალხის გენოციდი საქართველოს შემდეგ მათაც აღიარონ.

ჯერჯერობით ოფიციალური სოხუმი პირველ ვარიანტს ირჩევს.

საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებს იმედი აქვთ, რომ თუ თბილისი ჩერქეზების გენოციდის აღიარების მიმართულებით პირველ ნაბიჯს გადადგამს, მას, მინიმუმ, ბალტიისპირეთის ორი ქვეყანა აუბამს მხარს.

„კავკასიის რეგიონი უკვე ძალიან დიდი ხანია იტანჯება დანაწევრებით, უსამართლობით, კონფლიქტებით, კოლონიზაციით, შუღლით და ძალადობით. რეგიონის ხალხი ძალიან ტოლერანტული იყო, მაგრამ მთავრობები და ხელისუფლებები ხელოვნურად ყოფდნენ მათ და აგებდნენ ისეთ კედლებს, რომლის გადალახვაც არავის შეეძლო. მე დღეს აქ იმისათვის მოვედი, რომ გითხრათ – ეს დრო წარსულს ბარდება და ოცნებას, ერთობასა და მშვიდობას გზავს ეხსნება. ღრმად მწამს, რომ საერთო ბაზარი, საზიარო ინტერესები, პოლიტიკურ-ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულება ერთ დღეს გაერთიანებულ კავკასიას დაუდებს საფუძველს“, – ეს მიხეილ სააკაშვილის სიტყვაა, რომელიც მან სექტემბერში გამართულ გაეროს ასამბლეაზე წარმოთქვა.

ნოემბერში თბილისში საერთაშორისო კონფერენცია გაიმართება, რომელიც კავკასიის რეგიონის, პირველ რიგში კი, სწორედ ჩერქეზების საკითხზე იმსჯელებს.

ბოლო ერთი წლის მანძილზე ეს უკვე მესამე კონფერენცია იქნება, სადაც კავკასიის თემაზე მომუშავე ცნობილი ექსპერტები და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, ჩრდილო კავკასიელი და ქართველი ისტორიკოსები თბილისში მოიყრიან თავს და ჩერქეზთა გენოციდის თემაზე ისაუბრებენ.

მარტის კონფერენციაზე ჩერქეზული ორგანიზაციების წარმომადგენლებმა ჩერქეზების გენოციდის აღიარების თხოვნით საქართველოს პარლამენტს ოფიციალურად მიმართეს.

საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტი უკვე მუშაობს ჩერქეზების საკითხის იურიდიულ ფორმულირებაზე. ქართველმა დეპუტატებმა უნდა გადაწყვიტონ – რა დაარქვან ჩერქეზების ეთნიკური ნიშნით განადგურების ფაქტს – გენოციდი თუ ჩერქეზი ხალხის ტრაგედია.

თუ გენოციდის აღიარება მართლაც მოხდა, საქართველო პირველი ქვეყანა იქნება, რომელიც 47-წლიან კავკასიის ომს კაცობრიობის წინაშე ჩადენილ დანაშაულად ოფიციალურად სცნობს.

ბრიტანელი ჟურნალისტის ოლივერ ბულოუს წიგნი ჩერქეზთა ისტორიის შესახებ ასე მთავრდება: „კავკასიაში დასასვენებლად ჩასულმა ძალიან ცოტა რუსმა თუ იცის, რა დაუჯდა მის სამშობლოს ეს სუფთა ჰაერი, მთები და სამხრეთის მზე. სამაგიეროდ, ეს კარგად ახსოვთ ჩერქეზებს, ჩეჩნებს, ინგუშებს, თურქ-მესხებს და სხვა ხალხებს. რუსებმა მესხიერებაში არ შეინახეს თავიანთი ომები კავკასიაში. დაივიწყეს ისინი. ამ ომების მსხვერპლთა აჩრდილები არასოდეს მოასვენებენ რუსეთს“.

სტატიაზე მუშაობდა მაია ნიკლაური.

თვალსაზრისი

# ჩხუდი ხავხასოფობიის ფენომენის შესახებ

რას ფიქრობენ რუსები კავკასიელებზე.

## ემილ სულეიმანოვი

რუსეთში ანტიკავკასიური განწყობების განსაკუთრებული გააქტიურება გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში დაიწყო.

ეს, პირველ რიგში, შიდაპოლიტიკური მოტივებით იყო განპირობებული. ბუნებრივია, არაფრისგან მტრის ხატის შექმნა ვერ მოხდებოდა. მტრის ხატი საზოგადოებაში არსებულ ნეგატიურ ასოციაციებზე დაყრდნობით ყალიბდება. ამ კონტექსტში კარგ მიზეზად იქცა კავკასიელების მიმართ არსებული სიძულვილის გრძნობა, რომელიც 80-იანი წლების ბოლოს, ნაციონალიზმის ზრდის ფონზე, ყოველდღიურ ცხოვრებაში რუსებსა და კავკასიური ერების წარმომადგენლებს შორის გაჩენილი უთანხმოებების საფუძველზე აღმოცენდა. საბჭოთა პერიოდში კავკასიისა და კავკასიელებზე არსებული ცრურწმენები, ძირითადად, პოზიტიურ ხასიათს ატარებდა.

თუმცა, 1970 წლების ბოლოდან, განსაკუთრებით კი 80-იანების დასაწყისიდან ვითარება შეიცვალა.

მე-19 საუკუნის რუსული ლიტერატურის კლასიკაში შექმნილი „თავისუფლად მოაზროვნე მთიელის“ რომანტიკული სახე გასული საუკუნის 50- 60-იან წლებში საბოლოოდ ჩანაცვლდა „უმცროსი ძმის“ იმიჯით.

აქ ის უკვე ახირებული, თუმცა სიმპათიური და ტემპერამენტიანი „სამხრეთელი-ქართველი“, კავკასიური კურორტების „გმირი-საყვარელი“, რომლის მიმართ, როგორც წესი, ყველა

გულმონყალა.

70-იანი წლების მეორე ნახევარში რუსეთის ქალაქებსა და რეგიონებში კავკასიელების იმიგრაცია იზრდება. ეს პროცესი, პირველ რიგში, ეკონომიკური მიზეზებით იყო განპირობებული და 80-იან წლებში კიდევ უფრო გაძლიერდა.

**ერთი სახელმწიფოს ქვეშ მრავალი ათწლეულის განმავლობაში თანაცხოვრების მიუხედავად, რუსებმა კავკასიელი ერების ტრადიციებისა და კულტურის უფრო ღრმა ცოდნა ვერ შეიძინეს. კავკასია მათთვის ვერ გასცდა გარკვეულ „სიმბოლიკას“ – მთები, ხანჯალი, სისხლის აღება, ჯიგიტი, ადათი, მწვადი, ღვინო.**

უცხო გარემოში მოხვედრამ, სადაც მათ გამოჩინას, ჩვეულებრივ, არ მიესალმებოდნენ, კავკასიელები დაარწმუნა, რომ ისინი მხოლოდ საკუთარ თავს უნდა დაეყრდნონ და ადგილობრივ მოსახლეობასთან კონკურენციაში საკუთარი ადგილი მოიპოვონ.

ამავე მიზეზით, მათში სულ უფრო ძლიერდებოდა კლანური და ეთნიკური ერთობისა და მობილიზაციის მექანიზმები. ზოგიერთმა ახალგაზრდა კავკასიელმა კლანურ-ეთნიკურ პრინციპზე დაფუძნებული დანაშაულებრივი ჯგუფების ჩამოყალიბებაც დაიწყო.

თუმცა უფრო მეტად გადამწყვეტი აღმოჩნდა კულტურული ფაქტორი.

როცა კავკასიელებმა რუსეთის ქალაქებში დაიწყეს ცხოვრება, მათი სახასიათო მარკერები, რომელიც თავდაპირველად პოზიტიურად აღიქმებოდა, რუსებმა უკვე ძალზე ნეგატიურ კონტექსტში აღიქვეს. მაგალითად, კავკასიელთა სიამაყე ქედმაღლობად იქცა, ტრადიციულობა – ჩამორჩენილობად, ინიციატივობა – თავხედობად, გაბედულება – აგრესიულობად, აქტიურობა – უხეშობად და ა.შ.

ერთი სახელმწიფოს ქვეშ მრავალი ათწლეულის განმავლობაში თანაცხოვრების მიუხედავად, რუსებმა კავკასიელი ერების ტრადიციებისა და კულტურის უფრო ღრმა ცოდნა ვერ შეიძინეს და დღემდე სტერეოტიპულად აზროვნებენ. კავკასია მათთვის ვერ გასცდა გარკვეულ „სიმბოლიკას“ – მთები, ხანჯალი, სისხლის აღება, ჯიგიტი, ადათი, მწვადი, ღვინო და ა.შ. რუსებს, ზოგადად, საბჭოთა კავშირში შემავალ ყველა ერზე მსგავსი ტიპის ქედმაღლური „ცოდნა“ აქვთ.

რუსი მოსახლეობის სტერეოტიპებს იმის შეგრძნებაც ამძაფრებს, რომ კავკასიელები „ყველგან“ „ძალიან დიდი რაოდენობით“ არიან. კავკასიელებმა „მთელი ქალაქი ხელში ჩაიგდეს“, „ყველაფერი მიითვისეს“, „ისინი ყველგან არიან“ და ა.შ.

ამ შიშებზე, გარკვეულწილად, ის ფაქტიც მოქმედებდა, რომ კავკასიელები, რომლებიც რუსეთში ეკონომიკური მიზეზებით ჩადიდნენ, სწრაფი მოგების

მიღების მიზნით როგორც სავაჭრო სფეროში, ასევე სახელმწიფო სექტორებშიც იკავებდნენ ადგილებს.

კავკასიურ საზოგადოებებში, რუსულისგან განსხვავებით, წარმატების და სიმდიდრის შესახებ განსხვავებულად მსჯელობენ.

რუსეთში დღესაც არსებობს სტერეოტიპი, რომლის მიხედვითაც სიმდიდრისა და წარმატების მიღწევა კეთილსინდისიერი შრომით შეუძლებელია. ეს წარმოდგენა მოსახლეობის უმრავლესობის თვალში ბევრი წარმატებული კავკასიელის „საეჭვო“ ქცევას ადასტურებს.

ამასთან, შექნილი და დაგროვილი სიმდიდრის დემონსტრირება და ამით თავის მონონება კავკასიელებისთვის ძალიან ტიპურია და თანამემამულეებს შორის სოციალური სტატუსის აწევის გზად მიიჩნევა. ასეთი ქცევა კი ადგილობრივ მოსახლეობაში თავხედობად აღიქმებოდა. კავკასიელები ფულს „ჩვენს ხარჯზე შოულობენ“, „გვატყუებენ“, „ჩვენი მართვა სურთ“ – ამას ხშირად გაიგონებთ რუსულ საზოგადოებაში.

დღეს კავკასიელების შესახებ სტერეოტიპებს სახელმწიფო პოლიტიკაც კვებავს. რამდენიმე წლის წინ, როდესაც მოსკოვი ქალაქის ხელისუფლებას ირჩევდა, ტელევიზიით გადიოდა ერთ-ერთი პოლიტიკური პარტიის რეკლამა, სადაც კავკასიური გარეგნობის მსუქანი მამაკაცი საზამთროს ჭამს და ქერქს ძირს აგდებს. „გავათავისუფლოთ მოსკოვი ნაგვისგან!“ – ისმოდა კადრს მიღმა ხმა. მართალია, ამ ქსენოფობიურმა რეკლამამ რუსეთში გარკვეულ ძალთა პროტესტი გამოიწვია, მაგრამ ის მაინც კარგად გამოხატავდა საზოგადოებაში გაბატონებულ განწყობებს.

კავკასიელების შესახებ ნეგატიური სტერეოტიპები ორი რუსულ-ჩეჩნური ომისა და განსაკუთრებით, რუსეთის ქალაქებში მომხდარი ტერორისტული აქტების შედეგად კიდევ უფრო გამძაფრდა.

2008 წლის რუსულ-ქართული ომის შემდეგ კი რუსეთის ნაციონალურმა არხებმა ლამის რიგითი ქართველების-



გან დაინყეს მტრის ხატის შექმნა.

ჩრდილოეთ კავკასიისგან კი იგივე ტელეარხები, უკვე წლებია, დედამიწის შავ ხვრელს ქმნიან, რათა ამ რეგიონში კრემლის მკაცრი პოლიტიკა გაამართლონ.

შედეგად, სოციოლოგიური გამოკითხვების თანახმად, „კავკასიური ერები“ რეგულარულად წამყვან პოზიციებზე არიან იმ ქვეყნების რეიტინგში, რომლებიც რუსებს საკუთარ მტრებად მიაჩნიათ. ■





# ჯიტი ქალი - ოხი სსოვხება

შრომის ხარვეზებით სავსე კოდექსი, გენდერული სტერეოტიპები და დისკრიმინაცია – ეს ყველაფერი კითხვას – შვილი თუ კარიერა – თანამედროვე ქართველი ქალებისთვის კიდევ უფრო ამძაფრებს.

**თამარ ბაბუაძე, დიანა ჩაჩუა**

„დედასთან გადაბმულად 5 დღეც კი არ გამიტარებია. ბებია და ბაბუა მზრდიდნენ. ამიტომ თავიდანვე საკუთარ თავში ჩავიკეტე, უხასიათო და გულჩათხრობილ ადამიანად ვიქეცი. ერთხელ მახსოვს, ვტიროდი, დედაჩემი მომიახლოვდა და ჩახუტება დააპირა. უხეშად ვუპასუხე, როცა მჭირდებოდი, სად იყავი-მეთქი? ასე მიპასუხა, შენთვის და შენი დისთვის ვმუშაობდი, რომ არაფერი მოგკლებოდათ. თუმცა, ალბათ, მან ვერ გააცნობიერა, რომ მე მთავარი მაკლდა: დედის სითბო და ყურადღება“.

ამ ისტორიას 32 წლის ქეთევანი იხსენებს, რომელიც ახლა თვითონაა გოგონას დედა და თან დღე და ღამე მუშაობს. 4 წლის ანასტასია ძიძასთან იზრდება, დედას მხოლოდ დაწოლამდე ორი საათით ადრე ხედავს და მერე დიდხანს ვერ იძინებს – იმ დროს, როცა უკვე ტკბილ სიზმრებს



უნდა ხედავდეს, ალგზნებული, დედას ეთამაშება და მასთან ურთიერთობის დანაკლისს ასე ივსებს.

ანასტასია, როგორც ძიძას მიბარებული ბავშვი, დღეს უმრავლესობას წარმოადგენს. მხოლოდ ერთი სააგენტოს, „მერი პოპინისს“ მონაცემთა ბაზაში 2 ათასამდე ძიძაა, მათგან სააგენტო ყოველთვიურად საშუალოდ 15-მდე ქალს ასაქმებს. 1990-იანი წლების შემდეგ დაბადებული ბავშვები კი იმ თაობას ქმნიან, რომელთაც, უხეშად „უდედოდ გაზრდილი თაობაც“ შეიძლება, ვუწოდოთ.

ამიტომ თითოეულ იმ ქალს, ვინც დღეს სრული დატვირთვით მუშაობს, საკუთარი შვილების მიმართ დანაშაულის გრძნობა არ ასვენებს და უკვე იცის, რომ წლების შემდეგ აუცილებ-

ალიზაცია და საზოგადოების აქტიურ წევრად ქცევა.

თანდაყოლილი ბიოლოგიური ფუნქცია თუ სოციალური ინტერესები – დაპირისპირება დღეს მათ შორის მწვავეა, როგორც – არასდროს.

37 წლის ნიუ იორკელი ქალი, მარისა თალბერგი, რომელიც UNICEF-ის ბავშვების კეთილდღეობის შესახებ ვრცელი მოხსენების ერთ-ერთი რეალური გმირია, დიდი ხანია, რაც მალვიძარას აღარ იყენებს. ხუთი წლის წინ ეს ფუნქცია მისმა გოგონამ, ჰანამ შეითავსა, ახლა დას ხუთი თვის ეივერიც ეხმარება. თვალის გახელისთანავე, მარისა, მილიონობით სხვა ქალის მსგავსად, ერთვება დილის რიტუალების „ორგანიზებულ ქაოსში“ და იწყებს ნამდვილ ბრძოლას იმისთვის, რომ

ბი, და სხვა ამერიკელი ქალები უკვე წლებია, ცდილობენ, ხარვეზებით საკვებ კანონმდებლობა და შვილებიანი ქალებისადმი დისკრიმინაციული დამოკიდებულება. მშობიარობისა და ბავშვის აღზრდისთვის გამოყოფილი დრო და დაფინანსება მცირდება, ბევრ კომპანიაში ქალებს სულ უფრო ხშირად აგრძობინებენ, რომ დეკრეტულ შვებულებაში ხანგრძლივად გასვლა მისაღები არ არის, მამებისთვის დეკრეტული შვებულების დაწესება კი ჯერ კიდევ არ ქცეულა ტენდენციად.

კანონმდებლობის პრობლემა კიდევ უფრო მწვავედ დგას საქართველოში მცხოვრები იმ ქალებისთვის, რომლებიც დედებიც არიან და მუშაობენ კიდევ.

35 წლის ნინო ერთ-ერთი ფარმაცე-

## ■ პოპულარული გამოთქმა, რომლის ავტორიც, სავარაუდოდ, მამაკაცი უნდა იყოს – „ქალი სამზარეულოში ვიცი მე“ – ბევრი ქართველი ქალისთვის დღემდე რეალობად რჩება.

ბლად მოუწევს, პასუხი გასცეს შვილის საყვედურით სახე კითხვას – რა იყო მაშინ ჩემზე უფრო მნიშვნელოვანი? სად იყავი მაშინ, როცა ძალიან მჭირდებოდი?

ქეთევანი ამ წუთის დადგომას შიშით ელის. ამ კითხვაზე ერთმნიშვნელოვანი პასუხის მოძებნა დედამისივით, მასაც უჭირს.

შვილი თუ კარიერა – ეს კითხვა თანამედროვე მსოფლიოში დღეს კიდევ უფრო აქტუალურია, ვიდრე თუნდაც ოცი წლის წინ იყო. ბოლო სტატისტიკის მიხედვით, ქალები მთელი მსოფლიოს მუშახელის თითქმის ნახევარს შეადგენენ და ძალიან ხშირად წამყვან, აღმასრულებელ თანამდებობებზეც გვხვდებიან.

პროცესმა, რომელიც 1960-იან წლებში გაშლილი ფემინისტური მოძრაობით დაიწყო, მოსპო კითხვის ნიშნები იმის შესახებ, ქალსაც მამაკაცის მსგავსად სჭირდებოდა თუ არა თვითრე-

როგორმე ერთმანეთს შეუთავსოს შვილებისა და სამსახურის ურთიერთსაწინააღმდეგო ინტერესები.

მარისა მსხვილი სარეკლამო სააგენტოს აღმასრულებელი დირექტორია და პირველი შვილის გაჩენისთანავე მტკიცედ გადაწყვიტა, რომ სამსახურს აუცილებლად დაუბრუნდებოდა. ეს არჩევანი მან არა მხოლოდ ფინანსური მოსაზრებების გამო გააკეთა, არამედ იმიტომაც, რომ მისი თანამდებობა მას თვითკმარობის ძლიერ განცდას ანიჭებდა. 2002 წელს მარისამ შექმნა ჯგუფი „აღმასრულებელი დედები“, რომელიც ყველა მისნაირ დედას აერთიანებს. ამ ჯგუფის წევრი ქალები ერთმანეთს გამოცდილებას უზიარებენ და ერთმანეთისგან სწავლობენ, როგორ გაიკეთონ უკეთესი კარიერა და ამავდროულად, უკეთესი დედებიც გახდნენ.

ძირითადი პრობლემები, რომელთან გამკლავებასაც ამ ჯგუფის წევრე-

ვტული კომპანიის თანამშრომელია. ორი წლის წინანდელ დეკრეტულ შვებულებას ის ასე იხსენებს: „დეკრეტში გავედი და მეორე დღეს ვიმშობიარე კიდევ. სამსახურის დაკარგვა არ მინდოდა და ლამის ბოლო წუთამდე ვმუშაობდი. სამი თვეც არ იყო გასული, რომ უკან დავბრუნდი, ბავშვი დედას დაუფტოვე, აბა, რა მექნა, ჩემს ადგილზე სხვას მიიყვანდნენ“.

არადა, ნინოს საკუთარი უფლებები კარგად რომ სცოდნოდა, შეეძლო საკუთარი უფროსისგან 477 დღიანი შვებულება მოეთხოვა. თუმცა, კანონმდებლობის მთელი პარადოქსი ისაა, რომ თითქმის ყველა მუხლის შესრულება სავალდებულოა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი დასაქმებული ქალი ამას მოითხოვს. უფლებების არცოდნის და სამსახურიდან დათხოვნის შიშით კი დასაქმებული ქალები იშვიათად ითხოვენ თავიანთი უფროსებისგან შრომის კოდექსით გათვალისწინე-

ბული მუხლების დაცვას. პრობლემას ართულებს ისიც, რომ მათ არც კონტრაქტით განსაზღვრული პირობები იცავს. არადა, კონტრაქტი, ეს ის ბერკეტი, რომელსაც დასავლეთში მცხოვრები ქალები, დისკრიმინაციის შემთხვევაში, ეფექტურად იყენებენ ხოლმე, თუნდაც სასამართლოში საქმის აღსაძვრელად.

დედობასა და სამსახურს შორის დროის უფრო ხარისხიანად განაწილებაში ქართველ ქალებს ისიც უშლით ხელს, რომ დეკრეტული შვებულება ძალიან მცირე თანხით ფინანსდება. შვებულების ანაზღაურებაში სახელმწიფო არ ერთვება, დამქირავებელს კი მხოლოდ ის მოეთხოვება, რომ ქალს ერთჯერადი თანხის სახით სულ 600 ლარი გადაუხადოს. 600 ლარი –

ეს თანხა კი შეიძლება მხოლოდ ბავშვის სანაწილის ანდა ეტლის შეძენას ეყოს და არავითარ შემთხვევაში, მობიარობისა და ახალშობილის პირველ დღეებთან დაკავშირებულ კიდევ უფრო დიდ ხარჯებს.

დაუცველობა და მომავლის შიში, რომელსაც თითოეული საქმიანი დედა გრძნობს, საქართველოში კიდევ უფრო მწვავედა. ბაგა-ბალი ან ძიძის ინსტიტუტი კი გამოსავალი არაა. რთულია, იპოვო ისეთი საბავშვო ბაღი, რომელსაც ბავშვის აღზრდას ბოლომდე მიანდობდი და კიდევ უფრო რთულია, იპოვო იდეალური ძიძა იმ ფონზე, რომ ამ სტატუსს ხშირად ბავშვის ფსიქოლოგიის არმცოდნე და პატარებთან ურთიერთობაში სრულიად გამოუცდელი ქალები ირგებენ.

საქმიანი დედების სამოთხედ სკანდინავიის და ბენილუქსის ქვეყნები ითვლება. მაგალითად, შვედეთში, 16-თვიანი ანაზღაურებადი დეკრეტი დედასაც ისევე ეკუთვნის, როგორც – მამას. ფინანსებს ამ შემთხვევაში სახელმწიფო და დამსაქმებელი ინაწილებენ. ამ 16 თვიდან მამებს კანონით, სულ მცირე, ორთვიანი დეკრეტული შვებულება ერგებათ. ისინიც ისევე რჩებიან სახლში შვილის მოსაგულად და სხვა საოჯახო საქმეების მოსაგვარებლად, როგორც – დედები.

საქართველოს კანონმდებლობა ცნებას – დეკრეტული შვებულება მამებისთვის – არ ცნობს. თუმცა, კანონში ასეც რომ ეწეროს, ძნელი წარმოსადგენია, ქართველი მამაკაცების უმრავლესობამ ახალშობილი შვილის

ახის თუ ახა მახსოხელობა ქალის აჩრქვანი



სხვადასხვა კვლევით დასტურდება, რომ 25-დან 44 წლამდე ასაკის ქალების 10 პროცენტი მარტოხელეები არიან. 2026 წლისთვის კი მათი რიცხვი 70 პროცენტს მიაღწევს. გამოკითხულთა ნაწილი ბედს არ უჩივის და კარიერული წარმატებაც კმაყოფილებას ჰგვრის,

თუმცა სხვები ამბობენ, რომ შვილის გაჩენისთვის სასურველი ასაკი უბრალოდ გამოეპარათ.

ეკონომისტი სილვია ანა ჰიულეტი 2002 წელს გამოცემულ წიგნში „სიცოცხლის დაბადება: საქმიანი ქალი და დედობის სურვილი“ კონკრეტულ სტატისტი-

კაზე დაყრდნობით წერს, რომ ბოლო 20 წელიწადში უშვილო ქალთა რიცხვი გაორმაგდა. მის მიერ გამოკითხული ყოველი 5 ქალიდან ერთს შვილი არ ჰყავდა. ამ ჯგუფში მრავლად იყვნენ ისეთი ქალები, ვისთვისაც შვილის გაჩენა არასოდეს ყოფილა პრიორიტეტი, თუმცა დანარჩენებმა აღიარეს, რომ უშვილობა მათი პირადი არჩევანი არ იყო. უბრალოდ, მათ დამღლეი სამსახურისა თუ ხშირი მოგზაურობების გამო სერიოზული ურთიერთობებისთვის დრო არ დარჩათ და დედობაზე ფიქრი მაშინ დაიწყეს, როდესაც ეს უკვე ძალიან გვიან იყო. როგორც წესი, 42 წლის ასაკის ქალებისთვის პირველი ბავშვის ყოლის შანსი 10 პროცენტია, – წერს ჰიულეტი და ქალის ბიოლოგიური საათის შეუქცევადობაზე საუბრობს.

თუმცა, ავტორი ცდილობს, ქალებს გამოსავალი შესთავაზოს. ჰიულეტი წერს: სერიოზული ურთიერთობებისთვის სასურველი ასაკი ქალისთვის 29-30 წელია, რადგან მანამდე მამაკაცები ამისთვის ნაკლებად არიან მზად.

20-დან 30 წლამდე პერიოდი ქალის პერსონალური ზრდის ეტაპიცაა. ეს ის დროა, როცა ქალმა განათლებაზე, პირველი სამსახურის შოვნაზე უნდა იზრუნოს. შემდეგ უკვე დგება ეტაპი, როცა პირად ცხოვრებაზე გადართვაა უმჯობესი, ამ დროს პროფესიულ კომპრომისზე წასვლაც ღირს. „შეიძლება, რაღაცების დათმობა დაგჭირდეთ. მაგრამ დაკარგული დროის ანაზღაურებასა და საკუთარ თავში ახალი ინტერესების აღმოჩენას ყოველთვის შეძლებთ“.

## უშვილობა, ხობოხს აჩქავანი



მას შემდეგ, რაც ქალები შრომის ბაზარზე მამაკაცების თანასწორ მუშახელად იქცნენ, შვილის გაჩენას ისეთივე ცივი გონებით ეკიდებიან, როგორც ახალი სამსახურის შერჩევას.

ბევრისთვის კარიერამ იმხელა დაცვირთვა შეიძინა, რომ დედობაზე, როგორც თანდაყოლილ ფუნქციაზე, საერთოდ, უარი თქვა. შედეგად, დღეს მსოფლიოში ქალთა ფართო მოძრაობა გაშლილი დევიზით – „არა ბავშვებს“. დაახლოებით ასეთი თემატიკით ინტერნეტში უამრავი ქალის ბლოგს წააწყდებით. ამ წრეში უკვე დამკვიდრებულ ტერმინებად იქცა ფრაზები: „თავისუფლება ბავშვებისგან“, „უშვილობა – ეს ჩემი არჩევანია“ და ასე შემდეგ.

არსებობენ ისეთი ქალებიც, რომლებიც არასასურველი ორსულობისგან თავს საშვილოსნოს არხების ჩაკეცილობით იცავენ. ეს პროცედურა მათ ნანატრ თავისუფლებას ანიჭებს და დედობის შანსს სამუდამოდ უკარგავს.

ქართველი რეპროდუქტოლოგების თქმით, ოჯახის დაგეგმვა ქართველი წყვილებისთვისაც მიღებული ფორმა გახდა. ქართველი ქალებიც ზოგჯერ დედობის ასაკს სწორედ კარიერაში წინსვლის მიზეზით ავადებენ.

მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში, 20-დან 30 წლამდე ასაკის ქალები ცდილობენ, მაქსიმალურად ბევრს მიაღწიონ კარიერაში და მხოლოდ ამის შემდეგ იწყებენ ოჯახის შექმნასა და ბავშვის გაჩენაზე ფიქრს.

თუმცა, შარშან ინგლისის სამეფო კოლეჯში ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ პირველი ბავშვის გაჩენისთვის ოპტიმალური ასაკი 20-35 წელია.

აღზრდაზე პასუხისმგებლობა ცოლთან თანაბრად გაინაწილოს.

პოპულარული გამოთქმა, რომლის ავტორიც, სავარაუდოდ, მამაკაცი უნდა იყოს – „ქალი სამზარეულოში ვიცი მე“ – ბევრი ქართველი ქალისთვის დღემდე რეალობად რჩება. ერთადერთი ცვლილება ისაა, რომ დღეს სამზარეულო ქალისთვის არა ერთადერთ სამუშაო ადგილს, არამედ სამსახურის შემდგომ, დამატებით საღამოს „ცვლას“ წარმოადგენს. ქართველი ქალების დიდი ნაწილი, ამ სტერეოტიპების გამო, ბაგა-ბაღში თუ ძიძასთან დატოვებული შვილებით გამოწვეულ სინდისის ქენჯნას სრულიად მარტო უმკლავდება. მეუღლის თანადგომა და მონაწილეობა ბავშვის გაზრდისას, ანუ ის, რაც დასავლეთში მცხოვრები ქალებისთვის თითქმის კანონით არის გამყარებული, ჩვენთან ჯერ კიდევ ერთეული ოჯახების ხვედრია.

„არ მესმის, რატომ აიგივებენ ქალის ოჯახურ საქმიანობას მხოლოდ სამზარეულოსთან და ჭურჭლის რეცხვასთან. ქალის უმთავრესი მოვალეობა შვილების აღზრდაა და თუ ამას კარიერის დათმობა სჭირდება, ქალმა ის აუცილებლად უნდა დათმოს. არა, ქალის პროფესიული წინსვლის წინააღმდეგი კი არ ვარ, უბრალოდ ამას მაშინ აქვს ფასი, როცა ოჯახთან ჰარმონიულადაა შერწყმული,“ – ამბობს 27 წლის სოფო, რომელსაც ორი შვილი ჰყავს. მათ გამო სამსახურზე უარის თქმა მოუხდა, თუმცა ამაზე არასოდეს უნანია.

სოფოს მსგავს შემთხვევაზე ფსიქოლოგები ამბობენ, რომ ქალის ამგვარ არჩევანზე გაგლენას, სავარაუდოდ, ან მეუღლე, ან მცდარად გაგებული რელიგიურობა, ანდა დაბალი თვითშეფასება ახდენს. დგება მომენტი, როდესაც ქალები მხოლოდ „დედობის კარიერით“ იღლებიან, ხვდებიან, რომ ძალიან ბევრი დრო დაკარგეს შინ ყოფნით, სასონარკვეთა იპყრობით და ეს ყველაფერი უარყოფითად, პირველ რიგში, ისევ მცირეწლოვან შვილებზე აისახება.

თბილისის ინტერნეტ-ფორუმი სავსეა მსგავსი აღმოჩენებით:

„ბავშვი რომ მეყოლა, 3 თვე სახლში ვიყავი. ვგრძნობდი, რომ უკვე ვეღარ ვუძლებდი სახლში ჯდომას და ნევროზი დამენყო. როგორც კი სამსახურში გამოვედი, ეგრევე შევიცვალე. სამსახური მარტო ხელფასისთვის არ მინდა, ეს თვითრეალიზაციის გზაა, ეს არის ადგილი, სადაც შეგიძლია შენი პირადული ფიქრები გვერდზე გადადო და განიტვირთო“, – ამბობს 27 წლის ქეთი.

„მე ვმუშაობ, ბავშვები ბაღში დადიან (2.5-ის და 4 წლის). დღის განმავლობაში მათ დაძინებამდე მხოლოდ 2 საათით ვხედავ. სამსახურიდან მოსულს და გადაღლილს სულ იმის შეგრძნება მრჩება, რომ ვერ ვაგრძნობინე ის სითბო, რაც მათ ჩემგან ფულზე მეტად სჭირდებათ. სამაგიეროდ, სახლში რომ ჩავჯდე, ვიცი, რომ მალე შევიშლები და შემდეგ ეს ჩემი ბავშვების ფსიქიკაზე იმოქმედებს ცუდად,“ – ყვება 26 წლის ნინო.

თუმცა, „დაკარგული დროის“ განცდა ნაცნობია მათთვისაც, ვინც შვილებს კარიერის საუკეთესო წლებში აჩენს. ასეთ დროს მძაფრდება გაღიზიანება გვერდით ჩავლილი შემოთავაზებების, ტრენინგების, კონტრაქტებისა თუ მოგზაურობის გამო.

ამიტომ ჰგონია ბევრ ქალს, რომ მუდმივი კომპრომისებით ცხოვრობს, რომ სამსახურსა და შვილებს შორის დროის განაწილებისას ორივე მხარეს დათმობებზე წასვლა უნევს და ვერც კარიერაში აღწევს მაქსიმუმს და ვერც შვილებთან ურთიერთობისას.

თუმცა, თანამედროვე საქმიანმა დედებმა არჩევანი უკვე გააკეთეს. ეს ჯერ კიდევ მაშინ მოხდა, როდესაც ქალებმა სრულიად გააზრებული ბრძოლის შედეგად არჩევნებში ხმის უფლება მოიპოვეს და თავი საზოგადოების სრულფასოვან წევრებად გამოაცხადეს. ახლა ქალი გლობალურ შრომით ბაზარზე ისეთივე ჩვეულებრივი მუშახელია, როგორც – მამაკაცი. დედობა კი მისთვის ხელისშემშლელი ფაქტორი მხოლოდ იმ შემთხვევაში აღარ არის,

როდესაც ქალი სწავლობს, როგორ გამოიყენოს შვილისთვის გამოყოფილი თუნდაც მცირე დრო მასთან სრულფასოვანი ურთიერთობისთვის.

დასავლეთის ქვეყნების გამოცდილებით, გამოსავალი ერთ მარტივ სიტყვაშია – ბალანსი. როგორც აღმოჩნდა, სწორად განაწილებული დრო – გააზრებული ურთიერთობა შვილთან და სამუშაო საათების პროდუქტიულად გამოყენება ქალისთვის ორივე „ფორონტზე“ წარმატების წინაპირობა ხდება. ფსიქოლოგების რჩევა, ერთი შეხედვით, მარტივია – იმ რამდენიმე საათს, რომელსაც შვილთან ატარებთ, ნუ გაატარებთ სადილის მომზადებასა და სახლის დალაგებაში, თქვენი ყურადღების ცენტრი თქვენი პატარა უნდა გახდეს. მით უფრო, რომ ამის გაკეთება შინ საქმიანობის პარალელურადაც შეიძლება – მეუღლესთან და შვილებთან ერთად მოამზადეთ ვახშამი, ერთად დაალაგეთ სახლი, თუკი, ეს აუცილებელია, რადგან მთელი დღის განმავლობაში დედის სიახლოვეს მოკ-

ლებულ პატარას სწორედ ეს „ერთად ყოფნა“ ენატრება. ასევე სამსახურში – ეცადეთ თქვენი სამუშაო საათები მაქსიმალურად პროდუქტიულად გამოიყენოთ, რომ გვიანი საღამოების ოფისში გატარება არ მოგიწიოთ.

workingmomsagainstguilt.com (საქმიანი დედები დანაშაულის გრძნობის წინააღმდეგ) – ეს მისამართი ოთხი საქმიანი ქალის ბლოგს აერთიანებს. ისინი წერენ იმის შესახებ, თუ როგორ უმკლავდებიან სამსახურებრივ სტრესს და როგორ ზრუნავენ პროფესიულ განვითარებაზე, მცირეწლოვანი შვილების გაზრდის ფონზე.

„გულწრფელად ვაღიარებ, რომ შინ გატარებული, ხმაურიანი უქმეების შემდეგ მოსული მშვიდი ორშაბათი ძალიან მიყვარს; მიყვარს იმის გააზრება, რომ მაგიდა, რომელსაც სამსახურში ვუზივარ, ჩემია, ეს ჩემი პირადი სივრცეა, ეს ის ადგილია, სადაც ჩემი უნარების გამო მაფასებენ... მაგრამ ამავე დროს ვაღმერთებ იმ მომენტსაც სამუშაო დღის ბოლოს,

როცა ჩემს პატარას ბალის ეზოსთან ვხვდები და გულში ვიკრავ. სულმოუთქმელად ველი შაბათ-კვირასაც, როცა დღესასწაულად იქცევა ხოლმე თუნდაც წვრილმანი დეტალები და აღმოჩენები, რომ მაგალითად, კვირა დილას ჩემებისთვის მომზადებულ ერო-კვერცხს, შემწვარ ბეკონსა და ახლად გამოცხვარ ბისკვიტებს, სულ სხვა გემო აქვს, და რომ თურმე, ჩემი პატარა გოგო უკვე ასობესაც არჩევს და სიტყვებსაც თითს აყოლებს, როდესაც „წყნარი საათის“ დროს, მის საწოლზე წამოწოლილი, 64-გვერდიან „პრინცესას ნიგნს“ ვუკითხავ. კვირის განმავლობაში სწორედ ამ საოცარ დეტალებზე ფიქრი მაძლებინებს. ვხვდები, რომ შვილებთან ურთიერთობა კიდევ უფრო ძვირფასია ჩემთვის იმიტომ, რომ მათთან კვირის შეიდივე დღეს არ ვატარებ. ასე ჩვენი თითოეული შეხვედრა მართლაც დღესასწაულს ემსგავსება. როცა მათთან ვარ, მთელი არსებით მათი ვარ, პასუხადაც იმავე გრძნობას ვიღებ“.

ჩა ბავჯენას ხხენს ექომბა ქალის ახიჩიჯზე



ორი წლის წინ დიდ ბრიტანეთში ჩატარებული კვლევით დასტურდება, რომ პროფესიონალი ქალები შვილის გაჩენის შემდეგ, იძულებულები არიან, მათი კვალიფიკაციისა და განათლებისათვის შეუსაბამო

სამსახურში მუშაობას დათანხმდნენ. სამეფო ეკონომიკური საზოგადოების ყურნალში გამოქვეყნებულ ნაშრომში ნათქვამია, რომ პროფესიონალი ქალების თითქმის ნახევარი შვილის გაჩენის

შემდეგ კომპრომისზე მიდის და ისეთ სამსახურში აგრძელებს კარიერას, სადაც თანამშრომელთა უმეტესობას მათზე გაცილებით დაბალი კვალიფიკაცია აქვთ.

იმ ქალების ერთმა მესამედმა, რომლებიც ბავშვების გაჩენამდე აღმასრულებელ თანამდებობებზე მუშაობდნენ, მშობიარობის შემდეგ კარიერულ კიბეზე საფეხურით დაბლა ჩამოინაცვლეს. მათი ორი მესამედი ჩვეულებრივი მდივანი გახდა. ქალები, რომლებიც ორსულობამდე მაღაზიებს, სალონებსა და რესტორნებს მართავდნენ, შვილის გაჩენით ყველაზე მეტად

დაზარალდნენ და გაყიდვების ასისტენტებად და პარიკმახერებად დაინწყეს მუშაობა.

კვლევის მიხედვით, არასრულ განაკვეთზე 6 მილიონი ბრიტანელი ქალი მუშაობს, მათი უმრავლესობა დედაა. თუმცა, ეს ამ ქალების არჩევანი არაა. პრობლემა ის, რომ მაღალკვალიფიციურ და მაღალანაზღაურებად თანამდებობებზე დედებს შეღავათს არ უწევენ.

პროფესიონალი ქალების კვალიფიციური ბაზრიდან წასვლის ტენდენციას კვლევის ავტორებმა „ტვინების ფარული გადინება“ უწოდეს.

# ხახიჩას შენიხედი თაობა

ინტერვიუ თბილისის თავისუფალი ვალდორფის ბაღის აღმზრდელთან,  
ნანა ლვინჯილიასთან

„როდესაც აღზრდის ერთი საყრდენი ცენტრი არ არსებობს და ბავშვის განვითარებაზე ერთდროულად ზრუნავს ძიძა, ბებია, ბაღის აღმზრდელი და ზოგჯერ – დედა, შედეგად ვიღებთ ნერვულ და მშფოთვარე ბავშვს.“

თბილისის ვალდორფის თავისუფალი ბაღის აღმზრდელი ნანა ლვინჯილია ძიძების ხელში აღზრდილ ბავშვებს „შენიხულ“ თაობას უწოდებს. ამ პატარებს დედასთან ურთიერთობა, მისი ყურადღება და ზრუნვა სწორედ იმ ასაკში აკლდება, როცა პიროვნების ჩამოყალიბება, ინტერესების განვითარება, ან თუნდაც კომპლექსების ფორმირება ხდება. ეს ბავშვები ან დედის სამსახურის, ან მისი მოდას აყოლის, ანდა ამ მგრძობიარე თემის გაუცნობიერებლობის გამო „ინირებიან“. 3-დან 7 წლამდე ასაკი – ეს ის პერიოდია, როცა დედა მაქსიმალურად უნდა იყოს ჩართული შვილის აღზრდაში, – ფიქრობს ნანა ლვინჯილია და იმ მშობლებს, რომლებიც საკუთარი კარიერის განვითარებაზე ზრუნავენ, ურჩევს 7 წლამდე ბავშვების დიდი ხნით დატოვებისგან თავი შეიკავონ.



ქალბატონო ნანა, რას აშავებს დედა, როცა გამოუვალი მდგომარეობის გამო, ან უბრალოდ იმის გამო, რომ ძიძის მომსახურება ძალიან მოდური ტენდენციაა, შვილის მხოლოდ პასიური აღმზრდელი ხდება, მით უფრო, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ძალიან ბევრ დედას ამ დროს სინდისის ქენჯნა აწუხებს?

ბავშვის აღზრდის, დედების კარიერის და ძიძების პრობლემა ჩვენთან მხოლოდ ახლახან გაჩნდა. ბუნებრივია, ეს ქალის როლის ცვლილებამ და ახალი ცხოვრების წესის დამკვი-

**■ ბავშვის აღზრდა შვიდწლედებადაა დაყოფილი. პირველი შვიდი წელი ბავშვის განვითარების უმნიშვნელოვანესი ეტაპია. 3 წლამდე ასაკი – ეს კი ის მონაკვეთია, როდესაც ბავშვში მიმდინარე ცვლილებები ლამის მთელი ცხოვრების მანძილზე გადატანილი ცვლილებების ტოლფასია.**

დრებამ გამოიწვია. თუმცა, ქალის ფუნქციის შეცვლის მიუხედავად, ისე არ უნდა გავიგოთ, რომ თითქოს, თანამედროვე დედის მოვალეობად მხოლოდ სადილის მომზადება დარჩა, პირველ რიგში, ბავშვს დედას-

თან სრულფასოვანი ურთიერთობა სჭირდება.

**ბავშვის განვითარების რომელ ეტაპზე ყველაზე მნიშვნელოვანი დედასთან მაქსიმალური სიახლოვე?**

ბავშვის აღზრდა შვიდწლედებადაა დაყოფილი. პირველი შვიდი წელი ბავშვის განვითარების უმნიშვნელოვანესი ეტაპია. 3 წლამდე ასაკი – ეს კი ის მონაკვეთია, როდესაც ბავშვში მიმდინარე ცვლილებები ლამის მთელი ცხოვრების მანძილზე გადატანილი ცვლილებების ტოლფასია, ამიტომაცაა აუცილებელი, რომ ამ დროს დედა იყოს ბავშვის ძირითადი აღმზრდელი.

მეტიც, 3 წლამდე ბავშვის არათუ ძიძისთვის გადაბარება არ შეიძლება,



პედაგოგი და ბავშვები თბილისის ერთ-ერთ საბავშვო ბაღში

ფოტო: ნინო ზარბაზნაძე

მისი ბაღში გაშვებაც კი ძალადობის ტოლფასია. ბავშვი ამ ასაკში გამოკვეთილად „მე“-საც კი არ ამბობს. ის სოციალისტისთვის მზად არ არის და გვერდით მუდმივად სჭირდება დედა, როგორც ყველაზე ახლობელი სულიერი. ამ წლებში ბავშვი დედას არა მხოლოდ ემოციურ დონეზე გრძნობს, არამედ მის ფიზიკურ სიახლოვესაც განიცდის, ამიტომაც დედა მისთვის ღერძი და ცენტრი ხდება.

**არსებობს თუ არა ოქროს შუალედი ქალისთვის, რომელსაც კარგი კარიე-**

**რის გაკეთებაც სურს და შვილებიც უნდა რომ ჰყავდეს?**

უცხოეთში შვილებს დაგეგმილად აჩენენ, ჩვენთან კი ქალი დედა ხშირად აბსოლუტურად გაუცნობიერებლად ხდება. მიჭირს თქმა, რომელი სჯობს და სად შეიძლება, იყოს ოქროს შუალედი, მაგრამ ალბათ პირველი მოდელი უფრო გამართლებულია. სრულიად მიუღებელია პატარა ასაკში შვილის გაჩენა, რაც ჩვენთან ძალიან ხშირად ხდება. ბავშვის მოდურად ჩაცმა და მანქანით გასაერნება, მაღალი მუსიკის თანხლებით – ეს აღზრდა არ არის. ბავშვს ფსიქოლოგიურად მომზადებული მშობელი სჭირდება. ბავშვები ხშირად ექიმებთან დაგვყავს და მიზეზებს ვეძებთ. არადა, ყველაფერი ბავშვის ჩამოყალიბების პირველ წლებში, ფუნდამენტის ჩაყრისას დაშვებული შეცდომების და არასწორი მიდგომების გამოძახილია. დღეს დაკავებული დედების და ძიძების აღზრდილი ბავშვების გამო შეიძლება ითქვას, შეწირულ თაობასთან გვაქვს საქმე.

**როდესაც ბავშვის დატოვების საკითხი დგება, ვის მივანიჭოთ უპირატესობა – ძიძას, საბავშვო ბაღს, თუ ბებიას?**

ეს ინდივიდუალურია. ყველაფერს ისიც ართულებს, რომ ჩვენთან ძიძების კარგი ინსტიტუტი არ არსებობს. მშობლები ხშირად იცვლიან ძიძებს, რადგან მუდმივად უკმაყოფილოები არიან. ამიტომ ვფიქრობ, რომ ბავშვის ძიძასთან დატოვებას, ბაღში ტარება სჯობს. პატარებს სწორი რიტმი და დისციპლინა სჭირდებათ. ჩვენ ხშირად შვილებთან გვიჭირს ზღვრის დაცვა და ძიძას მით უმეტეს, არ გამოსდის ხოლმე, ბავშვი არ გაანებივროს. თუმცა, პრობლემა ისიც, რომ ჩვენთან არათუ ძიძების, არამედ ბაღის აღმზრდელების გადამზადებაც კი არ ხდება. და არც სკოლამდელი ასაკის ბავშვების აღზრდის შესახებ გვაქვს შესაბამისი კანონმდებლობა და ნორმები.

ძიძის ყოლა დღეს ძალიან მოდურია. ვიცი ისეთი შემთხვევებიც,

როცა ერთ ოჯახში სამი შვილი და სამი ძიძა ჰყავთ. როდესაც აღზრდის ერთი საყრდენი ცენტრი არ არსებობს და ბავშვის განვითარებაზე ერთდროულად ზრუნავს ხან ძიძა, ხან ბებია, ხან ბაღის აღმზრდელი და ზოგჯერ დედა, შედეგად ვიღებთ ნერვულ და მშფოთვარე ბავშვებს.

ასეთი შემთხვევაც მახსენდება: დედა მშობიარობიდან რამდენიმე თვეში გავიდა სამსახურში და ბავშვის აღზრდა ბებიებს გადააბარა. სახლში მისულს ჩაძინებული შვილი ხვდებოდა ხოლმე, დილას სახლიდან ადრე გადიოდა, ამიტომ მან ვერ შეინშნა, რომ ბავშვს რაქიტი ჰქონდა და განვითარებული, ბებიებს კი ეს გაეპარათ.

**როდის დგება ოპტიმალური ეტაპი, როდესაც დედას კარიერული მიზნებისთვის, ვთქვათ, უცხოეთში წასვლა და შვილის დატოვება შეუძლია?**

ჩემი შვილები 9 და 10 წლისები იყვნენ, როდესაც ორი წლით გერმანიაში საბავშვო ბაღის სემინარიაში სასწავლებლად წავედი. ჩავთვალე, რომ იმ ეტაპზე მზად ვიყავი ამ ცვლილებისთვის. გაცნობიერებული ნაბიჯი გადავდგი და შვილებსაც ამით ტრავმა არ მიუღიათ. საერთოდ ვფიქრობ, რომ შვილების დატოვება და უცხოეთში წასვლა 7 წლამდე არ არის მიზანშეწონილი. წარმოიდგინეთ, როდესაც უკან დავბრუნდი, გარკვეული ხნის განმავლობაში, ჩვენს შორისაც კი გაჩნდა გაუცხოება და დაფიქრდით, რა ხდება მაშინ, როდესაც დედა კიდევ უფრო მცირე ასაკის შვილს შორდება ხანგრძლივად?

თუმცა, მედალს მეორე მხარეც აქვს. ჩემი წასვლით ჩემს შვილებს, რა თქმა უნდა, დედა დააკლდათ, თუმცა, გარკვეულწილად, დამოუკიდებლობაც გახდნენ. საქართველოში კიდევ ერთი პრობლემა გვაქვს: შვილები საკუთრება გვეგონია. არადა, არსებობს ზღვარი, რომლის დაცვაც ყველა ეტაპზე აუცილებელია დედისთვის. ■

ესაუბრა დიანა ჩაჩუა.

## ინფლაცია

# ფასების შენახვის შესახებ ზრდის და დაბალი ინფლაციის ალტერნატივა გახდა.

მთავრობის პოპულისტური დაპირებებით გამოწვეული ბიუჯეტის დეფიციტი მაღალი ეკონომიკური ზრდის და დაბალი ინფლაციის ალტერნატივა გახდა.

## დავით შენგელია

2010 წლის აგვისტოდან საქართველოში ფასების დონემ სწრაფი ზრდა დაიწყო.

ბოლო სამ თვეში პროდუქცია 7.5 პროცენტით გაძვირდა.

მიმდინარე წლის 10 თვის მონაცემებით კი, ოქტომბრის ჩათვლით, ინფლაციამ 9.5 პროცენტი შეადგინა. სურსათზე და უალკოჰოლო სასმელებზე ფასები 19.5 პროცენტით გაიზარდა.

საქართველოში ფასების საერთო დონის ცვლილებაზე, ანუ ინფლაციაზე საქართველოს ეროვნული ბანკია პასუხისმგებელი, რადგან ინფლაცია ფულად-საკრედიტო (მონეტარული) პოლიტიკის კომპეტენციის საკითხია.

საქართველოს პარლამენტის 2009 წლის დადგენილებაში ("საქართველოს 2010-2012 წლების ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების შესახებ") აღნიშნულია, რომ 2010-2012 წლებში ინფლაციამ 6 პროცენტს არ უნდა გადააჭარბოს.

ეს ნიშნავს, რომ მიმდინარე და მომავალი ორი წლის მანძილზე ეროვნული ბანკის მთავარი საზრუნავი ფასების გარკვეულ დონეზე შენარჩუნება უნდა იყოს.

ამ ამოცანის მისაღწევად, ეროვნულმა ბანკმა ფულის ემისიის და ეკონომიკური ზრდის ერთმანეთთან შესაბამისობა უნდა უზრუნველყოს.

თუ ეს პირობა დაირღვევა და ფულის რაოდენობა მეტად გაიზრდება, ვიდრე წარმოებული პროდუქცია, მაშინ ქვეყნის ეკონომიკაში ჭარბი ფული აღმოჩნდება. ჭარბი ფული პროდუქციაზე მოთხოვნას გაზრდის, რაც არასაკმარისი რაოდენობის პროდუქციის პირობებში ფასების გარდაუვალ ზრდას გამოიწვევს.

ჯერჯერობით, ეროვნული ბანკი ამ ამოცანის შესრულებას ვერ ახერხებს.

სექტემბრის მონაცემებით, უკანასკნელი 12 თვის განმავლობაში ბანკებს გარეთ



მიმოქცევაში არსებული და მოთხოვნამდე დეპოზიტებზე განთავსებული ლარის რაოდენობა 22 პროცენტით გაიზარდა.

ეს იმ დროს, როცა ეკონომიკური ზრდის ტემპი მნიშვნელოვნად შენელებულია.

2009 წელს ქართულმა ეკონომიკამ 3.9 პროცენტით ნაკლები პროდუქცია შექმნა 2008 წელთან შედარებით. თუმცა, ეკონომიკის კლების მიუხედავად, ეროვნულ-

მა ბანკმა მიმოქცევაში არსებული ფულის რაოდენობა გაზარდა, რამაც სამომხმარებლო ფასების დონის 3 პროცენტით ზრდა გამოიწვია.

2010 წელს საერთაშორისო სავალუტო ფონდი საქართველოში 5-დან 6 პროცენტამდე ეკონომიკურ ზრდას პროგნოზირებს.

თუმცა, გასული ცხრა თვის მაჩვენებლებით, მიმოქცევაში არსებული ფულის რა-



ოდენობის ზრდის ტემპმა რამდენიმეჯერ უკვე გადააჭარბა მოსალოდნელი ეკონომიკური ზრდის ამ მაჩვენებელს. შედეგად, ოქტომბრის ბოლოსთვის წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით ინფლაციამ 9.6 პროცენტი შეადგინა.

ინფლაციის დონის დასადგენად სამომხმარებლო ფასების ინდექსს იყენებენ.

საქართველოში ეს ინდექსი 266 სახის ძირითადი მოხმარების საქონლისა და მომსახურებისგან შედგება.

ინდექსში ყველა საქონელს და მომსახურებას თავისი წილი აქვს. პროდუქტის წილი განისაზღვრება იმის მიხედვით, თუ რამდენს ხარჯავენ მასზე მომხმარებლები. ყველაზე მაღალი წილი აქვთ ისეთ პროდუქტებს, რომელთა მოხმარებაზეც უარის თქმა რთულია. მაგალითად, პური, კარტოფილი, ხორცი, ელექტროენერჯის, გაზის და ტელეფონის გადასახადი, მგზავრობის საფასური და ა.შ.

რაც უფრო მაღალი წილი აქვს პროდუქტს, მისი ფასის ზრდა მეტ გავლენას ახდენს ინფლაციის საბოლოო მაჩვენებელზე.

ხშირად საქართველოში ფასების საერთო დონის მატებას მსოფლიო ბაზარზე სხვადასხვა პროდუქტის გაძვირებით ხსნიან. ეს მცდარი მოსაზრებაა, რადგან, როგორც წესი, იგივე პროდუქტების გაძვირება მსოფლიოს სხვა ქვეყნებში ფასებზე ნაკლებად აისახება.

მაგალითად, 2010 წლისთვის აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში ინფლაციის მოსალოდნელი დონე საშუალოდ 5 პროცენტია,

ინფლაციამ აქ საშუალოდ 1 პროცენტი შეადგინა, 2010 წელსაც 1 პროცენტამდე ინფლაციას ელოდებიან. ასეთი დაბალი მაჩვენებლის მიზეზი ამ ქვეყნების ეკონომიკური განვითარების დონე არ არის. პირიქით, სწორედ გააზრებული მონეტარული პოლიტიკა და ინფლაციის დაბალი დონე განაპირობებს მათ ეკონომიკური განვითარებას.

თუ ქვეყანას სწორი მონეტარული პოლიტიკა აქვს, ცალკეულ პროდუქტზე გაზრდილი მსოფლიო ფასები ინფლაციის დონეზე არ აისახება, რადგან მოთხოვნა-მიწოდების საბაზრო მექანიზმი ფასების საერთო დონის სწრაფად ზრდას გამოიციხავს.

მაგალითად, თუ რამდენიმე პროდუქტის ფასმა აინია, ხოლო მოსახლეობას დასახარჯი თანხა იგივე აქვს, იგი ამ პროდუქტს ნაკლებს მოიხმარს, რის შედეგადაც გაძვირებული პროდუქტი გაიაფება და ინფლაციის დონე დაიწეება. ხოლო თუ ამ პროდუქტის მოხმარების შემცირება არ შეუძლია, მაშინ სხვა პროდუქტების მოხმარებას შეამცირებს და მათი ფასი დაიწეებს.

ანუ თუ ზოგიერთ პროდუქტზე ფასების მატებასთან ერთად მოსახლეობას მეტი ფული არ მიეწოდება, ინფლაციური სპირალი არ განვითარდება და ფასებიც მნიშვნელოვნად არ გაიზრდება.

რატომ ვერ ახერხებს ეროვნული ბანკი მიმოქცევაში არსებული ფულის რაოდენობის ისეთი ტემპით ზრდას, რაც შესაბამისობაში იქნებოდა ეკონომიკურ ზრდასთან და არ გამოიწვევდა ფასების ზრდას?

წყარო სახელმწიფო ხარჯები ხდება, რაც კერძო სექტორს აზარალებს. მთავრობა ხარჯავს ფულს, რომელსაც კერძო სექტორი დახარჯავდა.

დეფიციტის დასაფინანსებლად სახელმწიფო იღებს სესხს, რაც საპროცენტო განაკვეთებს ზრდის. გაზრდილი საპროცენტო განაკვეთები, თავის მხრივ, ამცირებს ინვესტიციების განხორციელების შესაძლებლობას, რაც საბოლოო ჯამში, ეკონომიკურ ზრდას მნიშვნელოვნად აფერხებს.

მაგალითად, სინგაპურში, რომლის „ეკონომიკური სასწაულის“ განმეორებასაც საქართველოს ხელისუფლება გვირდება, 2010 წელს სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები ხარჯებს მნიშვნელოვნად გადააჭარბებს, ანუ ბიუჯეტის პროფიციტი მთლიანი შიდა პროდუქტის 2.4 პროცენტი იქნება. საქართველოში კი, 2010 წელს მთლიანი შიდა პროდუქტის 5.7 პროცენტს ბიუჯეტის დეფიციტი შეადგენს.

ეროვნული ბანკი ვერ ახერხებს დადებული პირობის შესრულებას და ინფლაციის 6 პროცენტამდე შენარჩუნებას, რაც მოსახლეობაში ინფლაციურ მოლოდინებს ზრდის.

ხალხი ელოდება ფასების ზრდას. ეს მოლოდინი თავად ხდება ინფლაციური პროცესების დაწყების მიზეზი, რადგან ხალხი პროდუქტების მომარაგებას იწყებს მათი გაძვირების შიშით.

ძლიერდება უნდობლობა ეროვნული ბანკის პოლიტიკისადმი და შემდეგი წლებისთვის დასახული ანტიინფლაციური პოლიტიკა ვეღარ დაარწმუნებს მოსახლეობას, რომ ფასები მნიშვნელოვნად აღარ გაიზრდება.

თუ ქვეყნის საბიუჯეტო და მონეტარული პოლიტიკა მნიშვნელოვნად არ შეიცვლება, მსოფლიო ბაზარზე ყოველთვის მოიძებნება ერთი ან ორი გაძვირებული პროდუქტი, რომელსაც შემდეგ ფასების დონის ზრდა დაბრალდება. ფულის მიწოდებით და სახელმწიფო ხარჯების გაზრდით ეკონომიკის სტიმულირება საბოლოოდ ყოველთვის ფასების ზრდაში აისახება, რაც გრძელვადიან პერსპექტივაში ქვეყანას სტაგფლაციამდე მიიყვანს. სტაგფლაცია არის ისეთი მდგომარეობა, როცა იზრდება ფასები და ამავდროულად მცირდება ეკონომიკა და დასაქმება. ■

## ■ ეროვნული ბანკი ვერ ახერხებს დადებული პირობის შესრულებას და ინფლაციის 6 პროცენტამდე შენარჩუნებას, რაც მოსახლეობაში ინფლაციურ მოლოდინებს ზრდის.

განვითარებად ქვეყნებში 6 პროცენტამდე, მთლიანად მსოფლიოში 3 პროცენტამდე. საქართველოში კი, 2010 წლის ბოლოსთვის ინფლაციის მოსალოდნელი მაჩვენებელი განსხვავებულია და დაახლოებით 9 პროცენტს შეადგენს.

მსოფლიოში ინფლაციის ყველაზე დაბალი დონე განვითარებულ ქვეყნებშია. სავალუტო ფონდის მონაცემებით, 2009 წელს

ამის უპირველესი მიზეზი 2010 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის 1,2 მილიარდიანი დეფიციტია, რაც მძიმე ტვირთად აწევს საქართველოს მონეტარულ სისტემას.

ბიუჯეტი დეფიციტურია – ანუ სახელმწიფო უფრო მეტ ფულს ხარჯავს, ვიდრე შემოსავალი აქვს.

ეს იმას ნიშნავს, რომ ქვეყანაში არსებული ფულის რაოდენობის ზრდის მთავარი

განათლება

## ჩვენ "უმჯობესების" ბაზოსდა

საატესტატო გამოცდები 2010-2011 სასწავლო წლის ბოლოს მაინც ჩატარდება. თუმცა, სამინისტრო წინასწარ დებს პირობას, რომ მის ჩაბარებას „მოსწავლეთა 95%“ შეძლებს.

### რუსუდან ფანოზიშვილი

„16 კვადრატული მეტრის სიგრძის იატაკის შესაღებად 1.2 კილოგრამი საღებავი დაიხარჯა. რამდენი კილოგრამი საღებავი იქნება საჭირო 12 კვ. მეტრის იატაკისთვის?“ – ეს კითხვა 17 ნოემბერს განათლების სამინისტროში შეკრებილ მოსწავლეებს გამოცდების ცენტრის ხელმძღვანელმა მაია მიმინოშვილმა დაუსვა. მერე კი თვითონვე ასე უპასუხა:

„სასაცილოა ამის გაპროტესტება. ეს ხომ უმარტივესია!“

მიმინოშვილმა მეთორმეტეკლასელებს საატესტატო გამოცდების მაგალითები წარუდგინა და დაამშვიდა, „ძირითადად ასეთი ტესტები იქნება.“

პრეზენტაცია, რომელზეც მეთორმეტეკლასელებს დანვრილებით აუხსნეს, როგორ ჩატარდება საატესტატო გამოცდები, გამოცდების ახალი წესის ოფიციალურად გამოცხადებიდან 10 თვის თავზე გაიმართა.

დიმიტრი შაშკინისა და მაია მიმინოშვილის ვრცელ ახსნა-განმარტებებს წინ ქუჩაში გამოსული მოსწავლეების პროტესტი უძლოდა.

მოსწავლეების ნაწილი, ბოლო ორი კვირაა, აქციებს მართავს, იმ მიზეზით, რომ რვა გამოცდის მომზადებას მიმდინარე სასწავლო წლის ბოლომდე ვერ მოასწრებენ.

გამოცდები რომ „უმარტივესი“ იქნება, ამის შესახებ მოსწავლეებმა პირველად აქციების დაწყების დღეს „რუსთავი 2“-ის სიუჟეტიდან შეიტყვეს. შემდეგ კი დიმიტრი შაშკინისა და მაია მიმი-

ნოშვილის პრეზენტაციიდან, რომელზეც განათლების სამინისტროს მესვეურები რამდენიმე საათის განმავლობაში არწმუნებდნენ მოსწავლეებს, რომ გამოცდების ჩაბარება არავის გაუჭირდება.

„საშუალო დონის მოსწავლე ამ ტესტებს დღესვე ჩააბარებს. ცუდ მოსწავლეს კი გადამეორება დასჭირდება. რთული კითხვები ტესტებიდან მთლიანად ამოღებულია. მხოლოდ საშუალო და მარტივი მაგალითებია,“ – განაცხადა დიმიტრი შაშკინმა პრეზენტაციაზე.


„წელს მოსწავლეების 95 პროცენტი ჩააბარებს!“ – წინასწარმეტყველებს განათლების მინისტრი.

როგორც მინისტრი ამბობს, ეს „შეღვათები“ მოსწავლეებს სწორედ იმიტომ დაუწესდათ, რომ „აქამდე განათლების სისტემაში შეცდომები იყო დაშვებული“.

„ოროსნებიც“ და შაშკინიც ერთნაირად აღიარებენ, რომ მეთორმეტეკლასელებს საბუნებისმეტყველო საგნებში ცოდნის დაბალი დონე აქვთ, რაც სწავლების ხარვეზია.

„ჯერ ერთი, ტრიმესტრულად გვასწავლიდნენ ამ საგნებს. ერთ საგანს ცოტა ხანი ეთმობოდა. მეორეც, ჩვენ იმ ოთხ საგანზე ვიყავით ორიენტირებულნი, რაც მისაღებ გამოცდებში უნდა ჩაგვებარებინა. რვა საგნის საფუძვლიანად გასამეორებლად ბოლო ერთი წელი საკმარისი არ არის,“ – ამბობდა 9 ნოემბერს პარლამენტის წინ გამართული აქციის ერთ-ერთი მონაწილე.

დაახლოებით იმავე აზრზეა გამოცდების ცენტრის ხელმძღვანელი მაია



მიმინოშვილიც. იგი ამბობს, რომ სკოლებში სწავლების დონემ ბოლო წლებში „პროგრესი კი არა, რეგრესი განიცადა. განსაკუთრებით, საბუნებისმეტყველო საგნებში.“

მიმინოშვილიც და შაშკინიც ამ „რეგრესს“ სასკოლო რეფორმების ავტორებს აბრალევენ.

ერთ-ერთ მთავარ „დამნაშავედ“ ტრიმესტრული სწავლება სახელდება.

საბუნებისმეტყველო საგნების ტრიმესტრული სწავლება 2006-2007 სასწავლო წელს შემოიღეს, როცა განათლების მინისტრი კახა ლომაია იყო. „ტრიმესტრული“ სწავლების დროს მოსწავლეები ქიმიას, ფიზიკას და ბიოლოგიას ერთი წლის მანძილზე, ოლონდ სხვადასხვა დროს გადიოდნენ. პირველ სამ თვეს



„აბიტურის“ გაკვეთილი თბილისის 24-ე საჯარო სკოლაში, 2010

ფოტო: ლევან ზაქარაიძე

მოსწავლეები მხოლოდ ბიოლოგიას სწავლობდნენ, შემდეგ თვეებზე კი დანაჩენი ორი საგანი იყო განაწილებული.

წლებადნელ მეთორმეტეკლასელებს, ამ პრინციპით საბუნებისმეტყველო საგნების შესწავლა ნაკლებად შეეხოთ – მხოლოდ ერთი წელი.

რეფორმის მაშინდელ ავტორებს მიაჩნდათ, რომ უფრო ეფექტური იქნებოდა, თუ მოსწავლეები რამდენიმე თვის განმავლობაში მხოლოდ ერთ სამეცნიერო საგანზე კონცენტრირდებოდნენ.

დიმიტრი შაშკინის განათლების სამინისტროში მოსვლის შემდეგ ტრიმესტრული სწავლება გაუქმდა.

ერთი წლის წინ გამოცდების ეროვნულმა ცენტრმა საერთაშორისო კვლევა გამოაქვეყნა, რომელიც საბუნებისმე-

ტყველო საგნებში ქართველი მოსწავლეების ცოდნის დაბალ დონეს აჩვენებდა.

„თუმცა, არავინ აღნიშნა, რომ ეს კვლევა იმ თაობაზე ჩატარდა, რომელსაც საბუნებისმეტყველო საგნები სწორედ ძველი სასწავლო გეგმის მიხედვით ჰქონდა ნასწავლი,“ – ამბობს სიმონ ჯანაშია, რომელიც ეროვნულ სასწავლო გეგმებს 2005-2009 წლებში ხელმძღვანელობდა. „შედეგები კატასტროფული იყო, მაგრამ ამით მხოლოდ ის დასტურდებოდა, რომ ტრიმესტრების შემოღებამდე სწავლება არაეფექტური იყო და საჭირო იყო ცვლილებები.“

საატესტატო გამოცდებისთვის მოსამზადებლად და განვლილი პროგრამის გასამეორებლად, მეთორმეტეკლასე-

ლებს სპეციალური აბიტურის საათები დაუნიშნეს.

„აბიტურებზე“ დასწრება მოსწავლეებისთვის სავალდებულო არ არის.

მოსწავლეების მიერ არჩეულ დღეებში, კვირაში ერთი ან რამდენიმე საათის განმავლობაში, რვავე საგნის მასწავლებელი ვალდებულია, მოსწავლეებს განვლილი მასალა გაამეორებინოს, და ტესტებზე ავარჯიშოს. მოსწავლეების ნაწილი ამბობს, რომ აბიტურებს ხშირად აცდენს, რომ რეპეტიტორებთან სიარულისთვის მეტი დრო დარჩეს.

„ლიბერალი“ თბილისის 24-ე საჯარო სკოლაში მათემატიკაში „აბიტურის“ გაკვეთილს დაესწრო. მოსწავლეებმა და მასწავლებელმა გაკვეთილის განმავლობაში ორი ამოცანის ამოხსნა მო-

ასწრეს. ამასობაში ზარიც დაირეკა და აბიტურისტისთვის განკუთვნილი 40 წუთიც ამოიწურა.

„აბიტური ნასწავლი მასალების რაღაც ნაწილის გამეორების საშუალებას გვაძლევს, ამიტომ სასარგებლოა დასწრება,“ – აღნიშნეს 24-ე სკოლის მოსწავლეებმა გაკვეთილის დამთავრების შემდეგ.

თუმცა, მოსწავლეებსაც და მათემატიკის მასწავლებელს, ნუნუ ყველაშვილსაც მიაჩნიათ, რომ კვირაში ერთი საათი სკოლაში მთელი განვლილი მასალის გამეორებისთვის საკმარისი არ იქნება.

„ამიტომ ზოგჯერ გაკვეთილებიდანაც ვიპარავთ ხოლმე დროს,“ – ამბობს მასწავლებელი.

მოსწავლეები კი თავს იმით იმედიებენ, რომ თუ ყველაფრის გამეორებას ვერ მოასწრებენ, „მინიმალური ბარიერის გადალახვას მინც მოახერხებენ.“

ახლა მათ ორი ძირითადი საზრუნავი აქვთ: მინიმალური ბარიერი გადალახონ და იმ „საჭირო“ საგნებში მოემზადონ, რომლებიც მათ უმაღლეს სასწავლებელში მისაღებად დასჭირდებათ.

24-ე სკოლის აბიტურის გაკვეთილზე ყველა მეთორმეტეკლასელმა თქვა,


რომ დამატებით რეპეტიტორებთანაც ემზადება.

როგორც განათლების მინისტრმა აღნიშნა, რვა გამოცდის შემოღების მთავარი მიზანი, პირველ რიგში, „ბავშვების სკოლაში დაბრუნება“ და „რეპეტიტორების ინსტიტუტის“ დასუსტება იყო.

ახალი გამოცდების იდეის ავტორები მიიჩნევენ, რომ ბავშვები სკოლას ბოლო წლების რეფორმებმა კიდევ უფრო მოსწყვიტა და რეპეტიტორების აქტუალობა ლომიაისდროინდელი რეფორმების „დამსახურებაცაა“.

ერთიანი ეროვნული გამოცდები საქართველოში პირველად 2005 წელს ჩატარდა. მაშინ მოსწავლეებს სამი ან ოთხი სავალდებულო გამოცდის ჩაბარება უწევდათ.

მოგვიანებით, 2009 წელს, პრეზიდენტის ინიციატივით მისაღებ გამოცდებს მეოთხე სავალდებულო საგანი დაემატა. თუმცა, მალევე გამოცხადდა, რომ მომდევნო წელს უკვე გამოცდების რიცხვი ათამდე გაიზრდებოდა, და გამოსაშვებ და მისაღებ გამოცდებს გააერთიანებდა. სექტემბრიდან კი უკვე ცნობილი გახდა, რომ ამ გამოცდებს მოსწავლეები კომპიუტერის საშუალებით ჩააბარებენ და გამოცდებზე მისვლა რვაჯერ მოუწევთ. ოღონდ, არა საგამოცდო ცენტრებში, არამედ საკუთარ სკოლებში.

„ერთი პედაგოგის ბევრმა მოსწავლემ რომ ვერ ჩააბაროს ტესტები, დაეკისრება თუ არა რაიმე პასუხისმგებლობა ამ მასწავლებელს?“ „იმაზე თუ იფიქრეთ, ექნებათ კი რეგიონის სკოლებს სათანადო რაოდენობის კომპიუტერები, რომ გამოცდები ჩაატარონ?“ „სკოლებში გამოცდების პროცესს ვინ გააკონტროლებს?“ – ეს კითხვები განათლების სამინისტროში გამართულ შეხვედრაზე თავად მოსწავლეებმა დასვეს, რომელთა ცოდნის დაბალ დონეზე დღეს ბევრს საუბრობენ. 17 ნოემბერს განათლების სამინისტროში გამართულ პრეზენტაციაზე ისინი ბევრად უფრო გაბედულები და თავდაჯერებულები ჩანდნენ, ვიდრე ამავე დარბაზში არაერთხელ შეკრებილი მათი პედაგოგები და დირექტორები. 

## ჩოხი ჩატარება საატესტატო ბაზაზე



რად ვერ უპასუხებს, მაშინ მას კომპიუტერი უფრო მარტივ კითხვებს შესთავაზებს.

ტესტის დასრულების შემდეგ მოსწავლეებს იქვე შეუძლიათ გაიგონ, გადალახეს თუ არა მინიმალური ზღვარი.

საატესტატო გამოცდები ამჯერად საგამოცდო ცენტრების ნაცვლად, სკოლებში ჩატარდება. 2005 წლიდან ერთიანი ეროვნული გამოცდების ერთ-ერთ სიახლე ისიც იყო, რომ აბიტურიენტები უმაღლეს სასწავლებლებში კი არა, საგამოცდო ცენტრებში, ერთად იყრიდნენ თავს. ეს მეთოდი პროცესის გამჭვირვალობასა და ობიექტურობას უწყობდა ხელს.

გადაწყვეტილი არ არის, ვინ დააკვირდება 2011 წლის გამოცდებს. სავარაუდოდ, დამკვირვებლები სკოლის მასწავლებლები არ იქნებიან. გამოცდების ცენტრის ხელმძღვანელი ამბობს, რომ ყველა სკოლაში ვიდუო-თვალი განთავსდება.

აქვს თუ არა საქართველოში ყველა სკოლას გამოცდების ჩასატარებლად საკმარისი კომპიუტერი? კომპიუტერების რაოდენობის შესახებ გამოცდების ცენტრში ჯერ არ იციან. ამის გამოკვლევა ახლა დაიწყეს. მაია მიმინოშვილი ვარაუდობს, რომ სკოლების 80 % კომპიუტერებით სათანადო რაოდენობით მომარაგებას შეძლებს. დანარჩენი 20 %-დან კი მოსწავლეებს სხვა, „კომპიუტერიან“ სკოლებში გადაანაწილებენ.

2010 წლის ზაფხულში მოსწავლეებს გამოცდის ჩასაბარებლად მისვლა რვაჯერ მოუწევთ. ტესტები 8 საგანში სხვადასხვა დღეს ჩატარდება. თითოეული საგნის გამოცდა მთელ საქართველოში ერთსა და იმავე დღეს დაინიშნება.

გამოცდებზე მისულ მოსწავლეებს ფურცელი და კალამი არ დასჭირდებათ. ისინი ტესტების ელექტრონულ ვერსიას შეავსებენ.

გამოცდების ცენტრის ხელმძღვანელი ამბობს, რომ წელს ტესტებზე მარტივი და საშუალო სირთულის კითხვები იქნება. ერთი გამოცდა დაახლოებით საათნახევარს გასტანს. ეს იმაზეა დამოკიდებული, რამდენ კითხვაზე პასუხი დასჭირდება თითოეულ აბიტურიენტს მინიმალური ბარიერის გადასალახავად.

პირველ შეკითხვაზე პასუხის მიხედვით, კომპიუტერული პროგრამა არჩევს, შემდეგ რა სირთულის შეკითხვა დასვას. თუ მოსწავლე რამდენიმე კითხვას სწო-

დოკუმენტალიზაცია

# ქუთაისის ქანაჩია...

საქართველოს „მეორე დედაქალაქის“ მშენებლობა დაწყებულია.

თეა ზიბზიბაძე, ქუთაისი



მზადება საქართველოს პრეზიდენტის დასახვედრად ქუთაისის ოპერის თეატრის წინ, 16 ნოემბერი 2010

ერთი ცნობილი მითის თანახმად, 1787 წლის გაზაფხულზე თავად გრიგორი პოტიომკინს იმპერატორმა ახალი სოფლების აშენება დაავალა და საამისოდ საკმარისზე მეტი თანხაც გამოუყო. თავადს არც მშენებლობის საქმე ესმოდა კარგად, და არც ფულის ყირათიანად ხარჯვის, სამაგიეროდ, მსახიობური ნიჭით განთქმულ პოტიომკინს, როგორც ამბობდნენ, არ აკლდა ეკატერინე მეორის პირადი კეთილგანწყობა. როგორც მოსალოდნელი იყო, პოტიომკინს ფული ქეიფსა და დროსტარებაში შემოეღია. ეკატერინე მეორეს ამის შესახებ ხმები მიუვიდა და გადაწყვიტა, თავად მოენახულებინა სამუშაოები. პოტიომკინმა მარტივი გამოსავალი იპოვა: ახალი სოფელი რამდენიმე კვირაში შექმნა, ააშენებინა ბუტაფორიული თეატრი, საავადმყოფო, სკოლა, კინო და მხოლოდ რამდენიმე ნამდვილი შენობა. სოფლის მოსახლეობლად ჩასული ეკატერინე სწორედ ამ შენობებში შეიყვანეს, ახლად აშენებული ულამაზესი სოფელი კი მხოლოდ დაანახეს. იმპერატორმა სოფელი ნასიამოვნებმა დატოვა.

კმაყოფილი ჩანდა მიხეილ სააკაშვილიც, ქუთაისში ოპერის დანახვისას. „პირი მაქვს დაღებული, ისეთი სილამაზეა და რის თქმა მინდოდა, დამავინყდა...“ – ასე დაიწყო პრეზიდენტმა თავისი გამოსვლა თეატრის რეაბილიტირებული ფასადის წინ შეკრებილი საზოგადოების წინაშე.

## ოპერა

ქუთაისის ოპერის თეატრის შენობის რეკონსტრუქცია მშენებელ ფირმასთან გაფორმებული კონტრაქტის მიხედვით, 22 ნოემბერს უნდა დასრულებულიყო. თუმცა, თეატრის შენობა (ფასადის გარდა) ხარაჩოებშია ჩასმული.

„იანვრისთვის ყველაფერი დასრულდება,“ – ამბობს სამშენებლო კომპანია შპს „დაგის“ სამუშაოთა მწარმოებელი ელგუჯა დეისაძე. მის კომპანიას ქუთაისის მერიამ თეატრის სარეაბილიტაციო სამუშაოებისთვის ჯერ 2 მილიონი, ჯამში კი 4 მილიონი ლარი გამოუყო.

„ეს შენობა კონსტრუქციულად მტკიცე არ იყო, რის გამოც ჩვენ გამაგრებითი სამუშაოების ჩატარებაც დაგვჭირდა,“ –

ამბობს შპს „დაგის“ სამუშაოთა მწარმოებელი.

სამუშაოები შეაფერხა ოპერის თეატრის ჭერის მოხატვის გამო მომხდარმა გაუგებრობამაც. როგორც გაირკვა, ჭერი უკვე მოხატულია, თუმცა ის ქუთაისის მერიას არ მოსწონს. მხატვრები, ვინც ეს სამუშაოები შეასრულეს, სწორედ მერიამ შეარჩია.



განახლებული ისტორიული უბანი ქუთაისში

„უბრალოდ, არის ხარვეზები, რომლებიც მხატვრებმა უნდა გაასწორონ“, – ამბობს მერიის აპარატის საზოგადოებასთან და პრესასთან ურთიერთობის საკითხებში მთავარი სპეციალისტი ქეთი დეისაძე.

„ახლა აპირებენ, რომ გერმანული შპალერი გადააკრან ჭერზე,“ – ამბობს თემურ თადეუმაძე, მხატვარი, რომლის ესკიზის მიხედვითაც მოიხატა ოპერის ჭერი.

თავად მშენებლები კი ამ გაუგებრობას სამუშაოების დასრულების გადავადების გასამართლებლად იყენებენ. „მოხატვის ხარისხი არ იყო საჭირო დონის, რის გამოც დღეს ხარაჩოებს ვანყობთ და უნდა მოხდეს ხარვეზების გასწორება,“ – ამბობს ელგუჯა დეისაძე.

თუმცა, გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრია. „სცენის ნაწილზე მიმდინარეობს სხივების მოწყობა. იატაკები იგება, თაბაშირ-მუყაოს ელემენტებით

ხდება იარუსების განყოფილება, შემდეგ გაკეთდება კედლები,“ – ამბობენ მშენებლები.

ოპერის ფასადი 16 ნოემბერს დაჩქარებული ტემპებით დაასრულეს, მას შემდეგ, რაც იქ პრეზიდენტის გამოსვლა დაიგეგმა. სამუშაოები მიხეილ სააკაშვილის მისვლამდე რამდენიმე ნუთით ადრეც მიმდინარეობდა.

„ქუთაისი გადაიქცევა მეორე დედაქალაქად,“ – ამ პირობის შესასრულებლად სააკაშვილმა საგანგებო დავალებები ჯერ კიდევ 2008 წლის 7 მაისს ქუთაისში, მთავრობის გასვლით სტომაზე გასცა და საზოგადოებას სამი სახელმწიფო უწყების (კონტროლის პალატის, გზების დეპარტამენტისა და სემეკის) ქუთაისში გადატანის შესახებ აუწყა. პრეზიდენტმა იქვე აეროპორტის რეაბილიტაციის საკითხიც ახსენა. მოგვიანებით ამ ინიციატივებს ქუთაისის ჯერ ინდუსტრიულ ცენტრად, შემდგომ საპარლამენტო ქალაქად ქცევა, ოპერის თეატრის „ლა სკალად“ გადაკეთება, ყინულის მოედნის მშენებლობა, სათაფლიის ნაკრძალის გაშენება და ველოგზის მოწყობა დაემატა. ოფიციალურად დაიწყო საპრეზიდენტო პროგრამა – „ქუთაისი – მეორე დედაქალაქი“.

პირველი პროექტი – ძვირი ძალადი

საპრეზიდენტო პროგრამის ფარგლებში პირველი „საზიემო გახსნა“ 2008 წლის 21 დეკემბერს (მიხეილ სააკაშვილის დაბადების დღეზე) მოეწყო. ქუთაისის მთავრობამ სტუმრად ჩამოსულ პრეზიდენტს განახლებული ისტორიული უბანი დაახვედრა. რადგან უბნის აშენება ვერ მოესწრო, პრეზიდენტს მხოლოდ შენობების გარე ფასადები დაათვალიერებინეს. „თეთრ ხიდთან“ სამი ახალი სასტუმროს არსებობას მხოლოდ შენობების წინა კედლები ადასტურებდა. ამ სამი სასტუმროდან ერთ-ერთს დღესაც მხოლოდ ის ერთი, წინა კედელი აქვს.

ისტორიული უბნის დიდი ნაწილი ახლაც ბუტაფორიაა. პროექტის მიხედვით დაგეგმილი ობიექტები, ჯერჯერობით არსად ჩანს. მაგალითად, წმინდა ნინოს №9-ში, რომელიც პროექტში №17 სახლად არის დაფიქსირებული, ფრანგული კაფე უნდა განთავსებულიყო. თუმცა ამ შენობაში დღემდე თოჯინების

„ამოყრილ ქვაფენილს და დაზიანებულ ადგილებს ვერც მე ვარიდებ თვალს. მომავალი წლის ბიუჯეტში განსაზღვრული გვაქვს და აუცილებლად გამოვასწორებთ, როგორც ამ დაზიანებებს, ასევე თეთრ ხიდს,“ – აცხადებს იმერეთის გუბერნატორი ლაშა მაქაცარია.

ისტორიული უბნის ტერიტორიაზე დაზიანებების ხარისხი ახლა რამდენიმე ფირმამ უნდა შეისწავლოს. შემდეგ ყველაფერი ისე თავიდან დაიწყება – აღდგენითი სამუშაოების შესრულებისთვის ტენდერი გამოცხადდება. „ამ სამუშაოებს იმ კომპანიას მივანდობთ, რომელიც ნაკლებ თანხებს მოითხოვს,“ – ამბობს ქუთაისის კეთილმოწყობის სამსახურის უფროსი ანდრო მალლაკელიძე.

კონტროლის პალატა

ჯერჯერობით ფასადურია ქუთაისში სახელმწიფო უწყებების გადასვლა. ამის მაგალითი საქართველოს კონტროლის პალატაა. ამ უწყებისთვის განკუთვნილი

რი კომპანია „მაგისტალი“ ახორციელებს, რომლის ქვეკონტრაქტორი ფირმა „ნიუ ინტერნიშენალია“.

ამ დროისთვის მშენებლობისთვის 55 მილიონ ლარამდეა გამოყოფილი.

მშენებარე პარლამენტის შესახებ ქუთაისში თითქმის არაფერი იცინა – ეს ტერიტორია ყველასთვის დაკეტილია. შორიდან ჩანს, რომ ამ დროისთვის შენობის მხოლოდ საძირკველია ამოყვანილი. მშენებლობა უსასრულოდ ვერ გაინელეება, რადგან 2012 წლის მონვევის პარლამენტი უკვე ქუთაისში უნდა შეიკრიბოს.

„თქვენ გეგონათ, მარტო პარლამენტი გადმოდიოდა, მაგრამ ნელ-ნელა ვიპარებით, ნაბიჯ-ნაბიჯ“, – თქვა მიხეილ სააკაშვილმა 16 ნოემბერს ქუთაისის ოპერის წინ გამოსვლის დროს. „ჯერ შემოგაპარეთ პარლამენტი, ახლა – მთავრობა და ასე ვახორციელებთ ქუთაისის მეორე დედაქალაქად ქცევის პროექტს.“

მიხეილ სააკაშვილმა იმ დღეს საპრეზიდენტო პროგრამის კიდევ ერთ ახალ

ისტორიული უბნის დიდი ნაწილი ახლაც ბუტაფორიაა. პროექტის მიხედვით დაგეგმილი ობიექტები, ჯერჯერობით არსად ჩანს. შენობებს მხოლოდ გარე ფასადი აქვს შეცვლილი და ახალი ხის კარ-ფანჯარაა ჩასმული.

თეატრია, მეორე-მესამე სართულზე კი „ნაციონალური მოძრაობის“ ოფისი. ამ შენობას მხოლოდ გარე ფასადი აქვს შეცვლილი და ახალი ხის კარ-ფანჯარაა ჩასმული.

ისტორიულ უბანში არც „თეთრი ხიდა“ პროექტის მიხედვით მოწყობილი. ხიდი დღესაც ავარიულ მდგომარეობაშია.

ისტორიული უბნის რეკონსტრუქციაზე 18 მილიონი ლარი უკვე დაიხარჯა. სამშენებლო სამუშაოებს კომპანია „თბილისი“ ასრულებდა. სულ რეკონსტრუქციარეაბილიტაცია ჩაუტარდა 31 შენობას და აშენდა 7 ახალი ნაგებობა.

ადგილობრივები ამბობენ, რომ ისტორიულ უბანში რესტავრირებული ნაწილიც კი უკვე დაზიანებულია.

„ფილებს წვიმაში აგებდნენ და უხარისხო იქნებოდა, აბა რა. გზები თავიდანაა გასაკეთებელი,“ – ამბობს ქუთაისელი ბადრი ჯავახაძე.

ახალი შენობა ქუთაისში პრეზიდენტმა იენისში საზიემო ვითარებაში გახსნა. თუმცა დღემდე თბილისიდან ქუთაისში კონტროლის პალატის მხოლოდ ერთი დეპარტამენტი – ადგილობრივი თვითმმართველობების ბიუჯეტების აუდიტი გადმოვიდა. ქუთაისში „სანახაობრივად“ გადმოსულ უწყებათა შორისაა გზების დეპარტამენტი. ქუთაისის ოფისში სულ რამდენიმე ადამიანი მუშაობს.

პარლამენტი

საპრეზიდენტო პროგრამა „ქუთაისი – მეორე დედაქალაქი“ ცენტრალური პროექტი საქართველოს პარლამენტის ახალი შენობაა.

ესპანელი არქიტექტორის ალბერტო დომინგო კაბოს მიერ შექმნილი პროექტის მშენებლობა 2010 წლის აპრილში დაიწყო. მშენებლობას ერთ პირთან მოლაპარაკების გზით შერჩეული თბილისუ-

ობიექტს – მთავრობის სასახლეს ჩაუყარა საფუძველი.

მშენებარე პარლამენტის გვერდით 6-სართულიანი მთავრობის სასახლე „კავკასუს როუდ პროექტმა“ 12 თვეში უნდა ააშენოს. ის ერთიანი კომპლექსის ნაწილი იქნება, სადაც პარლამენტი და საქართველოს კონტროლის პალატაც შევა. მთავრობის სასახლეში თავისი კაბინეტი ექნება პრემიერ-მინისტრს. იქნება დარბაზები სამთავრობო შეხვედრებისთვის და ოთახები თანამშრომლებისათვის. ამ შენობის პროექტის ავტორიც ალბერტო დომინგო კაბოა.

„მთავრობის სახლი გაიხსნება ერთი წლის თავზე. პარლამენტს დასჭირდება წელიწადნახევარი. მსოფლიოში ყველაზე ლამაზი პარლამენტის შენობა გვექნება,“ – განაცხადა პრეზიდენტმა ოპერის თეატრის ახლად შეთეთრებული ფასადის ფონზე. [A]

სოციალური ქსელები

# ის, ხას შენ შესახებ ყვიცამ ისის

მილიონობით მომხმარებლის პირადი ინფორმაცია Facebook-იდან 25-მდე სარეკლამო კომპანიის ხელში მოხვდა. ვის ეკუთვნის Facebook-ზე ატვირთული მასალები, თქვენ თუ ცუკერბერგს?

ნანა საჯავია



17 ნოემბერს, პირველად, Facebook-ის ისტორიაში „საერთაშორისო განმეგობრების დღე“ აღინიშნა. „განმეგობრების“ იდეა ცნობილ ამერიკელ ტელე-ნამყვან ჯიმი კიმელს ეკუთვნის. Facebook-ის მომხმარებლებს კიმელმა უცნობი „მეგობრების“ წაშლა და მათი გრძელი სიის შეკვეცა ურჩია. მის იდეას 17 ნოემბერს დილითვე, თითქმის 6 ათასი მიმდევარი გამოუჩნდა.

„ზოგს Facebook-ზე ასობით და ათასობით მეგობარი ჰყავს. ვერ წარმომიდგენია, რატომ უნდა დაუმეგობრდე ადამიანს, რომელსაც რეალურ ცხოვრებაში უახლეს ამბებს ან ფოტო ალბომებს არ გაუზიარებდი. მე მხოლოდ იმათ ვიმეგობრებ, ვისაც ჩემი შვილის ამბებს მოვუყვებოდი“, – წერს კიმელი „განმეგობრების“ გვერდზე და დასძენს რომ მას სულ რაღაც 170 მეგობარი ჰყავს. კიმელისთვის Facebook-ი მეგობრობის იდეას აკნინებს, რადგანაც ის ათასობით „ფრენდის“ ყოლის შესაძლებლობას იძლევა.

მსოფლიო მასშტაბით უკვე 500 მილიონი ადამიანისთვის პირადი მონაცემების,

ცხოვრებისეული სიახლეების და ფოტოებზე გამოხატული ემოციების გაზიარების მთავარი ადგილი Facebook-ია. მას რომ ტერიტორია ჰქონდეს, ის მოსახლეობის სიდიდით მესამე ყველაზე დიდი ქვეყანა იქნებოდა (ჩინეთის და ინდოეთის შემდეგ). ამ „ქვეყნის მოსახლეობის“ ჩვევები და ცხოვრების სტილი, მათი ურთიერთობები დამქირავებლებთან და საყვარლებთან, მეგობრებთან და უბრალო ნაცნობებთან, 20 წლის ჰარვარდელი სტუდენტის მიერ გამოგონილმა სოციალურმა ქსელმა ძირეულად შეცვალა.

შეიცვალა პირადი და საჯარო ინფორმაციის აღქმაც.

ოქტომბერში Facebook-ის ხელმძღვანელობამ აღიარა, რომ პარტნიორმა კომპანიებმა, რომლებიც სოციალური ქსელისთვის დამატებებით აპლიკაციებს (პროგრამებს) ქმნიდნენ, მომხმარებლების საიდენტიფიკაციო ნომრები ბროკერებს მიჰყიდეს. შედეგად, ეს პირადი ინფორმაცია სარეკლამო კომპანიების ხელში აღმოჩნდა.

Facebook-ის მიერ მომხმარებელთა პერსონალური მონაცემების გაყიდვას-

თან დაკავშირებით ჟურნალისტური გამოძიება პირველად ამერიკულმა გაზეთ Wall Street Journal-ში გამოქვეყნდა. სტატიის მიხედვით, მილიონობით მომხმარებლის პირადი ინფორმაცია 25-მდე სარეკლამო კომპანიის ხელში მოხვდა, რასაც კომპანიები სარეკლამო კამპანიების დაგეგმვისთვის იყენებდნენ. პირადი მონაცემები Facebook-იდან სათამაშო აპლიკაციებით იგზავნებოდა, მათ შორის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ქსელური თამაშის – „ფარმვილის“ მეშვეობით.

თუ ინტერნეტის პირველ წლებში ინფორმაციის ღიაობა და თავისუფალი გაცვლა მომხმარებლებს მხოლოდ ტექნოლოგიური უტოპია ეგონათ, დღეს უკვე ცხადია, რომ სოციალურ ვებგვერდზე დაუფიქრებლად განთავსებული ინფორმაცია ათასობით კომპანიისთვის ოქროდ ფასობს.

ქსელში გამოქვეყნებული ინფორმაცია და ფოტოები ავტორების წინააღმდეგ რამდენჯერმე გამოიყენეს – გახმაურდა რამდენიმე შემთხვევა, როდესაც დამსაქმებლები სამსახურის მაძიებლების Facebook-ის პროფილს, მათ ფოტოებს და სტატუსებს ამოწმებდნენ. შედეგად, არაერთი უარის საფუძველი გამხდარა ჭიქით ხელში ან ნასვამ მდგომარეობაში გადაღებული ფოტოები.

კონექტიკუტში მცხოვრებ ექთანს, რომელმაც თავის უფროსზე გაბრაზება Facebook-ზე განხილვის თემად აქცია, ეს სამსახურის ფასად დაუჯდა. 2009 წელს კანადელ ქალბატონს კი დეპრესიისთვის დანიშნული სარგებელი სადაზღვევო კომპანიამ მას შემდეგ გაუუქმა, რაც ქალმა თავის გვერდზე გართობის ამსახველი ფოტოები ატვირთა, სადაც ის მეგობრებთან ერთად ერთობოდა. კანადურმა დაზღვევის ასოციაციამ ამ



გადანწყვეტილებას „სამართლიანი თამაში“ უწოდებ.

ბესო გულაშვილი ფოტოგრაფია, ის Facebook-ზე წელიწადნახევრის წინ, თავისი ფოტოების გასაზიარებლად და მათზე მეგობრების აზრის გასაგებად დარეგისტრირდა. დამწყები Facebook-ელი სოციალურ ქსელს უცხოელ კოლეგებთან ურთიერთობის საშუალებადაც განიხილავდა: „ერთგვარად მინი გამოფენა იყო, ვდებდი ფოტოებს და მეგობრები და კოლეგები მწერდნენ თავიანთ აზრს“, – ამბობს გულაშვილი და იხსენებს, რომ სანამ ფოტოებს ატვირთავდა, დიდხანს იფიქრა, რადგან ინტერნეტში დადებული ფოტოების მოპარვის გამოცდილება უკვე ჰქონდა. მცდელობის მიუხედავად, მამინ ვერც საავტორო უფლების დამტკიცება შეძლო და ვერც კომპენსაცია მიიღო:

„ციფრულ ფოტოებზე საავტორო უფლების დამტკიცება უფრო რთულია. თუ Facebook-ზე დებ 600-900 პიქსელიან ფოტოს, ამ ფოტოს გადიდება ხარისხის გაუფუჭებლად ბილბორდის ზომაზეც კი შეიძლება, ანუ ნებისმიერი ფოტოს მოპარვაა შესაძლებელი“, – ამბობს გულაშვილი, რომელმაც სოციალურ ქსელზე თავისი გვერდის გაუქმება ერთი კვირის წინ გადანწყვიტა. მისი თქმით ფოტოები, მეტად უღირს, ვიდრე მეგობრების კომენტარები.

ტელეკომპანია ABC-სთან საუბარში მარკ ცუკერბერგმა აღიარა, რომ მან ბევრი შეცდომა დაუშვა, მათ შორის, პირად ინფორმაციასთან დაკავშირებით: „გულწრფელად რომ ვთქვა, ეს ერთ-ერთი მიზეზია, რაც Facebook-ს ასე საინტერესოს ხდის. ჩვენ ინდუსტრიის წინა ხაზზე ვართ და შესაბამისად ყველა იმ

გამონწვევას ვხვდებით, რომელზეც პირდაპირი პასუხი ჯერჯერობით არც არსებობს“, – თქვა ცუკერბერგმა.

შეცდომების მიუხედავად, Facebook-ის 500 მილიონი მომხმარებელიდან, სოციალურ ქსელს აქტიურად, სულ მცირე დღეში ერთხელ, 50% იყენებს. მათ ქსელში ჩასათრევად სილიკონ ველიში 1600 ახალგაზრდა კომპიუტერის მონიტორებთან მუშაობს.

„ასეთია დემოკრატია – ხალხისთვის ხმის და გადანწყვეტილების უფლების მიცემით ქმნი სისტემას, სადაც ყველა კარგად გრძნობს თავს. ამ საქმეში ჩვენს როლს ძალაუფლების ხალხისთვის მიცემაში ვხედავთ“, – მორცხვად ამბობს კამერის წინ Facebook-ის დამფუძნებელი.

26 წლის ცუკერბერგის მიზანია, Facebook-ზე მთელი მსოფლიო მოსახლეობა განევრიანდეს. **□**

## ჩემი ღირსება Facebook-ზე



3. **შეუძლებელია FACEBOOK-ის დაბრუნება** აკლიკაციებს

სოციალური ქსელის დამატების (ქუიზები, თამაშები) მეშვეობით ადვილია თქვენი პირადი ინფორმაციის შეგროვება, რომელსაც ზოგიერთი კომპანია იპარავს, კარგავს ან უბრალოდ ყიდის.

4. **გამოიყენეთ რამდენიმე სახელი და კოლუნი** სიტყვა

თუ სოციალური ქსელის, ფოსტისა და ინტერნეტ ბანკის გამოყენებისას ერთი და იმავე კოდურ სიტყვას იყენებთ, თქვენი „პასვორდის“ გატეხის რისკი გაცილებით მაღალია.

5. **ამოიწერეთ საძიებო** ვებგვერდიდან

თუ უკვე დარეგისტრირდით პირადი ინფორმაციის

საძიებო ვებგვერდებზე (მაგალითად, **Flickr, LinkedIn**) ნაშალეთ თქვენი მონაცემები ამ გვერდებიდან.

6. **ამოიწერეთ თქვენი პირადი მონაცემები** სოციალურ ქსელზე

**Facebook** იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ თავად აკონტროლოთ, ვის რა ინფორმაციაზე მიუწვდება ხელი თქვენს გვერდზე. ხშირად გადაამონმეთ თქვენი მონაცემების საჯაროობა.

7. **დახურეთ ძველი** ანბარები

თუ hotmail-ს, ოდნოკლასნიკებს ან MySpace-ს ნარსულში იყენებდით, უმჯობესია თქვენი გვერდები ნაშალოთ, ამით თქვენს შესახებ ზედმეტ ინფორმაციას ნაშლით.

1. **დაბლოკეთ COOKIES** თქვენს ბრაუზერზე  
როცა ინტერნეტში დაძვრებით, ვებგვერდებზე, რომლებსაც სტუმრობთ, თქვენზე ათასობით მონაცემი ავტომატურად გროვდება. Cookie-ს დაბლოკვით, მართალია უფრო ხშირად მოგიწევთ კოდური სიტყვის აკრეფა, მაგრამ თქვენი მონაცემების დაცვისთვის – ღირს.

2. **სოციალურ ქსელზე** დარეგისტრირებისას სრულად ნუ მიუთითებთ თქვენი დაბადების თარიღს  
თუ მინც გინდათ, მეგობრებს თქვენი დაბადების დღე Facebook-ით შეახსენოთ, აუცილებელი არ არის, სრული თარიღი მიუთითოთ, გამოტოვეთ დაბადების წელი.

## განათლება

# ჩემი "ბუხი"

დანეციბით კლასებში ნეტბუკების ინტეგრირების შემდეგ მექსიკაში ამ მოსწავლეებმა თანატოლებზე ორჯერ უკეთესი აკადემიური შედეგები აჩვენეს. როგორ შეცვლის კომპიუტერი ქართველი პირველკლასელების ცხოვრებას?

### ნათია ახალაშვილი

„ციფრული ჩართულობა საგანმანათლებლო სისტემაში სასწავლო პროცესს გაცილებით უფრო სახალისოს ხდის. ეს იმას ნიშნავს, რომ ნიგერიის მივარდნილი სოფლის ერთ პატარა გოგონას თავისი სასკოლო დავალებისთვის ისეთივე ამომწურავი ინფორმაციის მოპოვება შეუძლია, როგორც მის თანატოლებს ვაშინგტონში ან ჩინეთში“.

ნიგერიის მეცნიერებისა და ტექნოლოგიის მინისტრმა ტარნერ ისუნიმ ასე წარადგინა თავის ქვეყანაში კომპანია „ინტელ“-ის პროექტი, რომლის მიხედვითაც სპეციალურად საგანმანათლებლო მიზნებისთვის შექმნილი კომპიუტერები ნიგერიული საჯარო სკოლების სასწავლო პროცესის ნაწილი გახდა.

„ინტელ“-ის ენ. Classmate PC, ანუ საკლასო კომპიუტერი, ჩვეულებრივი, მცირე ზომის ნეტბუქია. მას სასწავლო პროცესის გაუმჯობესებისთვის მსოფლიოს 50-ზე მეტ ქვეყანაში მილიონზე მეტი მოსწავლე იყენებს.

ახალი სასწავლო წლიდან ლურჯი ფერის, პატარა და მოსახერხებელი ნეტბუქით სკოლაში სიარული მექსიკელ, ნიგერიელ, ტაილანდელ და ინდოელ ბავშვებთან ერთად, ქართველმა პირველკლასელებმაც დაიწყეს.

„ინტელ“-ს, „მაიკროსოფტ“-სა და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შორის ხელშეკრულება 28 მაისს გაფორმდა. ახალი პროგრამა „ჩემი პირველი კომპიუტერი“ კი თბილისის სამ და წეროვანის, ზუგდიდის, ბათუმისა და მესტიის რამდენიმე საჯარო სკოლის პირველ კლასებში სექტემბრიდან ამოქმედდა.

თუმცა ჩვენთან ამ პროგრამის არსი ბავშვებისთვის, მასწავლებლებისა და მშობლებისთვის ისე მარტივად და გასაგებად



თბილისის ზოგიერთ სკოლაში ყველა პირველკლასელს თავის „ბუქი“ აქვს

ფოტო: ანატოლი ბაქრაძე, დე. მხედრიანი, სკოლაში

არაფის აუხსნია, როგორც ეს ნიგერიელმა მინისტრმა გააკეთა.

„ეს კომპიუტერები მომავალი სასწავლო წლის პირველი სექტემბრიდან ყველა ჩვენს პირველკლასელ ბავშვს დაურიგდება. მასში ყველა სახელმძღვანელო ჩაიტვირთება. ამიტომ ჩვენ ნიგენების დარიგება აღარ დაგჭირდება. ასეთი კომპიუტერი ბავშვებს გაჰყვება 4-5-6 წელი. და ეს რეალურად იქნება მათი საგზური მომავალ ცხოვრებაში“, – განაცხადა აპრილში პრეზიდენტმა. რამდენიმე დღის შემდეგ კი განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა, დიმიტრი შაშკინმა მხოლოდ ის განმარტა, რომ ეს კომპიუტერები სახელმძღვანელოებს არ გამოირცხავს, მისი მთავარი მიზანი კი ისაა, რომ „ვისაც წიგნის ყიდვის საშუალება არ აქვს, უცოდინარი არ დარჩეს“.

ზემოთ ჩამოთვლილ ქვეყნებთან საქართველოს ის აქვს საერთო, რომ თითოეული მათგანი კომპიუტერულ რეგოლუციას ახლა იწყებს. საერთოა პრობლემებიც. ის,

რასაც ნიგერიელები საკუთარ თავზე ამბობენ, თავისუფლად შეიძლება ქართულ რეალობასაც მოერგოს: „ჩვენი ქვეყნის ბევრ რეგიონში ინტერნეტი ხელმისაწვდომი არ არის. მოსწავლეთა დიდ ნაწილს კი კომპიუტერისთვის ხელი ერთხელაც არ შეუხია“.

მიუხედავად ამისა, ამ ქვეყნებში „ინტელ“-ის საგანმანათლებლო პროექტის მთავარი მისია კარგად ესმით:

„არ გვინდა, რომ ბავშვები მხოლოდ ინფორმაციის მომხმარებლებად იქცნენ. ჩვენი მიზანია, ბავშვებმა ინფორმაცია თვითონ აწარმოონ, გაუჩნდეთ იდეები, დააგროვონ ცოდნა და ეს ყველაფერი სამომავლოდ პროფესიის არჩევისა და საზოგადოების სამსახურისთვის გამოიყენონ“, – ასე განმარტავს დანეციბით კლასებში ნეტბუკების დარიგების არსს მექსიკაში იმავე პროექტის აკადემიური მრჩეველი გვადალუპე გონსალესი.

პროგრამას „ჩემი პირველი კომპიუტე-

რი“ მენეჯერები და მრჩეველები საქართველოშიც ჰყავს. თუმცა, მათ ამ ახალი პროექტის მიზნებისა და ფუნქციის ასე ღრმად გააზრება არც ევალებათ. კომპიუტერის ჩართვა და გამორთვა, ახალი დოკუმენტის შექმნა და დამახსოვრება, ძველის გახსნა და კომპიუტერში ჩატვირთული საგანმანათლებლო თამაშების გამოყენება – მენეჯერები პედაგოგებს, ძირითადად, ტრენინგზე ნასწავლი ამ მასალის გაკვეთილზე გამოყენებაში ეხმარებიან.

„ვერჯერობით ჩვენც ბავშვებთან ერთად ვსწავლობთ. აგვისტოდან დავიწყეთ და ტრენინგები ახლაც გრძელდება. გვეუბნებიან, რომ შემდეგი სემესტრიდან უკვე ყველა გაკვეთილზე უნდა იყოს ჩართული კომპიუტერი“, – ამბობს ერთ-ერთი საპილოტე სკოლის პირველი კლასის დამრიგებელი და ფიქრობს, რომ კომპიუტერის უფრო ხშირად გამოყენება შემდეგი სემესტრიდან არ გაუჭირდება.

ნიშნები ჰქონდათ.

საქართველოში საპილოტე სწავლების პირველი შედეგების ანალიზი ჯერ შეუძლებელია. საპილოტე კლასებში მასწავლებლებიცა და მოსწავლეებიც ჯერ ისევ კომპიუტერთან შეჩვევის ეტაპზე არიან. ადაპტაციის პროცესი რამდენიმე ინგლისურენოვანი და ქართულ ენაზე შედგენილი თამაშებით მიმდინარეობს.

საპილოტე სკოლების პირველკლასელებს „ისტ“-ის, ანუ ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გაკვეთილი, კვირაში ერთხელ უტარდებათ. პატარებს იმ დღეს სკოლაში სახელმძღვანელოებითა და რვეულებით საცხე ჩანთასთან ერთად ნეტბუკებიც მიაქვთ. „აქ ვერ დავატოვებინებ და ვერც ყოველდღე ვატარებინებ თან, ამიტომ თუ სხვა გაკვეთილზე ვაპირებთ კომპიუტერის გამოყენებას, ბავშვებს წინასწარ ვაფრთხილებ ხოლმე“, – განმარტავს ერთ-ერთი სკოლის დამრიგებელი.

რი სასწავლი მისმა მშობლებმაც აღიარეს. ახლა ამ პატარა ბიჭის ოჯახი ფულს აგროვებს, რომ საკუთარი საოჯახო კომპიუტერი შეიძინოს.

ქართველ მოსწავლეებს კომპიუტერის ასე უნივერსალურად გამოყენება მხოლოდ მას შემდეგ შეეძლება, რაც პროგრამა „ჩემი პირველი კომპიუტერი“ უფრო მეტად დაიხვეწება, ინტერნეტის შესაძლებლობების სასწავლო პროცესში გამოყენებას კი, პირველ რიგში, მასწავლებლები შეძლებენ.

გემის მიხედვით, უკვე წელს, მეორე სემესტრიდან, მასწავლებლებისა და პირველკლასელების კომპიუტერები ერთმანეთს შიდა ქსელით უნდა დაუკავშირდეს. მასწავლებელს საკუთარი ნოუტბუკით მუდმივად ექნება საშუალება, ნახოს, რას აკეთებს ესა თუ ის მოსწავლე კონკრეტულ მომენტში. ამავე ქსელის მეშვეობით ის გასცემს დავალებებს და მოსწავლეების მიერ შესრულებულ მასალას იმავე გზით მიიღებს.

■ **საპილოტე კლასებში მასწავლებლებიცა და მოსწავლეებიც ჯერ ისევ კომპიუტერთან შეჩვევის ეტაპზე არიან. ადაპტაციის პროცესი რამდენიმე ინგლისურენოვანი და ქართულ ენაზე შედგენილი თამაშებით მიმდინარეობს.**

ის იმ მასწავლებლების არცთუ ისე დიდ რიცხვს მიეკუთვნება, რომლებიც ცდილობენ, ნეტბუკი სასწავლო პროცესში მენეჯერის დაუხმარებლად ჩართონ. „კომპიუტერს, ძირითადად, ახალი ასოს ახსნის დროს ვიყენებ. ასე უკვე 14 ასო ვისწავლეთ, მე დაფასთან ვმუშაობ, ბავშვებს კი ნეტბუკები აქვთ გახსნილი და ეკრანზე უყურებენ, როგორ იწერება ის ასო, რომელიც იმ დღეს პირველად ისწავლეს“.

„ინტელის“ ამ გლობალურ პროექტში მონაწილე სხვა განვითარებად ქვეყნებში უკვე პირველ წარმატებებზე საუბრობენ. მექსიკაში ამბობენ, რომ დანყებით კლასებში სასწავლო პროცესში ნეტბუკების ინტეგრირების შემდეგ საპილოტე კლასების მოსწავლეებმა ორჯერ უკეთესი აკადემიური შედეგები აჩვენეს. ამ ბავშვებს, ჩვეულებრივი კლასის მოსწავლეებთან შედარებით, მათემატიკასა და ინგლისურში და კომპიუტერულ მეცნიერებასა და ტექნოლოგიების საფუძვლებშიც უკეთესი

„ყველაზე ძალიან თამაშები მომწონს“, – ამბობს პირველკლასელი მარიამი.

„თამაშები მეც ძალიან მომწონს, მაგრამ უკვე ცოტათი მომზეზრდა“, – პასუხობს 6 წლის ნიკა.

მათი ნეტბუკებით უკაბელო ინტერნეტით სარგებლობაცაა შესაძლებელი. თუმცა, იმის გამო, რომ საპილოტე სკოლებში სათანადო ინფრასტრუქტურა ჯერ არ აქვთ, ინტერნეტს სასწავლო მიზნებით ვერ იყენებენ და გაკვეთილებზე მხოლოდ კომპიუტერში ჩატვირთული საგანმანათლებლო თამაშებით იქცევენ თავს.

ერთმა 11 წლის მექსიკელმა ბიჭმა კი, რომელიც პატარა სოფელში ცხოვრობს, რამდენიმე ხნის წინ, „ინტელ“-ის ნეტბუკი მამის სასურსათო მაღაზიის განვითარებისთვის გამოიყენა. სკოლაში ნასწავლი მასალის დახმარებით, მან მშობლებს სპეციალური პროგრამა შეუდგინა და საქონლის მოპოვებისა და ხარჯთაღრიცხვის პროცესი გაუადვილა. ეს ტექნოლოგიუ-

ეს პირველი კლასების პედაგოგებს წინასწარ ამინებთ, რადგან საკუთარ უნარჩვევებსა და ცოდნას არ ენდობიან. თუმცა, სამინისტროდან ბრძანების სახით მონოდეზინი ინიციატივას არ აპროტესტებენ და პროგრამის მენეჯერების დახმარების იმედი აქვთ.

მომავალ სასწავლო წელს ბავშვები ამავე კომპიუტერებით გააგრძელებენ სწავლას. სავარაუდოდ ამ დროისთვის ნეტბუკების საგანმანათლებლო შინაარსი უფრო დახვეწილი და მრავალფეროვანი უნდა გახდეს.

მანამდე კი, საქართველოს რამდენიმე საჯარო სკოლის პირველკლასელები კომპიუტერთან მუშაობის უნარ-ჩვევებს საგანმანათლებლო თამაშებით შეიძენენ.

ქართული თამაშების დასრულების შემდეგ ნეტბუკიდან ხმა ისმის – „აღარ გინდა თამაში? ბუტე-ბუტე, გაგებუტე, აღარ გეთამაშები“. ■

# ჩა აჩის საზოგადოებრივი ჯანდაცვა?



სიგარეტის მოწევა, ნახევარფაბრიკატებით გამოტენილი მაღაზიები, მხოლოდ მანქანით მგზავრობა – ჯანმრთელობის დაცვა საქართველოში სულ უფრო რთული მისია ხდება.

მარკ მალენი

პირველად, როდესაც ჩემი და, თავის ბავშვებთან ერთად, საქართველოში ჩამოვიდა, აღფრთოვანებული იყო იმით, თუ როგორი ჯანმრთელები არიან ქართველი ბავშვები. ვინც კი ამერიკაში ყოფილა, დაგიდასტურებთ, რომ იქ (ისევე, როგორც მდიდარი ქვეყნების უმრავლესობაში) თითქმის სიმსუქნის ეპიდემიის ზღვარზე არიან.

უცნაურია, მაგრამ როგორც წესი, ამერიკაში ღარიბი ხალხი უფრო მსუქანია, ვიდრე მდიდარი. მიზეზი სოფლის მეურნეობის სუბსიდიები და საკვები პროდუქციის სისტემის ორგანიზაციაა – თუ

ბევრი ფული არ გაქვს და თან რამდენიმე სამსახურში მუშაობ, ხშირად გინევს ისეთი საჭმლის ყიდვა, რომელიც ყველაზე იაფი და მოსახერხებელია, მაგრამ ამავე დროს, საშინლად ასუქებს. მდიდარ ხალხს კი შეუძლია ჯანმრთელი, ორგანული, სახლში დამზადებული საკვები ჭამოს.

საქართველოში ახლა საკვებისა და სოფლის მეურნეობის შესახებ დისკუსია აქტიურად მიმდინარეობს. დადებს საქართველო თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებას ევროკავშირთან? თუ კი, მაშინ რას მოუტანს ეს ქართულ სოფლის

მეურნეობას? თბილისში აგრარული ბაზრების რაოდენობა უკვე შემცირდა. „გუდვილს“ კი ინტენსიურად შემოაქვს ნახევარფაბრიკატი საკვები. ეს საკვები მოსახერხებელია და ძვირიც არ ღირს, მაგრამ უბედურება ის არის, რომ ასუქებს. ჩვენი გემოს რეცეპტორები მომართულია სამ რამეზე: შაქარზე, მარილსა და ცხიმზე. მნიშვნელობა არ აქვს, რა სახის დამუშავებული საკვებია, თუ ბევრი ზემოთ ჩამოთვლილი ინგრედიენტი აქვს, მაშინ ჩვენთვის მოსაწონი იქნება. აქედან გამომდინარე, დროთა განმავლობაში ნახევარფაბრიკატი საკვების მწარმოე-



ბლებმა საკვებში ამ სამი ინგრედიენტის ნილი გაზარდეს. სავაჭრო ბარიერების მოსპობის შედეგად, ინდუსტრიული, ნახევარფაბრიკატი საკვების მწარმოებლებისთვის ძალიან ადვილია საკვები პროდუქციის საქართველოში შემოტანა.

ახლა, როდესაც საქართველოში ბევრს ჰყავს ავტომობილი, ადამიანების გარკვეული კლასი შეიქმნა, რომლებიც ფეხით საერთოდ არ დადის. ადრე ჭარბი წონა მხოლოდ უფროსი ასაკის ხალხს აწუხებდა, ახლა კი ისეთი ბავშვები იყურებიან მანქანების ფანჯრებიდან, ან დადიან „გუდვილში“, რომ წონის დაკლება ნამდვილად არ აწყენდათ.

ეს უკვე საზოგადოებრივი ჯანდაცვის საკითხია. რა არის საზოგადოებრივი ჯანდაცვა? ეს ნიშნავს საზოგადოების ჯანმრთელობის მდგომარეობის კუთხით ყველა დონის პოლიტიკური გადაწყვეტილების გადახედვას. ქვეყნები, რომლებსაც საუკეთესო საჯარო ჯანდაცვა აქვთ, ძირითადად ნაციონალიზებული ჯანდაცვის სისტემაზე არიან და ამავე დროს, იქ ყველა პოლიტიკურ გადაწყვეტილებას საჯარო ჯანდაცვის პერსპექტივიდან უყურებენ.


მედიცინა ცალკე საკითხია. ექიმების საქმე პაციენტების მკურნალობაა. არსებობს ქვეყნები, სადაც, თუ მდიდარი ხარ, ავად გახდომა მშვენიერი რამაა, ხოლო თუ ღარიბი ხარ – ყველაზე დიდი ტრაგედია. ამერიკა სწორედ ასეთი ქვეყნის მაგალითია. საჯარო ჯანდაცვის პერსპექტივიდან ამერიკას სერიოზული პრობლემები აქვს.

საქართველოს ჯანდაცვის სფეროში, ბოლო წლების განმავლობაში, ცოტა რამ გაკეთდა. ეს მართლაც კომპლექსური სექტორია, და ამას ჯანდაცვის რეფორმაზე ერთნაირი დავის შემდეგ, ბევრი ამერიკელი დაგიდასტურებთ. ამჟამად საქართველოში ახალი მოძრაობა წარმოიშვა, რომლის მიზანიც ჯანდაცვის პრობლემების მოგვარებაა. ეს თემები ბოლო დროს ხშირად ჩნდება ახალ ამბებში. პირველი და უმთავრესი საკითხი, რომელიც ჯანდაცვის საკითხზე საუბრისას აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ, ექიმებსა და საავადმყოფოებზე საჯარო ხელმისაწვდომობაა.

მეორე საკითხია ისეთი სისტემის აწყობა, რომლის მისაწვდომობაც მოგვარებული იქნება მათთვის, ვისაც მკურნალობის ხარჯების დასაფარი ფული არ აქვს, ან ჯანდაცვის დაწესებულებებისგან მოშორებით ცხოვრობს, ბავშვებისთვის, მათთვის, ვისაც ქრონიკული დაავადებები აწუხებთ და ა.შ. ჯანდაცვა ხელმისაწვდომი უნდა იყოს ყველასთვის, განსაკუთრებით კი მათთვის, ვინც ისედაც დაზარალებულ მდგომარეობაშია. საზოგადოებას მათთან მიმართებაში გარკვეული პასუხისმგებლობა აკისრია. რა დონის პასუხისმგებლობა და რა შემთხვევაში, ეგ სადავო საკითხია, მაგრამ მხოლოდ ძალიან გულქვა ადამიანები თუ იტყვიან, რომ საზოგადოებას მათთან მიმართებაში პასუხისმგებლობა საერთოდ არ აქვს.

მესამე საკითხია გარკვეული ტიპის პრევენციის დაწესება. ყველამ იცის, რომ მოწვევა კლავს და სწორედ ამიტომ მწვევლთა რიცხვის შესამცირებლად ზოგიერთ მდიდარ ქვეყანაში უამრავ კანონს და გამაფრთხილებელ პოსტერს აღმოაჩენთ. ასეთი საჯარო ჯანდაცვის საკითხი კიდევ მრავალია, სადაც მოკრძალებული წინასწარი ინვესტიცია სახელმწიფოსა და საზოგადოებას მომავალ დიდ ხარჯებსა და მკურნალობის ძალისხმევას თავიდან აარიდებს.

და ბოლოს, საჯარო ჯანდაცვის ყველაზე რთული ასპექტი ნებისმიერი პოლიტიკური გადაწყვეტილების ჯანდაცვის პერსპექტივიდან განხილვაა. ახლა მთავრობის პრიორიტეტი გადასახადების და ბიუროკრატის შემცირებაა. ამ პოლიტიკის შედეგია, რომ საერთაშორისო სტანდარტებთან შედარებით, საქართველოში სიგარეტზე გადასახადები ნაკლებია და აქედან გამომდინარე, ფილტვის კიბოთი დაავადებულთა რიცხვიც დიდია.

ასე რომ, ჯანდაცვა არ ნიშნავს მხოლოდ ექიმებთან მისვლას და მათთვის ანაზღაურების გადახდას. ჯანმრთელობის დაცვა, პირველ რიგში, ქვეყანური პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღება და სახელმწიფოს სწორი დამოკიდებულება მოსახლეობის ჯანმრთელობის მიმართ. 

ინგლისურიდან თარგმნა გიორგი ცხადაიამ.



# სპეციალური შეთავაზება



მხოლოდ 2010 წლის 31 დეკემბრამდე შეგიძლიათ გამოიწეროთ **„ლიბერალი“** **ტითქმის ნახევარ ფასად!**

**წლიური ხელშეკრულება მხოლოდ 55 ლარი!**

ისარგებლეთ სპეციალური შეთავაზებით, გამოიწერეთ **„ლიბერალი“** და მიიღეთ თქვენი **„ლიბერალი“** ყოველ ორშაბათს თქვენთვის სასურველ ადგილას!

წერეთ **„ლიბერალი“** გამოსაწერად დაგვიკავშირდით ტელეფონზე: **(899) 48 62 41** ან მოგვანოდეთ თქვენი საკონტაქტო ინფორმაცია ელ-ფოსტით: **info@liberali.ge**

# მსოფლიოს მთავარი თავსატეხი



ხელოვნურად გაუფასურებული იუანი – როგორ უპასუხებს ჩინეთი საყოველთაო უკმაყოფილებას?

გიორგი ცხადაია

მსოფლიო ეკონომიკურმა კრიზისმა უამრავი პრობლემა და ერთი დადებითი რამ მოიტანა: ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში საკუთარ საექსპორტო პოლიტიკას გადახედეს. ჩინელი სახელმწიფო მოხელეები მიხვდნენ, რომ მათ საექსპორტო საქონელზე მოთხოვნა შესაძლოა, არ იყოს მარადიული. სხვა მთავრობების მიერ ტარიფებისა და კვოტების დანესების საფრთხეს რომ თავი დავანებოთ, ადრე თუ გვიან, თავად უცხოელ მომხმარებელს შეიძლება გაუჩნდეს ფინანსური პრობლემები.

მკითხველთა ნაწილს შესაძლოა, ცოტა უცნაურად მოეჩვენოს ჩინეთის ეკონომიკური პოლიტიკისთვის ამხელა მნიშვნელობის მინიჭება, რადგან საქართველოში, როგორც წესი, საგარეო პოლიტიკურ დღის წესრიგში ამერიკა, რუსეთი და ევროპა დგას ხოლმე. თუმცა, გარნშუნებით – დღეს ჩინეთში მიღებულ გადაწყვეტილებებს მომავალი მსოფლიო წესრიგის განსაზღვრა შეუძლია.

ჩინეთმა წელს მთლიანი შიდა პროდუქტის მაჩვენებლით იაპონიას გადაუსწრო და ამერიკის შემდეგ, სიდიდით მსოფლიოს მეორე ეკონომიკა გახდა.

მსოფლიოს ოცი მდიდარი ქვეყნის – „დიდი ოცეულის“ (G20-ის) სამიტზეც მთავარი სასაუბრო თემა ჩინეთი იყო. სამიტზე, რომელიც 11-12 ნოემბერს სამხრეთ კორეის დედაქალაქ სეულში გაიმართა, მთავარი მოვლენა ამერიკის პრეზიდენტის – ბარაკ ობამას მოულოდნელი კრიტიკული გამოსვლა გახდა.

ობამამ ჩინეთს პირდაპირ დასდო ბრალი იუანის ხელოვნურად გაუფასურებაში, რაც ჩინურ ექსპორტზე ფასებს აგდებს და ჩინურ საქონელს არანორმალურად კონკურენტუნარიანს ხდის. ჩინური იუანი ამერიკულ აშშ დოლარზე მიბმული



და მის ღირებულებას ჩინეთის მთავრობა სხვადასხვა მეთოდებით განსაზღვრავს. ობამას განცხადებით, „იუანის საკითხი ალიზიანებს არა მხოლოდ შეერთებულ შტატებს, არამედ ჩინეთის ბევრ სავაჭრო პარტნიორს, რომლებიც მსოფლიო ბაზარზე კონკურენტციას უწევენ ჩინეთს იმისათვის, რომ თავიანთი საქონელი გაყიდონ.“

ზოგიერთ ამერიკელ ეკონომისტს უკვე გაახსენდა ავბედითი 1971 წელი. მაშინ რამდენიმე საექსპორტო ქვეყანამ, მათ შორის, გერმანიამ და იაპონიამ ეროვნული ვალუტები ხელოვნურად გააუფასურა. საპასუხოდ, ამერიკა ადგა და იმპორტზე 10%-იანი ტარიფი დაანესა. გერმანიასაც და იაპონიასაც ისე შეეშინდათ ამერიკის ბაზრის დაკარგვა, რომ მაშინვე ასნიეს

თავიანთი ვალუტების ღირებულება დოლართან მიმართებაში.

თუმცა, ამერიკაში იციან, რომ ჩინეთი 70-იანი წლების იაპონია და გერმანია არ არის, რომ ამერიკის პოლიტიკური და სამხედრო პროტექციის ქვეშ იყოს. აქედან გამომდინარე, ჩინეთზე ეკონომიკურ ზეწოლასაც ამერიკა შედარებით ფრთხილად ეკიდება და ცდილობს, რადიკალური ნაბიჯები თავიდან აიცილოს.

თანაც, დღეს რომ ამერიკამ იმავე ტაქტიკით სცადოს ჩინეთის „შეშინება“, მას იმპორტულ საქონელზე არა 10 %-იანი, არამედ 25%-იანი ტარიფის დაწესება მოუწევს. ეს კი საბოლოოდ აუცილებლად ეკონომიკურ პროტექციონიზმამდე მიგვიყვანს.

მსოფლიოს წამყვანი ქვეყნები დიდი ხნის წინ შეთანხმდნენ, რომ ეკონომიკური პროტექციონიზმი, ანუ საგარეო ვაჭრობის შეზღუდვა და დამცავი მექანიზმების – ტარიფების, კვოტების და რეგულაციების, დაწესება, საბოლოო ჯამში, არც ერთ

ლანსის დადებითი საღლო (ჩინეთი უფრო ნაკლებს მოიხმარს, ვიდრე აწარმოებს) დიდწილად ჩინელი მომხმარებლის სოციალური და კულტურული ბუნებითაა განპირობებული. ჩინელ მომხმარებელს უყვარს ფულის გადადება, ნაწილობრივ იმიტომ, რომ არ არსებობს საპენსიო გარანტიები და ჯანდაცვის სისტემა. თუ ჩინელი მომხმარებელი ხარჯვას დაიწყებს, მაშინ ექსპორტ-იმპორტის შეფარდება დარეგულირდება და მსოფლიო ეკონომიკაც უფრო ჯანმრთელი და მომგებიანი გახდება.

ფულს ნაკლებად ხარჯავენ ჩინეთის მცირე კერძო კომპანიებიც – მათ საინვესტიციოდ საჭირო კაპიტალის დაგროვება სურთ. იზრდება სახელმწიფოს შემოსავალი, თუმცა, ხარჯვა არ გაზრდილა – დაბალი მოხმარების ფონზე ინვესტირება, უბრალოდ, არაეფექტურია. შედეგად, დღეს ჩინეთში სიტუაცია ყველა სფეროში ერთნაირია: ინახავენ უფრო მეტს, ვიდრე მომავალი ინვესტიციისთვის არის საჭირო.

გზაა კომპანიებისთვის დივიდენდების გადახდის დაკისრება იმისათვის, რომ ნაკლები ზედმეტი ინვესტიცია განახორციელონ და ა.შ.

ეკონომისტების ერთი, შედარებით მცირე ნაწილი მიიჩნევს, რომ პრობლემა სინამდვილეში ის კი არ არის, რომ ჩინური ოჯახები ბევრს ინახავენ და ცოტას ხარჯავენ, არამედ ჩინური კომპანიები, რომლებიც ზედმეტ ინვესტიციას ახორციელებენ. ამ მოსაზრებით, ჩინური კომპანიები თავისით მივლენ კონდიციამდე, როცა ზედმეტი ინვესტიცია ნაკლებ მოგებას მოუტანთ (რადგან ამდენი მოთხოვნა არც შიდა და არც მსოფლიო ბაზარზე აღარ იქნება) და თავისით დაიწყებენ შესაბამისი ზომების გატარებას.

მომხმარებლების მიერ ნაკლებ ხარჯვასა და კომპანიების მიერ ზედმეტ ხარჯვას/ინვესტირებას, ამ ორ მთავარ პრობლემას თუ შევაჯამებთ, გამოდის, რომ მთავარი დამნაშავე ჩინეთის მთავრობაა. ის ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ ჩინური

**■ თუ ჩინელი მომხმარებელი ხარჯვას დაიწყებს, მაშინ ექსპორტ-იმპორტის შეფარდება დარეგულირდება და მსოფლიო ეკონომიკაც უფრო ჯანმრთელი და მომგებიანი გახდება.**

ცალკე აღებულ ქვეყანას კარგს არაფერს მოუტანს. თავისუფალი ვაჭრობის შეზღუდვას ეკონომიკურ პრობლემებთან ერთად ნაციონალიზმი, კონფლიქტები და უკიდურეს შემთხვევაში, მსოფლიო ომიც კი მოჰყოლია.

ჩინეთში საფრთხის გააზრება უკვე დაიწყო, თუმცა იუანის ღირებულების უცვარ აწევას არავინ ელის. ჩინეთის პრემიერ-მინისტრმა, ვენ ჯიაბაომ განაცხადა: „არ დაგვაძალთ იუანის კურსის აწევა. თუ ჩინეთში სოციალური და ეკონომიკური არეულობა დაიწყება, მსოფლიოსთვის ეს კატასტროფა იქნება“. რატომ არეულობა? – თუ იუანის კურსი გამყარდება, ჩინური ექსპორტი სახარბიელო კონკურენტუნარიანობის დაკარგავს, ჩინური საექსპორტო ინდუსტრია დაზარალდება და უამრავი ჩინელი უმუშევარი დარჩება.

მეინსტრიმ ეკონომისტების უმრავლესობა მიიჩნევს, რომ ჩინური სავაჭრო ბა-

ზინგშუას უნივერსიტეტის ეკონომიკის პროფესორის ვარაუდით, როდესაც ჩინეთის მოქალაქეების ცხოვრების პირობები გაუმჯობესდება, ფულის შენახვის მაჩვენებელიც დაიკლებს. ეს კი, მისივე თქმით, ალბათ უახლოეს 10-20 წელიწადში არ მოხდება.

ჩინეთის მთავრობა იძულებულია, საერთაშორისო ზეწოლას უპასუხოს. „დიდი ოცეულის“ სამიტზე ჩინეთის ლიდერმა ჰუ ძინტაომ განაცხადა, რომ ამიერიდან ჩინეთის მთავრობის უმთავრესი პრიორიტეტი შიდა მოთხოვნის გაზრდა იქნება.

შიდა მოხმარების გაზრდას ჩინეთის მთავრობა სხვადასხვა გზით ცდილობს. უპირველესად, ეს სოციალური პროგრამების განხორციელებას გულისხმობს; ასევე, სადემოზიტიო საპროცენტო განაკვეთების აწევას იმისთვის, რომ მომხმარებლებმა თავიანთ საბანკო ანგარიშებზე მეტი ფული დააგროვონ. კიდევ ერთი

საექსპორტო ინდუსტრიების კონკურენტუნარიანობა ხელოვნურად გაზარდოს: აძლევს მათ სუბსიდირებულ მინას და ენერგორესურსებს, ხელოვნურად აუფასურებს იუანს, დაბლა სწევს ამ კომპანიებისთვის საბანკო სესხებს, და ა.შ. ამავე დროს, მთავრობა არაფერს აკეთებდა მომხმარებლების მსყიდველობითუნარიანობის გაზრდისთვის.

ჩინეთის მაგალითი გვიჩვენებს, რომ ექსპორტის ხელოვნურად წახალისებაში ცუდი არაფერია. მთავარი პრობლემა მაშინ წარმოიშობება, როდესაც საექსპორტო ინდუსტრიები იმაზე მეტ ინვესტიციას ახდენენ, ვიდრე სჭირდებათ, დანარჩენ ფულს კი ინახავენ. მთავრობას ამ დროს არანაირი მექანიზმი არ გააჩნია ამ ფულის მომხმარებლების ბიუჯეტში გადასაქაჩად. ჩინეთის მთავრობის მთავარი სამუშაო დღეს სწორედ ამ სტრუქტურული უთანასწორობის აღმოფხვრაა. ■

# შიშვანი მეფეები

სხილე-ახსი ხელოვნების სახელით




„მაღალი“ და „დაბალი“ კულტურების თანხვედრა თითქოს დროის მოთხოვნაა, მაგრამ სინამდვილეში ეს ხელოვნების ობიექტების ფინანსურ მაქინაცეზებად გადაქცევას ჰგავს.

დავით ბუხრიკიძე

მას შემდეგ, რაც თანამედროვე ბრიტანელი მხატვრის, დემიან ჰირსტის ნამუშევარი „ლმერთის სიყვარულის გამო“ – პლატინით და ბრილიანტით ინკრუსტირებული თავის ქალა – ორი წლის წინ, მილიონ ევროდ გაიყიდა, თანამედროვე ხელოვნების შეფასებამ აზრი დაკარგა. ჰირსტი გახდა ყველაზე ძვირადღირებული ცოცხალი ხელოვანი, რომლის ნამუშევრებმა (მაგალითად, ფორმალინით დამუშავებული ზვიგენი ან ცხვარი აკვარიუმში) ტრეიდ-არტი, ანუ სავაჭრო ობიექტად ქცეული ხელოვნება, ერთგვარად გაათავისუფლა ეთიკური პასუხისმგებლობისგან.

„ახალგაზრდა ბრიტანელი მხატვრები“, რომელთაც ჰირსტი მიეკუთვნება, შესანიშნავად არიან ინფორმირებული საზოგადოების ინსტინქტების, მზაობისა და მოთხოვნების შესახებ. რაც მთავარია, ისინი კარგად იცნობენ ხელოვნების ბაზარს. „მათ აქვთ ბრწყინვალე ყნოსვა, როგორ აქციონ ორიგინალური იდეებიდან ამოზრდილი ბრწყინვალა ნაგავი ბრილიანტებად. ისინი მდიდარი, მაგრამ შიშველი მეფეები არიან,“ – წერს გაზეთ „მონდში“ ხელოვნების ისტორიკოსი და ფრანგული აკადემიის წევრი, პიკასოს მუზეუმის ყოფილი დირექტორი, ჟან კლერი.

იგი ცნობილი თანამედროვე ხელოვანის, ჯეფ კუნსის ნამუშევრების ისტორიასაც ეხება და მათ „ტრეიდ-არტის დამცინავი ეპოსის აჩრდილებად“ მოიხსენიებს. კუნსის შემდეგ ხელოვნების ბაზარმა ისეთი მუტაცია განიცადა, რომ შეფასების კრიტერიუმის დადგენა პრაქტიკულად შეუძლებელია. არტ-ტრეიდს, ერთი მხრივ, გალერეების მფლობელები და ხელოვნებათმცოდნე-



დემიან ჰირსტი „ქალწული დედა“

ები არეგულირებენ, მეორე მხრივ, თანამედროვე არტით დაინტერესებული ფინანსისტები და აუქციონები. ბანკები და აუქციონები მდიდარ კლიენტ-

ებს თანამედროვე ხელოვნების „უპირატესობაში“ არწმუნებენ და მათთვის სასურველი გალერეების ნამუშევრებს განსაზღვრულ ფასად სთავაზობენ. ალ-



ბათ, ამგვარმა სპეკულაციებმაც განსაზღვრეს კუნსისა და ჰირსტის ნამუშევრების ტრეიდ-იმიჯი.

თანამედროვე ვიზუალური ხელოვნების პრობლემას შეხედულებათა პოსტ-მოდერნისტული სიჭრელე, ხელოვნების ენის სირთულე და მრავალგანზომილებიანობა წარმოადგენს. ღარიბი და არტისტული მხატვრის იმიჯი დიდი ხანია, წარსულს ჩაბარდა. იმისათვის, რომ გაღერებმა ნამუშევრები გაყიდონ, მხატვარი წარმატებულ და კრეატიულ პერსონად უნდა წარმოაჩინონ. დიპლომატი ხელში მოსიარულე ჯეფ კუნსი ამგვარი სოციალური მიმიკრიის შექმნის მცდელობაა.

ევროპაში გაჩნდნენ კუნსის მიმბაძველი მხატვრები, რომლებიც მოდერნისტულ ვილემში ცხოვრობენ და მხოლოდ მილიონერებთან მეგობრობენ. თუმცა ეს კავშირი ორივესთვის სასარგებლოა, რადგან მხატვრებს წარმატება და აღიარება სურთ, მდიდრებს – გართობა, მაგრამ ხელოვნების სახელით. „მუზეუმებმა ახალი გასართობი მოიგონეს,“ – დასძენს ჟან კლერი – „ვერსალის დარბაზებში ტაკაში მურაკამის მასხარები გამოფინეს, „პალაცო გრასიში“ – კუნსის ობიექტები. „მაღალი“ და „დაბალი“ კულტურების თანხვედრა თითქოს დროის მოთხოვნაა, მაგრამ სინამდვილეში ეს ხელოვნების ობიექტების ფინანსურ მაქინაციებად გადაქცევას ჰგავს. ხელოვნება ისეთ ფიზიოლოგიურ სიმბოლოებს დაუკავშირდა, რომელიც მხოლოდ ბატონ ფროიდს თუ გაახარებდა“.

სინამდვილეში, თანამედროვე ვიზუალური ხელოვნების კულტიდან კულტურულობა სულაც არ იქმნება. უბრალოდ, სოციალურმა ინსტიტუტებმა, რელიგიამ და პოლიტიკამ იმდენად დაკარგა ფასი, რომ ხელოვნება ფინანსური და ფიზიოლოგიური სფეროს ნაწილიც გახდა. „გამოფენები ერთდროულად ინფანტილურობითა და მკაცრი ფინანსური განსაზღვრულობით გამოირჩევა, საიდანაც გამოსჭვავის პატარა ბავშვისათვის დამახასიათებელი აკვიატებანი. ბავშვს ყოველთვის ჰგონია, რომ სამყაროს აუცილებლად უნდა ამცნოს საკუთარი ექსკრემენტების შესახებ“.



ლიბერალი

იკითხეთ  
ლიბერალის პორტალზე  
[www.liberali.ge](http://www.liberali.ge)



**გიორგი ცხადაიას ბლოგი  
მე „ნეოგოლშვეიკი“ ვარ**

ანინას პოსტს საბჭოთა სიმბოლიკასა და მზიურის ვარსკვლავზე უფროსი თაობის უკმაყოფილება მოჰყვა. შეტყვის ხაზი უცვლელია: „თქვენ ნეოგოლშვეიკები ხართ. არ სცემთ პატივს უფროს თაობას და მათ ღირებულებებს“ და ა.შ. ხო, მინდა, ვაღიარო, რომ უფროსი თაობის იმ ნაწილს, რომელსაც ჩემთვის მიუღებელი ღირებულებები აქვს, პატივს ნამდვილად არ ვცემ. ეს უპატივცემულობა ძირითადად იმით გამოიხატება, რომ ვთვლი, მათ ჩემი ჭკუის დარიგების მორალური უფლება არ აქვთ. სხვა მხრივ, როგორც ადამიანები, ჩემთვის ისინი ისევე ღირებულნი არიან, როგორც ნებისმიერი ჩემი თაობიდან.


**მულტიმედია  
8 გამოცდა**

მაია მიმინოშვილი სკოლის საატესტატო გამოცდებზე

**თომას დე ვაალის წიგნის  
პრეზენტაცია**

**გიორგი კიკონიშვილის ბლოგი  
მატყუარების მომტყუებელი**

ამასწინათ, ჩვენთან სახლში, ჩემმა ძმამ ტრადიციულად შეკრიბა თავისი მეგობრები, გაიშალა სუფრა და გემრიელად მოილხინეს. ალკოჰოლის შესაბამისი დოზის მიღების მერე (აი დაახლოებით მაშინ, როცა შენში, გინდა თუ არ გინდა, უკვე „ქართველი კაცი“, „პატრიოტი“ უნდა გააღვიძო და მაგვიდაზეც ერთი-ორი მუშტი დააბრახუნო) სიმღერის დროც დადგა. რა ჯობია 18-20 წლის ახალგაზრდა გოგო-ბიჭების მხიარულების ყურებას და მოსმენას? წესით არც არაფერი. მაგრამ როცა ერთ სიმღერაში ყველანი ერთად სიყალბის მორევში ეხვევიან და თან ამით ბედნიერები არიან, ცოტა არ იყოს ძნელი ასატანია.



**მულტიმედია  
ზოოპარკი გზის პირას**

როგორ ცხოვრობენ ცხოველები გზის პირას

[www.liberali.ge](http://www.liberali.ge)

# ბნუთების ოჯახის "შენყვებიანი ბანკითაჩება"



ყველაზე სასაცილო ამერიკული სერიალი.

ნიკო ნერგაძე



რომლებიც ამავე დროს ძალიან საყვარ-  
ლები არიან. მაიკლს ჯეისონ ბეიტმენი  
თამაშობს, რომელიც სერიალის წარმა-  
ტების შემდეგ არაერთ ფილმში გადაიღეს  
(„ჯუნოდან“ შეიძლება, გახსოვდეთ). მაი-  
კლის შვილის როლს კი მაიკლ სერა ას-  
რულებს, რომელიც შემდეგ კიდევ უფრო  
მეტ ფილმში თამაშობს, თუმცა კი ყველ-  
გან დაახლოებით ერთსა და იმავე ტიპს  
თამაშობს („ჯუნო“, Superbad, ცოტა  
სხვანაირია „სკოტ პილგრიმი“).

სერიალი რუსულად მგონი არ გაუხ-  
მოვანებიათ. ყოველ შემთხვევაში, ხუ-  
თნუთიანმა ძებნამ შედეგი ვერ გამოიღო.  
სამაგიეროდ, ვიპოვე რუსული სუბტი-  
ტრები, რაც, ალბათ, ბევრს გაუადვილებს  
საქმეს. ისე კი სუბტიტრები ინგლისურის  
კარგ მცოდნესაც გამოადგება (ცხადია,  
ინგლისურსავე სუბტიტრებს ვგულისხ-  
მობ). სერიალის გმირები ხუმრობის შე-  
მდეგ პაუზას არ აკეთებენ, რომ მაყუ-  
რებელს სიცილი აცალონ. შესაბამისად,  
ნუთში სხვა სერიალებზე ბევრად მეტი  
ხუმრობა ეტევა. ასევე, როგორც ხარის-  
ხიან ხუმრობებს სჩვევიათ, ზოგ მათგანს  
პირველივე მოსმენისას თუ ნახვისას ვერ  
დააფასებ. მოკლედ, სუბტიტრები საჭი-  
როა.

ისე, რამდენად მართლა „ყველაზე სა-  
საცილოა“ ეს Arrested Development?  
ამერიკელებს ბევრი კარგი რამ აქვთ გა-  
დაღებული, და ახლაც ბევრს იღებენ.  
მარტო „ოფისი“ და 30 Rock რად ღირს!  
აი, რით სჯობს „შენყვეტილი განვითარე-  
ბა“ სხვებს – ნაადრევად გაუქმებამ ერთი  
კარგი საქმე გაუკეთა. სულ 50-ზე ცოტა  
მეტი სერია გადაიღეს. აქედან ცუდი კი  
არა, საშუალოც არაა არცერთი. ვერ მო-  
ასწრეს ცუდის გადაღება. ■

Arrested Development-ს ამერიკული  
ტელეარხი Fox სამი წლის განმავლობა-  
ში აჩვენებდა. 2003 წელს დაიწყო და,  
შესაბამისად, 2006-ში დაამთავრეს. რეი-  
ტინგებს თუ დაუჯერებთ, დიდი ვერა-  
ფერი იყო. ამიტომაც შეწყვიტეს სულ  
რალაც სამი სეზონის შემდეგ – მაყურე-  
ბელი არ ჰყავდა. იმას, თუ რატომ ვერ  
ივარგა სერიალმა, რეიტინგებში დღე-  
საც განიხილავენ – ზოგი Fox-ს აბრა-  
ლებს და ზოგიც – საშუალოსტატისტი-  
კური მაყურებლის დაბალ გემოვნებას.

რეიტინგების დედაც, ჯეკ! „შენყვე-  
ტილი განვითარება“, ალბათ, ყველაზე  
სასაცილო ამერიკული სერიალია, რაც  
ოდესმე გადაუღიათ. სასაცილო და  
ჭკვიანური. უფრო სწორად, ჭკვიანურად  
სასაცილო – მაღალი დონეა! ჯერ მარტო  
იმდენი პრიზი აქვს აღებული, რომ ჩამო-  
თვლაც კი დაგლის. სადაც კი შეიძლე-  
ბოდა, ყველგან დააფასეს. არ არსებობს  
თავმოყვარე გამოცემის ყველა დროის  
საუკეთესო ტელესერიალების ჩამონა-  
თვალი (ბევრი აკეთებს ხოლმე ასეთს),  
სადმე Arrested Development რომ არ

იყოს ნახსენები. ვერ შეხვალთ ინგლისუ-  
რენოვან ფორუმზე, ვინმემ სერიალიდან  
ფრაზა რომ არ მოიტანოს. მოკლედ, ოთხი  
წელი გავიდა, მაგრამ შოუს მაყურებელი  
კი არ მოაკლდა, მოემატა.

არცაა გასაკვირი. ყველა სერია ბაჯალ-  
ლო ოქროა. თან, ნუთში იმდენი ხუმრო-  
ბაა, რომ მეორედ და მესამედ ნახვისასაც  
კი ახალ-ახალ ხუმრობებს აღმოაჩენ. ამას  
ისიც განაპირობებს, რომ ბევრი ამერი-  
კული კომედიური სერიალისგან განსხვა-  
ვებით, „შენყვეტილ განვითარებას“ მაყუ-  
რებლის სიცილის ხმა არ ახლავს თან  
– არავინ გკარნახობს, აი, ისუმრეს და  
მიდი, გაიცინეო. არცაა საჭირო.

რაც შეეხება შინაარსს – „შენყვეტილი  
განვითარება“ მოგვითხრობს ბლუთების  
მდიდარ და სრულიად არანორმალურ  
ოჯახზე. პირველივე სერიაში ოჯახის  
პატრიარქს პოლიცია აპატიმრებს და  
უფროსობა შედარებით სალი გონების  
მქონე მაიკლ ბლუთის ხელში გადადის.  
სამი სეზონის განმავლობაში უწევს  
ზრუნვა ხარბ, ცბიერ, მატყუარა, ფულის  
უაზროდ მფლანგავ ოჯახის წევრებზე,

# ფეხბურთი, ხობოხს ჰოციხია

ომი მსოფლიოსთვის – რა ხდება ფიფას კულისებში?

გიორგი ნოზაძე



ჯოზეფ ბლატერი

სამხრეთ აფრიკის მსოფლიო ჩემპიონატამდე ცოტა ხნით ადრე, გაზეთმა The Mail on Sunday გამოაქვეყნა ინგლისის საფეხბურთო ასოციაციის ხელმძღვანელის, ლორდ დევიდ ტრისმანის და მისი ყოფილი მდივნის, მელისა იაკობსის საუბრის ფრაგმენტი, რომელიც 2018 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძლობისთვის გაჩაღებულ ფარულ ბრძოლას ეხებოდა.

„აფრიკელებთან საქმე კარგადაა, აზიელებთანაც ნორმალური ურთიერთობა ჩამოგვიყალიბდა, მაგრამ თუ ესპანელები კანდიდატურას მოხსნიან (და ამას აუცილებლად გააკეთებენ) მათ სამხრეთ

■ პირველი ხარჯების განევა რუსეთს უკვე ფიფას არჩევნებზე მოუწევს. დელეგატების მოქრთამევა ჩვეულებრივი ამბავია და ფული ღიად ტრიალებს.

აფრიკაში რუსები მსაჯების მოსყიდვაში დაეხმარებიან. მთავარია, 2018 წლის მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძლობაში ესპანელთა მომხრეებმა რუსების ბანაკში გადაინაცვლონ“, – ამბობდა ტრისმანი.

ამ ყველაფერს ის ამბაფრებს, რომ ესპანეთის ფეხბურთის ასოციაციის ხელმძღვანელი ანხელ მარია ვილიარი ფიფაში მსაჯთა კომიტეტის შეფია.

სკანდალური სტატიის გამოქვეყნების შემდეგ, ტრისმანმა 2018 წლის მუნდიალის საგანაცხადო კომიტეტის ხელმძღვანელისა და ინგლისის ასოციაციის პრეზიდენტის თანამდებობები ისე დატოვა, თავი არ უმართლებია. თუმცა, ინგლისელებმა ესპანეთსა და რუსეთს ოფიციალურად მოუბოდიშეს და ფიფაშიც შესაბამისი შინაარსის წერილი გააგზავნეს.

ტრისმანის ჩანაწერები კვლავ აქტიუ-  
ლურია – ესპანეთი მსოფლიოს ჩემპიონი  
გახდა და ბევრი დარწმუნებული,  
რომ 2018 წლის მსოფლიოს პირველობას  
რუსეთი უმასპინძლებს, რომელმაც ამის  
გამო ინგლისთან კინალამ დიპლომატიუ-  
რი ომი წამოიწყო. მასპინძელი ქვეყანა 2  
დეკემბერს უნდა გაირკვეს და კანდიდა-  
ტურები ესპანეთი-პორტუგალიამაც წარ-  
მოადგინეს, მაგრამ რეალური ბრძოლა  
რუსეთსა და ინგლისს შორის წარიმარ-  
თება.

ოქტომბრის დასასრულს „რუსეთი  
2018-ის“ აღმასრულებელმა დირექტორმა  
ალექსეი სოროკინმა რუსულ მედიაში გა-  
ნაცხადა, ლონდონი მსოფლიოს ყველაზე  
კრიმინალური და ლოთების ქალაქიაო.  
ოფიციალურ წერილში, ინგლისელებმა  
ფიფას რუსი ჩინოვნიკისგან ბოდიშის მო-  
ხდა მოითხოვეს. სოროკინმა ლონდონის  
მერს, ბორის ჯონსონს ელექტრონული  
ფოსტით მოუბოდიშა, გაზეთებმა გადაა-  
მლაშესო, მაგრამ საჯარო ბოდიში იუკა-  
დრისა.

ამასობაში, ეთიკის კომისია ფიფას  
შიგნით კორუფციით დაინტერესდა. მი-  
შელ ცენ-რუფინენი ხმების გამყიდველი  
ჩინოვნიკების დასახელებით იმუქრება.  
ის 16 წელი ფიფაში გენერალურ მდივ-  
ნად მუშაობდა და პოსტი პრეზიდენტ

ზეპ ბლატერთან უსიამოვნების გამო  
დატოვა. ცენ-რუფინენის თქმით, ფიფას  
აღმასკომის წევრებმა საკუთარი ხმები  
ფულზე, ქალებსა და სხვადასხვა სიამო-  
ვნებაზე გაცვალეს. მაგალითად, ფიფას  
აღმასკომის ნიგერიელ წევრ ამოს ამა-  
დუს საკუთარი ხმის 500 ათას ფუნტად  
გაყიდვა ბრალდება.

ისიც ითქვამს, ინგლისმა მსოფლიო ჩემ-  
პიონატის მასპინძლობის შანსი დაკარგა,  
რადგან ფიფას კორუფციული სქემის  
გამოფერაში სწორედ ინგლისელი ჟურნა-  
ლისტები მონაწილეობდნენო.

მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძლობა  
ქვეყნისთვის დიდი პრესტიჟია. ქვეყნების  
უმრავლესობას მუნდიალის მასპინძლობა  
ფინანსური მოგების გამო სურს. ცნო-  
ბილი ფაქტია, რომ მასპინძელი ქვეყანა  
ეკონომიკურად ვითარდება და უდიდეს  
მოგებას იღებს. ინგლისის მსოფლიო  
ჩემპიონატის მასპინძლობა სწორედ ეკო-  
ნომიკური სიძლიერის დემონსტრირებისა  
და ფინანსური მოგებისთვის სჭირდება.


მასპინძლის სტატუსის მოპოვებით ზო-  
გიერთი საკუთარი გაელენის, ძალის დე-  
მონსტრირებას ცდილობს. ეს ინტერესი  
აქვს რუსეთსაც. შემთხვევითი არაა, რომ  
2 დეკემბერს ციურისში ჩემპიონატის  
მასპინძლის არჩევას პრემიერ-მინისტრი  
პუტინი პირადად დაესწრება. არ არის

გამორიცხული, რომ ფიფას-ს დელეგატე-  
ბს კიდევ ერთხელ შეახსენონ, ვინ არის  
მათი ქვეყნებისთვის გაზის მთავარი მი-  
მწოდებელი.

თუმცა, მსოფლიო ჩემპიონატის მას-  
პინძლობა იოლი საქმე არაა. 1980 წელს  
ოლიმპიადის მოსკოვში ჩატარებამ ისე-  
დაც დაუძღურებული საბჭოთა ეკონო-  
მია წელში კიდევ უფრო გატეხა და ფა-  
ქტობრივად, იმპერიის მსხვერველს შეუწყო  
ხელი. ასეთი დონის ტურნირის მასპინ-  
ძლობას უდიდესი სახსრები სჭირდება.  
1980-შიც და ახლაც რუსებისთვის მთა-  
ვარი ძალის დემონსტრირება და პრესტი-  
ჟია, ეკონომიკურ გათვლებს კი, როგორც  
წესი, არავინ აკეთებს.

პირველი ხარჯების განწევა რუსეთს  
უკვე ფიფას არჩევნებზე მოუწევს. დე-  
ლეგატების მოქრთამვა ჩვეულებრივი ამ-  
ბავია და ფული ღიად ტრიალებს. თანაც,  
საუბარი არა ათასობით, არამედ მილიო-  
ნობით დოლარზეა. ქრთამი იქ წესია და  
პოლიტიკურ და ეკონომიკურ გაელენე-  
ბსაც ღიად აფიქსირებენ. ანუ ბრძოლა  
ერთგვარად აუქციონს ჰგავს, ვინც მეტს  
გადაიხდის, ის იგებს.

ბოლო წლებამდე რუსებისთვის თა-  
მამის ეს წესები უცხო იყო. არის ასეთი  
არაოფიციალური ისტორია: როდესაც  
1976 წლის ოლიმპიადის მასპინძლობა  
მოსიურვეს, მოსკოვს საერთაშორისო  
ოლიმპიური კომიტეტის წევრები ესტუ-  
მრნენ. კომუნისტმა ლიდერებმა სტუმრე-  
ბი ლენინის გამოსახულებიანი პასტებითა  
და ბლოკნოტებით დაასაჩუქრეს. ოლიმ-  
პიური კომიტეტის წარმომადგენლებს გა-  
ეცინათ და სუფრასთან რუსებს ტაქტია-  
ნად აუხსნეს, რომ ასე მასპინძლობას ვერ  
მიაღწევდნენ. ამერიკელებმა ხომ ოლიმ-  
პიური კომიტეტის წევრებს პლატინის  
უძვირფასესი ბეჭდები გადასცეს, რო-  
მელიც მთვარიდან წამოღებული გრუნ-  
ტით იყო გაფორმებული. მერე რუსებიც  
გაინაფნენ და ახლა „მთვარისგრუნტიანი  
საჩუქრების“ ჩემპიონები არიან.

ამიტომაც ფიქრობენ, რომ არჩევნებამ-  
დეც ყველაფერი გადაწყვეტილია, და  
მსოფლიო ჩემპიონატს 2018 წელს რუსე-  
თი უმასპინძლებს. ფეხბურთის საერთა-  
შორისო ასოციაციაში მეტისმეტად „ადა-  
მიანური“ ადამიანები მუშაობენ. 



# ბუუ



ინგლისელი მწვრთნელი ინგლისის ნაკრებისთვის.

გიო ახვლედიანი

როგორც პაბში იტყვიან, ფაბიო კაპელოს მსოფლიოში ყველაზე დიდი ხელფასი აქვს. ინგლისის ნაკრები წელიწადში საშუალოდ ექვს მატჩს თამაშობს და ისე გამოდის, რომ დიადი იტალიელი მწვრთნელი თითოეულ მატჩში მილიონ ფუნტს იღებს, რახანლა ხელფასი ექვსი მილიონი აქვს.

იღებს და იღებდეს, რა ჩვენი დასათვლელი ეგ არის. ოღონდაც, საქმე უკვე ისეა, რომ კაპელოს სიდიადისა ინგლისში კარგახანია, აღარავის სჯერა და მეორეც, კიდევ ერთხელ იკრებს ძალას კამპანია ინგლისის ნაკრების სათავეში ინგლისელი მწვრთნელის მოქცევის მხარდასაჭერად.

ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის დასრულებამდე კაპელოს არავინ გაუშვებს, თუ მთლად ქვეყანა არ დაიქცა და ნაკრები არ ჩაფლავდა. მისი გასაშვები საკომპენსაციო თანხა მის ხელფასზე ნაკლები არ არის და გამოვა, რომ ფეხბურთის ასოციაციამ ერთბაშად ორ მწვრთნელს უნდა გადაუხადოს მილიონები, გაშვებულს და ახალდანიშნულს.

კაპელოს ხელში ინგლისის ნაკრები შესარჩევ მატჩებს კარგად თამაშობს. აი, მსოფლიო ჩემპიონატზე სრულიად ჩაფლავდა და ამხანაგურებიც არ გამოუდის, განსაკუთრებით, ტრადიციულ მეტოქეებთან.

აგე, გასულ ოთხშაბათსაც, შუაგულ უემბლიზე, გახურებულ წვიმაში ინგლისელები პირწმინდად დამარცხდნენ ფრანგებთან. ამხანაგური იყო, დიახ, და ანგარიშიც, საბოლოო ჯამში, სამარცხვინო არ გამოვიდა, მხოლოდ ერთი ბურთით წააგეს. თანაც კაპელომ ახალგაზრდები გამოცადა, აბა, ვნახოთო. თანაც, ბევრი ტრავმირებული იყო და სტივენ ჯერარდის გამოყვანაზე ლივერპულმა საერთოდაც, ერთი ამბავი ატეხა, ფენტიკივანი ათამაშაო.

ოღონდაც, ამან ფრიად იშვიათი მოვლენისგან მაინც ვერ იხსნა: ხალხმა თავის გუნდს ბუუ-ინგი მოუნყო. ბუუ-ინგის პირდაპირი ქართული შესატყვისი არ არსებობს, თუმცა, გასაგები კია: ეს არის უკმაყოფილო შეძახილთა ერთობლიობა, რაც ფეხბურთელებს მაყურებელთა უარყოფით პოზიციას ატყობინებს თამაშის რომელიმე მომენტის, ან მთლიანად თამაშის, ანდა ცალკეული ფეხბურთელის შესახებ. ბევრ ქვეყანაში ასეთი რამ სტვენით ხდება, ინგლისში კი ბუუ-ს მძლავრი შეძახილით.

ჰოდა, იშვიათია რომ ინგლისელებმა თავის ნაკრებს შეუყვირონ ეს „ბუუ“. მაგრამ, აი, შეუყვირეს. კიო, - ფერდინანდმა კი თქვა თამაშის მერე, - ეგ ფანების უფლებბაო, მაგრამ კაპელო თამაშის წინვე ითხოვდა, ახალგაზრდები გამოიყავს, მოთიმი-



ფაბიო კაპელო

ნება იქონიეთო. ჰოდა, არ იქონიეს.

მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ ინგლისელები ნაკრების მიმართ მოთმინებას არ იქონიებენ, თუნდაც ამხანაგურ თამაშში. ფრანგები ძალიან ჯობდნენ ინგლისელებს.

საერთოდ, ისეა, რომ ინგლისში გულშემატკივრობა ყველაფერს აპატიებს მოთამაშეს, რამდენიმე საინტერესო რაღაცის გარდა. ეს რამდენიმე რაღაცა ფეხბურთთან ნაკლებადაა პირდაპირ კავშირში, თუმცა მინდორზე ჩანს ხოლმე. მშობლიური კლუბიდან ღალატით წასვლა, მინდვრის თაღლითობა, თავგანწირვის ნაკლებობა და სხვა ორიოდ რამ არის ის, რასაც დაგიმახსოვრებენ. თუ ირბინე, თავი დადე და წააგე, თუნდაც ტაქტიკურად უსუსურად გამოიყურებოდე, საყვედურს არავინ გეტყვის. ჰოდა, ვერ მიეჩვივნენ ინგლისში ნაკრების ზოზინს. წესით, თითქოსდა უნდა მიჩვეოდნენ, ჯერ სვენ გორან ერიქსონის ხელში და ახლა კიდევ კაპელოს მეფობისას. მაგრამ ამას მიჩვევა ინგლისელებისთვის იმას ნიშნავს, რომ ის უარყო, რაც ფეხბურთში უყვართ.

ჰოდა, აქამდეც კარგა ომანიანად გაისმოდა, ინგლისელი მწვრთნელი გვინდაო და ახლა კი ყველა კუთხეში ამას ამბობენ. ბოლო ინგლისელი მწვრთნელის ხელში ნაკრები ევროპის ჩემპიონატზე ვერ გავიდა, მაგრამ ახლა ამას აღარავინ იხსენებს.

უკვე ამბობენ, 2012 წელს ნაკრების საჭეს ჰარი რედნაპს შესთავაზებენო.

ჰარი ძაან კაცია, მაგრამ მის შესახებ სხვა დროს.

რაში ექვსი მილიონი, თორე კიო, - ასე ამბობენ პაბში. ■

# აღნაღი ჰანაღი



არცთუ ძალიან სერიოზული სალაღობო ტექსტი.

კაბა თოლორდავა

ვიცი, ფეისბუქს რასაც ვერჩი! ახლა უკვე ვიცი! სხვათა შორის, არაფერსაც არ ვერჩიოდი მანამ, სანამ ქალაქში სეირნობისას არ „ჩამანათა“, რომ ყველაფერი მისი ბრალია. ეს იმ დროს მოხდა, როდესაც კიდევ ერთ ულიმდამო გრაფიტს ვუღებდი სურათს ქალაქის შორეულ უბანში. ჩათვალეთ, რომ ეს ჩემი ერთ-ერთი ჰობია, – შემოქმედებითი, გაკვირვებულ, პროტესტით სავსე, შეყვარებული, გაცოფებული და კიდევ ვინ უწყის, როგორ ემოციურ მდგომარეობაში მყოფი თბილისელების მიერ სახლების კედლებზე, ასფალტზე, ტრანსპორტზე, ხეებზე, მალაზიების შუშებზე თუ სადარბაზოებში თანამოქალაქეებისათვის დატოვებული შეტყობინებების შეგროვება. გრაფიტი მსოფლიოს დიდი ქალაქების გულისცემაა და მიუხედავად ამკარა კანონსაწინააღმდეგო აქტივობისა, რასაც გრაფიტის არტიტები ეწევიან, ამ გულისცემას ვერავინ შეაჩერებს, ვერც ჯარიმები, ვერც პოლიციელების არმია და თქვენ წარმოიდგინეთ, თვით ფეისბუქიც კი, რომელიც მგონია, რომ სწორედ ასეთი შემოქმედებითი ვანდალების გასანადგურებლად გამოიგონეს (ფეისბუქის მომხმარებლებო, – ვხუუუმრობ! ვხუუუმრობ!). აი, კარგად დაუფიქრდით, აქამდის ყველას, ვისაც მოეხუშტურებოდა არსებული მედიუმების მიღმა დანარჩენებისათვის რაიმეს გაზიარება, ან სულაც ვინმე კონკრეტულისთვის რაიმეს გადაცემა, არაფრად უღირდა გარეთ გასვლა, ერთი კარგი კედლის შერჩევა (აღრე ეს შეიძლება, ყოფილიყო კედელი გამოქვაბულში, რომის კატაკომბებში, ბერძნულ ქალაქ ეფესოში ან სადმე სხვაგან. სხვათა შორის სწორედ გრაფიტის მეშვეობით ადგენდნენ სხვადასხვა ანტიკური ქალაქის მცხოვრებთა წერა-კითხვის ცოდნის დონეს!) და იმ კედელზე აზრიანი, ზოგჯერ კი უაზრო შეტყობინებების დატოვება, დანყებული ცხოველების და ადამიანების გამოსახულებით და დასრულებული უკვე ყველასთვის ცნობილი ფრაზით „კილორი აქ იყო“ და „მოუხელთებელი“ ბენქსის შედევრებით. მოკლედ, ადამიანებს ყოველთვის ჰქონდათ სათქმელი და როცა სათქმელი გაქვს, კედელს ყოველთვის იპოვნი. პირდაპირ ვიტყვი, ამ მხრივ, თბილისელები ჯერ კიდევ გამოქვაბულების ბინადრების დონეზე ვართ (კედლებიდან პრეზიდენტის გინება ან რევოლუციისაკენ მონოღება გრაფიტი-არტიტებში კარგ ტონად არ ითვლება), მაგრამ იმედი არ კვდება და მეც სულ მეგონა, რომ ერთ მშვენიერ დღეს ჩვენთანაც გამოჩნდებოდნენ ნიჭიერი, გონებაამაზვილი, იუმორით და უამრავი სათქმელით სავსე ვანდალები. სამწუხაროდ, ეს იმედი საბოლოოდ ჩაკვდა SMS-ის და ფეისბუქის ეპიდემიის დაწყებისთანავე. დღევანდელი პოტენციური გრაფიტი-არტიტები ვირტუალურ სივრცეში იმუშავენ ულიმდამო ადრენალინს და ქალაქის კედლებს არცთუ ძალიან აზრიან ან სასაცი-



ლო ფრაზების ამარა ტოვებენ. შედეგი კი ისაა, რომ, გრაფიტის თვალსაზრისით, თბილისი არც გაცინებს და არც გატირებს, არც გაკვირვებს და არც გმუხტავს, ეს კი დასანანია, რადგანაც რა კარგი იქნებოდა ქალაქში სეირნობისას, აი, ასეთი ფრაზებს რომ გადაყროდით (გაფრთხილება – უწმინდი სიტყვების მონიშნულ-დეგებო, ესლავე გადაშალეთ სხვა სტატიაზე!!!): „გუშინ ოპერაციის ანგარიში მივიღე. ესლა მესმის თუ რატომ ეკეთათ იმ ექიმებს ნიღბები“, „მე დაქირავებული მკვლეელი ვარ და ფულისთვის ვკლავ, მაგრამ რადგან შენ ჩემი მეგობარი ხარ, უფასოდ მოგკლავ“, „ბედისწერა გაუპატოვრებასავითაა, – თუ მასთან ბრძოლა ვერ ისწავლე, სიამოვნება მაინც მიიღე“, „ათიდან ცხრა კაცს დიდი მკერდი უყვარს. მეათეს კი ის ცხრა კაცი“, „წარმატება მასტურბაციასავითაა, მხოლოდ საკუთარი ხელით თუ მიაღწევ მას“, „ქალი უკაცოდ იგივეა, რაც თევზი უველოსიპედოდ“, „ფული ტრაკივითაა. ტრაკი ყველას გვაქვს, მიცემა კი არ გვიყვარს“, „ღმერთი ცოცხალია და ნაკლებად ამბიციურ პროექტზე მუშაობს“, „ქარიშხალი კატარინა, – შე ბოზო“, „იუდას ფული ავადმყოფი მეგობრისთვის სჭირდებოდა“, „მე რომ დავიბადე, ისეთი გაცივებული დავრჩი, რომ წელიწადნახევარი ხმას ვერ ვიღებდი“, „წარმატებისკენ მიმავალი გზა ყოველთვის რემონტზეა დაკეტილი“, „ჩემი სამუშაო ისეთი გასაიდუმლოებულია, რომ თვითონ არ ვიცი, რას ვაკეთებ“, „ცეკვა ჰორიზონტალური სურვილების პერპენდიკულარული გამოხატვაა“, „ცხოვრება ქაქის სენდვიჩივითაა, – რაც უფრო მეტ პურს დაითრევ, მით უფრო ნაკლები ქაქი შეგბვდება!“ ნუ დაიძაბებით, გეთაყვა, არავის მოეუწოდებ თბილისის კედლების დასალაშქრად, მაგრამ მაინც, რა კარგი იქნებოდა ქალაქს გრაფიტის მეშვეობით ჩვენი გაცინება რომ შეეძლოს!



თელავი, ყვარალი, ლაგოდეხი  
გორი, ქარალი, ხაშური  
ზესტაფონი, ქუთაისი, სამტრედია  
ურაკი, ქოგულეთი, ბათუმი  
ფოთი, სენაკი, ზუბდიდი

**FM 105.5**  
**FM 103.0**  
**FM 104.5**  
**FM 101.0**  
**FM 101.9**



**WWW.LIBERALI.GE**

